

180
1980 *181*
საბჭოთავო
საგარეო
საზოგადოებრივი
მედიის ცენტრი

ISSN 0132-1307

საბჭოთავო საგარეო საზოგადოებრივი მედიის ცენტრი

1980 10

1980
w/c

ქართული საბჭოთაო
1981 წლისათვის

10/1980



საბჭოთა სელოკვება

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
ყოველთვიური ჟურნალი

7 მკთრეზი — საბჭოთა სოციალისტური
რესპუბლიკების კავშირის ახალი
კონსტიტუციის დღეა

შენიშვნები

სსრ XXVI ყრილობის შესახებ დღეა
ბელოვანის დიდი მისია 2

ალექსი არგუნი —
თბილისის ოკაიონა და ბალეტის თეატრი სოფოპო 5

დავით ქაჩია —
მომავლის ნაბიჯები 11

ჭურბა ნადირაძე —
მკითხველთათვის აქტუალური 15

ანდრია ბალანჩივაძე —
საბჭოთა მუსიკალურ-დრამატული თეატრის კომპლექსები 24

ედიტ შავგულიძე —
ლევან ბაიასხივი — 50 29

ირინე კუჭუხიძე —
ბრანდენბურგის თანხის საერთაშორისო 34

კიტი მარაბული —
ოპერის რეჟისორი 43

მიხეილ ულიანოვი —
„მეხილ კარაგაზოვი“ 55

გრიგორ თარგუმიანი —
პრინციპული ბელოვანის კრიტიკული კონსტიტუცია 54

გიორგი ჭავჭავაძე —
„საბჭოთა ბანკი“ ანთროპოლოგიური გამოკვლევა 71

ლილია ნიჭიანი —
კინოს კრიტიკა — ქართული კულტურის ამაღლება 77

ედიტ გუგუშვილი —
თეატრი ბელოვანის ცხოვრება 82

ირინე დოლობერიძე —
თან დიდი დღის დრამატურგია 92

ლევან მარტი —
ქორეოგრაფი ბრუნო (პიესა) 98

ახალი წიგნები 114

კონტაქტი 115

**თეატრი
მუსიკა
მხატვრობა
კინო
ანტიკვარია
მედიკინა**

მთავარი რედაქტორი
თამაზ შილაძე
სარედაქციო კომპლექსი:
აბაი ბაქრაძე,
ვახტანგ ბერიძე,
ნოდარ მამუკია,
ჯუმაბეგ თითქმისი
(ასტანისგანაშობილი მდივანი),
ვანელი კიკნაძე,
ნოდარ მგალობლიძე,
ჯურაბეგ ნინიაშვილი,
გიორგი მარტოშვილი,
ნათელა ურუშაძე,
რევაზ ჩხიშიძე,
ანდრონოვსკი,
ნოდარ მამუკია,
ნოდარ მამუკია,

XXVI



**ს კ კ კ
ყ ბ ი ლ ბ ი ს
შ ხ ს ა ხ მ დ რ ა დ**

ხელშეკრების დიდი მისია

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობებთან შეხვედრის წინა პერიოდი აღსავსეა განვლილი ოთხწლეულის შეჯამებისა და ახალი მიღწევების მოპოვების სულიერებით. საბჭოთა ხალხი უდიდესი პასუხისმგებლობით ემზადება ჩვენი ქვეყნის კომუნისტთა მომავალი ფორუმისათვის. თითოეული მოქალაქე, სოფლისა თუ ქალაქის მშრომელი, კულტურული ფრონტის თითოეული მოღვაწე აჯამებს იმას, თუ რა გააკეთა ქვეყნის ეკონომიკური სიმძლავრის განსამტკიცებლად, განვითარებული სოციალიზმის საზოგადოების სულიერ სიმდიდრეთა გასამრავლებლად.

თვალს რომ ვავლებთ განვლილ უაზროს წლებს, არ შეიძლება სიამაყისა და სიხარულის გრძნობა არ აღძრას იმხან, თუ რაოდენ გამდიდრდა ქვეყნის სულიერი ცხოვრება საბჭოთა ხელოვნების მრავალი მკაფიო, ქეშმარიტად მაღალმატერული, მნიშვნელოვანი ნაწარმოებებით. კიდევ უფრო ამაღლდა სხვადასხვა დარგის ხელოვნება შემოქმედებითი აქტიუობა მრავალეროვნული საბჭოთა ხელოვნების განვითარების პრობლემების გადასატყრელად, ჩვენს მხატვრებს თვალსაჩინოდ მზარდი წვლილი შეაქვთ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საერთო სახალხო საქმე-

ში, ახალი ადამიანის აღზრდის საპატიო მისიის ხორცშესხმაში. სინამდვილის განვითარების, მის კანონზომიერებათა და ტენდენციათა ღრმა ცოდნა საბჭოთა მხატვრებს ეხმარება შექმნან ხელოვნების ქეშმარიტი ნაწარმოებები, რომლებიც ამკვიდრებს საზოგადოების, ადამიანის იმ იდეალს, ხალხის თანამედროვე ყოფიდან რომ არის ამოზრდილი. ეს კი მოწმობს ხელოვნების, შემოქმედების ურდვევ კავშირს ცხოვრებასთან, მკაფიოდ ნათელყოფს იმას, რომ სოციალისტური რეალიზმის ხელოვნების კანონზომიერება — ხალხის სამსახურია.

გაზეთ „არადის“ ამასწინანდელ მოწინავე წერილში „ცხოვრების გმირი — ხელოვნების გმირი“ (7 აგვისტო, 1980 წ.) სწორედ ასეთ იდეალურ მხატვრულ სახეზეა საუბარი.

„საბჭოელ ხელოვნათა ყოველი ახალი თაობა ისწრაფვის ღირსეული წვლილი შეიტანოს პარტიის გმირული ისტორიისა და აღმშენებლობითი საქმიანობის გაშუქებაში, თავისებურად წარმოაჩინოს ხასიათი კომუნისტისა, რომელიც თითქოსდა მოიცავს სამყაროს საზრუნავსა და წუხილს, საზოგადოების შემოქმედებით ენერჯიას. ამ თემაზე შექმნილი საუკეთესო ნაწარმოებები ძლიერია სიმართლით, ხილავს

ადამიანს სიცოცხლის ნათელი საწყისების გამარჯვებობისათვის ბრძოლის დრამატიზმით“.

„პრავდის“ მონიარვ წერილი ხაზი აქვს გასმული იმ დიდ და ნაყოფიერ მუშაობას, რასაც უწევია ჩვენი ქვეყნის შემოქმედებითი კავშირები ხალხის ცხოვრებასთან კიდევ უფრო მჭიდროდ დაახლოების მიზნით.

ეს კარგი ტრადიციაა — აღნიშნავს გაზეთი — და მისი შემდგომი განმტკიცების საქმე მხოლოდ მოიგებს. ცოცხალი კონტაქტები, ამხანაური ურთიერთობა ამდიდრებს როგორც მხატვრულ ღირებულებათა შემოქმედით, ისე პარტიულ მუშაკებს, საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ ერთმანეთის საზრუნავს, შრომის სპეციფიკას. ლიტერატურისა და ხელოვნების ოსტატები პარტიულ თეატრსა რომ მიმართავენ, ამით იჭრებიან კარდინალური ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და იდეოლოგიური ბრძოლების სფეროში, ეხებიან იმ უმთავრესს, რითაც დღეს მილიონობით საბჭოთა ადამიანი ცხოვრობს“.

ამის თვალსაჩინო მაგალითი იყო მაისის თვეში ჩვენთან, საქართველოში გამართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების დღეები, — მხატვართა დიდი შემოქმედებითი ფორუმი. ეს გახლდათ მრავალეროვნული ქვეყნის სახვითი ხელოვნების ოსტატთა წარმომადგენლების საქმიანი და მეგობრული შეხვედრები არა მხოლოდ თავიანთ კოლექტივთან, არამედ ხალხთან, სოფლისა და ქალაქის მშრომლებთან. ეს გახლდათ ასპარეზი ხელოვნებაზე ფართო საუბრების გამართვისათვის, ურთიერთშემოქმედებითი მიღწევების გაცნობისათვის. საქართველოში საბჭოთა სახვითი ხელოვნების დღეების გამართვა კიდევ ერთი თვალსაჩინო გამომავალზე იყო მრავალეროვნული ხელოვნების განვითარებით ჩვენი პარტიის უდიდესი დანიტერესებინა. ეს ფორუმი, რომელიც პირველად ჩვენს რესპუბლიკაში გაიმართა, შემდგომში სხვა რესპუბლიკებში გადაინაცვლებს და კიდევ ერთი ქმედითი ღონისძიება იქნება ხალხთან ხელოვნების კავშირის შემდგომ განსამტკიცებლად.

ასეთი კონტაქტებისა და ურთიერთშეხვედრების უდიდეს მნიშვნელობაზე ლაპარაკობდნენ ცნობილი საბჭოთა მხატვრები ზეპირ გამოსვლებსა თუ პრესაში. ისინი მოუთხოვდნენ ეროვნულ ხელოვნებას ურთიერთგამდიდრებაზე, აღნიშნავდნენ, რომ დღეს თითოეული ხალხის მხატვრული მეგვიდრობა და თანამედროვე ტრადიციები მთელი საზოგადოების, ჩვენი სოციალისტური კულტურის უუფროსი წიგნი უნდა იყოს და ყველა ხალხის სულიერ განძეულობას ერწყმის.

წინასაყრობითი შემავაშემელი, ღრმა ანალიზის შემდეგ იყო საქართველოში საბჭოთა სახვითი ხელოვნების დღეები გამართული, სრულ მხატვართა კავშირისა და საქართველოს სსრ მხატვართა კავშირის გაერთიანებული პლენუმი თემაზე: „მრავალეროვნული საბჭოთა სახვითი ხელოვნების კომუნისტური იდე-

ურიზა და ინტერნაციონალიზმი“. სოციალისტური რეალიზმის ხელოვნების მაღალი ამოცანები განსაზღვრავდა ამ პლენუმის დიდ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მნიშვნელობას. ამოცანები, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტმა დასაბამი ცნობილ დადგენილებაში „იდეოლოგიური და პოლიტიკურ-აღმშენებლობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“.

მხატვრული კულტურის მიღწევითა და დათვალვით, მოძიებ რესპუბლიკების მხატვართა შემოქმედებასთან ერთად, მაღალი შეფასება სხვა ქართველ მხატვართა მოღვაწეობასაც, აღნიშნა მათი შემოქმედების ეროვნულობა, გამომხატვის ახალი ხერხების ძიება, საკუთარი გზით სვლა.

ქართველ მხატვართა შემოქმედებითი ზრდა აისახა ბოლო წლების მათს მონაპოვრებშიც. კვლავაც მაღლდება ჩვენი ეროვნული ხელოვნების ავტორიტეტი არა მხოლოდ რესპუბლიკისა და კავშირის მასშტაბით, არამედ საბჭოთა ქვეყნის საზღვრებს გარეთაც. ხელოვნათა მრავალი თაობის ნაყოფიერ, შთაგონებულ შემოქმედებით: შრომას უდიდესი ყურადღებითა და მრავალფეროვნებით რესპუბლიკის მთავრობა და პარტიული ხელმძღვანელობა, ამის მეტყველი მაგალითებია რესპუბლიკაში ახალი საგამოფენო დარბაზებისა და გალერეა-მუზეუმების გახსნა. ჭეშმარიტად დიდებული კრები შეემატა საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს თბილისის „მხატვართა სახლის“, ცხაპაის გალერეა-მუზეუმისა და კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეში სახვითი ხელოვნების ცენტრის გახსნით. ქართველ მხატვართა მრავალ თაობას მართლაც აქვს საამაყო იმით, რომ ესოდენ ფართო სარბიელი ეძლევა მათი შემოქმედების პოპულარიზაციას, ხალხთან ახლოს მისვლას, საზოგადოების მიერ ნაწარმოებების ავ-კარგის შეფასებას. ეს ფართო საგამოფენო შესაძლებლობანი განსაკუთრებით ახარებს ჩვენს შემოქმედებით ახალგაზრდებს, რომელიც დაუცხრომლად ეძიებს, ივლევს ახალ გზებს, იღვწის ხელოვნებაში საკუთარი თავის საპოვნელად.

სკკპ XXV ყრილობის ტრიბუნლიდან ამხანაგმა ლენინი ილისა ქრეწვევით აღნიშნა, რომ ჩვენი შემოქმედებითი ინტელექტუალური ახალგაზრდა თაობა სულ უფრო მტკიცედ შემოდის ცხოვრებაში. ეს შეეხება ჩვენი ხელოვნებისა და ლიტერატურის ყველა დარგს, და, რა თქმა უნდა, სახვით ხელოვნებასაც.

მრავალი თვალსაჩინო წარმატება მოპოვებული ახალგაზრდა მხატვართა მიერ. მათ არაერთგზის გამოაჩინეს საბჭოთა ხელოვნება ჩვენი თუ უცხოეთში. ისინი შთაგონებით ასახვეთ თანამედროვე ცხოვრებას, დღევანდელი დღის სულისკვეთებას. რესპუბლიკურ თუ საკავშირო გამოფენებზე მათი ნაშუშვრები ხშირად საზოგადოების ერთსულთვან ყურადღებას იმსახურებს.

საქართველოს სახ. საქ. სსრ
საგარეო ურთიერთობების
მინისტროს
საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
მინისტროს



შემოქმედებითი ცვლის მომზადება, მისი აღზრდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის კომუნდლოური ყურადღებითაა გარემოში. ამის ერთ-ერთი ნათლად დამადასტურებელია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილება „შემოქმედებითი ახალგაზრდაობასთან მუშაობის შესახებ“. ეს ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტი საფუძვლად დაედო შემოქმედებითი ინტელიგენციის ახალგაზრდა თაობის შედგენი იდეურ-პროფესიული წვრთნის დადგენილებას. „უნდა შევისწავლოთ ახალგაზრდობის პრობლემები და საჭიროებანი. — ნათქვამია დადგენილებაში. — დავებმართო მას თავისი ნიჭის გამოყენებაში, წარმართოთ ტალანტების განვითარება პერსპექტიული შემოქმედებითი გზით, დღეობადგ განვამტკიცოთ და გავამრავლოდგურთ ახალგაზრდა ხელოვანი ინტელიგენციის კავშირი ცხოვრებასთან, განვავითაროთ მისი საზოგადოებრივი აქტიურობა, დავავალოთ ახალგაზრდებს საინტელსო საქმიანობა, აღვზარდოთ ისინი კომუნისტური იდეალებისათვის მტკიცე მებრძოლებად“.

ამ დიდმნიშვნელოვანი დადგენილების მითითებათა ჯეროვანად განხორციელება მიუღწევს საზოგადოებრიობას ეკორება. უპირველეს ყოვლისა კი სასწავლო დაწესებულებებს, შემოქმედებით კავშირებს, პრესას. ბევრი რამ კეთდება დღეს ამ მითითებათა შუქზე, მაგრამ გასაკეთებელიც ბევრია. კერძოდ, არ შეიძლება არ შევინშოთ დღესდღეობით კვლავ არსებული არსებითი ხარვეზი ხელოვნებისმცოდნეობაში: თანმიმდევრულად არ წარმოებს ქართულ მხატვრობაში მიმდინარე შემოქმედებითი პროცესების მეცნიერული გაანალიზება, იშვიათად იბეჭდება კვალიფიციური წერილები, სტატიები. მხატვრული ფაქტებისა და მოვლენების სიმრავლე დიდად უსწრებს წინ ხელოვნებათმცოდნეობითი შეფასებას. ჩვენი საგამოყენო დარბაზები არასოდეს არ არის ცარიელი. ბევრი გამოყენა კი, კოლექტიური იქნება ეს თუ პერსონალური, ძალზე ხშირად, შუუფასებელი რჩება. ყურადღება აკლია ახალგაზრდაულ შემოქმედებასაც.

კვალიფიციური, პირუთენელი აზრი ყველაზე მეტად ახალგაზრდა შემოქმედს სჭირდება და აინტერესებს. აქ არ შეიძლება კიდევ არ გამოეთქვათ საყვედური ახალგაზრდა ხელოვნებისმოყვანი მისაზარებით. ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა კადრები ყოველწლიურად გამოდიან დამოუკიდებელი მოღვაწეობის სარბილზე, მაგრამ ამ სარბილზე ისინი, მცირე გამოწაკლისით, თითქმის არ ჩანან. ჩანს, ამჯობინებენ ინსტიტუტებში, მუზეუმებსა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში მყუდრო მუშაობას, ძველი ხელოვნების კვლევას, ან მცირე ინფორმაციების იბეჭდვას სახვითი ხელოვნების ამა თუ იმ ფაქტზე. მათი პროფესიული ზრდა, მეცნიერული, ხელოვნებათმცოდნეობითი კვლევების უნარის გაღრმავება კი, ძირითადად, ჩვენი თანამედროვე ხელოვნების განვითარებას უნდა ეწეოდეს. ამ მასალიდან უნდა ამოიზარდოს და დაოსტატდეს ხელოვნების მოვლენების შეფასებაში ახალგაზრ-

და ხელოვნებათმცოდნე. ქართულ მხატვრობაში უკვე მოყვნილი ხელოვნებათმცოდნეობის ყოველწლიურად მრავალდარგოვანი სხვადასხვა დარგის მხატვრები, შემოქმედებით ბიოგრაფიის იმდიდრებენ წინა თაობების წარმომადგენელი, ახალგაზრდა ხელოვნებისმცოდნეები კი ინდიფერენტული არიან თავიანთი თანატოლების საქმიანობისადმი, არ იზიადეთ მათ მიღწევასა თუ ჩრდილოვან მხარეებზე საუბარი, ავკარგის კვლევა, დროის სახასიათო ტენდენციებში ჩაღრმავება. ეს კი იმ სამუშაოში ფაქტზე მითითებს, რომ ფორმალურად დაუბთავრებიათ სპეციალური ფაკულტეტი, არ გრძნობენ შინაგან მოწოდებას ხელოვნებისმცოდნის რთული მისიის დასაკისრებად.

ხელოვნების სხვადასხვა დარგის ახალგაზრდა მკვლევართათვის შესანიშნავი ასპარეზია ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“. მაგრამ ამ ჟურნალის ფურცლებზე იშვიათად თუ ჩნდება მათი სახელები. ავტორთა სიღირსის გამო ჟურნალის სათანადოდ და ყოველთვის ოპერატიულად ვერ აშუქებს ხელოვნების დარგში მიმდინარე მოვლენებს, ვერ აქვეყნებს რეცენზიებს ახალ სექტაკლებზე, სამხატვრო გამოყენებებზე, კინოფილმებზე, მუსიკალურ ცხოვრებაზე.

საბჭოთა მხატვრის საპასუხისმგებლო და საპატიო მოვალეობა, მისი მოწოდება ისაა, რომ ღრმად და სიმართლით ასახოს თანამედროვეობის ცოცხალი ისტორია, ქვეყნის დიდი მონაპოვრები, ეპოქის ხასიათი, მისი გვირგვინის სახეები. საბჭოთა სახვით ხელოვნებაში შეიქმნა და კვლავაც იქმნება მრავალი ნაწარმოები, რომლებიც ნათლად წარმოადგენს მათი ავტორის — მხატვარ-მოქალაქის პიროვნებას, მის კომუნისტურ იდეურობას.

ლენინური პრემიის გადაცემისას ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევა თავის სიტყვაში აღნიშნა: „ჩვენდეთ პრაქტიკულ ცხოვრებას, დავებმართო ხალხს — უფრო ნათლად ესმოდეს ამ ცხოვრების არსი და მისი მიმდინარეობის მიმართულებანი, დავებმართო ეს ცხოვრება გახადოს უფრო უკეთესი, უფრო სწორი, უფრო ნათელი. უფრო მდიდარი არა მარტო მატერიალურად, არამედ სულიერდაც — რა უნდა იყოს იმაზე მნიშვნელოვანი და კეთილმოზილური? ასეთი საზომით უდგება პარტია იდეოლოგიურ მუშაობასა და ყველა მის ფორმას“.

ეს უმნიშვნელოვანესი დებულება, რომელიც უშუალოდ ეხება ხელოვნების ოსტატებს, განსაზღვრავს მათ დიდ შემოქმედებითი ამოცანებს.

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი სოხუმში

ალექსი არგუნი

დიდი წარმატებით ჩატარდა სოხუმში ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის გასტროლები. მთელი თვის მანძილზე ეს სახელოვანი კოლექტივი, ყოველი მისი სპექტაკლი, იმყოფებოდა მსმენელთა ყურადღების ცენტრში. მასურებელთა გაცხოველებული ინტერესი განპირობებული იყო მრავალი ფაქტორით — ერთის მხრივ, ამ თეატრის შესანიშნავი ისტორიით, სათავეს რომ იღებს გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან და აღბეჭდილია ბრწყინვალე ფურცლებით, ხოლო, მეორეს

მხრივ, იმ მაღალი მუსიკალურ-თეატრალური ტრადიციებით, რომელსაც ათეული წლების მანძილზე თავდადებით აწვითარებენ გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორები, დირიჟორები, მომღერლები, მოცეკვავეები, რეჟისორები, მხატვრები. თანამედროვე ქართული საოპერო და საბალეტო ხელოვნების დროშა მიაქვთ ისეთ გამოჩენილ შემსრულებლებს, როგორებიც არიან საბუთა კავშირის სახალხო არტისტები მედეა ამირანაშვილი, ლამარა ჭყონია, ცისანა ტატიშვილი, ზურაბ ანჯაფარაძე, საქართველოს სახალხო არტის-

ტები ნოდარ ანდლულაძე, ნათელა ტულუში, ირინე ჯანდიერი, თენგიზ მუშუქლიანი, ირაკლი შუშანია და სხვები. მათ მხარს უმშვენიერებენ უნიკიერესი ახალგაზრდა შემოქმედებითი ძალები.

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის შემოქმედებითი ცხოვრება დაძაბულია და ნაყოფიერი, რასაც გვიმოწმებს ის მრავალფეროვანი რეპერტუარი, რომლითაც თეატრი წარსდგა აფხაზეთის მშრომელთა წინაშე. თბილისელთა გასტროლოგმა აფხაზეთის მცხოვრებლებს შესაძლებლობა მისცეს გასცნობოდნენ დასავლეთ ევროპული საოპერო კლასიკის შედეგებს, რუსული საოპერო და საბალეტო ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშებს; საუკეთესო ქართულ ოპერებსა და ბალეტებს. საგასტროლო რეპერტუარიდანაც თეატრსაჩინოდ ჩანს თბილისის საოპერო და საბალეტო თეატრის შემოქმედებითი დიაბაზონის სიფართოვე და სტილისტური მრავალფეროვნება. რეპერტუარის მიზანია მთელი სისასვით გამოავლინოს სხვადასხვა თაობის შემსრულებელთა ნიჭი და ოსტატობა.

თბილისის საოპერო თეატრი ყოველთვის აქტიურად მონაწილეობდა ეროვნული საოპერო და საბალეტო ხელოვნების ჩამოყალიბების და განვითარების პროცესში, მის სცენაზე

დაიბადა ზ. ფალიაშვილის, დ. არაყიშვილის, მ. ბალანჩივაძის, ე. დოლიძის შესანიშნავი ოპერები, მომდევნო თაობის გამოჩენილი საბჭოთა ქართველი კომპოზიტორების საოპერო და საბალეტო სპექტაკლები. საგასტროლო აფიშაზე წარმოდგენილი იყო ოთხი ქართული ოპერა — ზ. ფალიაშვილის „დაისი“, ე. დოლიძის „ქეთო და კოტე“, ო. თაქთაქიშვილის „მთვარის მოტაცება“ და რ. ლალიძის „ლელა“. რა თქმა უნდა, ამ მაღალმახტრული ნაწარმოებებით არ ამოიწურება ქართული საოპერო მუსიკის საგანძური, მიუხედავად ამისა ეს ქმნილებებიც გვექმნიან წარმოდგენას თუ რა გზით მიემართება ეროვნული საოპერო მუსიკის განვითარების პროცესი.

თავისი გასტროლოგი თბილისის საოპერო თეატრმა ტრადიციისამებრ დაიწყო დიდი კომპოზიტორ-კლასიკოსის ზაქარია ფალიაშვილის უკუდავი „დაისით“. დარბაზს მოეფინა იღუმელი ჰანგები ამ ოპერის შესანიშნავი შესავალისა, რომელმაც გული აუღებრა მსმენელებს. ომახიანად ეღერდა ოპერის დიდებულ გუნდები, გზებით სრულდებოდა ცეკვები. დიდ კომპოზიტორის მსმენელი შეჰყავს ქართული მუსიკალური ფოლკლორის წიაღში, სასიმღერო-ქორეოგრაფიული ფორმების სა-

სცენა სპექტაკლიდან „მთვარის მოტაცება“. არხაყანი — ანდლულაძე





სენა სპექტაკლიდან „ტოსკა“
კეარადოსი — ა. ხომერიკი, ტოსკა —
ც. ტატიშვილი

შუალებით იგი გვახდებს ქართველი ხალხის დიად სულში. მისასაღმებელია, ამ სპექტაკლში, რომელსაც გატაცებით დირიჟორებს დ. მარცხულავა, ნიჭიერი ახალგაზრდა მომღერლების მონაწილეობა. აქედანაც ჩანს, რომ თეატრი ზრუნავს ქართული საოპერო ხელოვნების ხეაღინდელ დღეზე. ახალგაზრდა სოლისტებმა თ. გუგუშვილმა (მალხაზი) და ლ. ასათიანმა (კიაზო) ყურადღება მიიპყრეს გამომსახველი სიმღერით, თვალსაჩინო ვოკალური მონაცემებით. სოხუმელი მუსიკის-მოყვარულნი სიხარულით შეხვდნენ სახელოვან მომღერალს, საბუთა კაფერის სახალხო არტისტს ლამარა ჭყონიას, რომლის მიერ მაღალმხატვრულად განსახიერებულმა მარომოგვიზბლა სათნოებითა და კდემამოსილებით. ამ შესანიშნავმა ოსტატმა ფსიქოლოგიური სიზუსტით, თაქიზი და უღარესად დახვეწილი სიმღერით წარმოაჩინა თავისი გმირის მელე-ვარე ფიქრები, განცდები. მან გამოხატა მსხურვალე სიყვარულთა და სულისმიერი ტანჯვებიც. ლ. ჭყონიას სამომღერლო და აქტიორული ტალანტი ღრმად აღიბეჭდა მსმენელთა მეხსიერებაში. ცანგალას დაუვიწყარი სახე შექმნა საქართველოს სახალხო არტისტმა ი. შუმანიამ, რომლის სახასიათო ნიჭ-

მა სიმკვეთრე მინიჭა გმირთა ურთიერთობებს. სპექტაკლ „დაისით“ თბილისის საოპერო თეატრმა წარმოატეხა აილო თეატრის საგადატროლო სტარტი. თეატრის რეპერტუარში თვალსაჩინო ადგილი ეთმობა კომიკურ ოპერებს, რომლებშიც სუფევს იუმორი, სიხალისე, სიცოცხლის სიყვარული. ასეთნაირად არის წარმოდგენილი კომპოზიტორ ვ. დოლიძის პოპულარული ოპერა „ქეთო და კოტე“, შექმნილი გამოჩენილი კომედიოგრაფის ა. ცაგარლის „ხანუშას“ მიხედვით. მსმენელთა წინაშე გაცოცხლდა ძველი თბილისის ცხოვრების საოცრად კოლორიტული პანორამა, დაიხატა ნაირ-ნაირი სახეებისა და ხასიათების მთელი ვალერეა. სპექტაკლში წარმატებით მონაწილეობდნენ სხედასხვა თაობის მომღერლები ა. გაგუა (კოტე), ნ. მკერვალიძე (ქეთო), ლ. ასათიანი (ლევიანი), ს. ტოგონიძე (ბარბაღე), ვ. კანდელაკი (სიკო). მ. ღონაძე (საქო), ვ. დოლიძის ოპერამ, რომელშიც მახვილგონიერულად არის გამოყენებული ქალაქური მუსიკალური ფოლკლორი, სოხუმელი მსმენელები მოხიბლა ხატოვანი მელიოდიურობით, მჩქეფარე კომიზმითა და ნათელი



სცენა სპექტაკლიდან „ოტელი“
ოტელი — ზ. ანჯაფარიძე, დეზდემონა —
მ. ამირანაშვილი

სცენა სპექტაკლიდან „დაისი“
მარი — ლ. კუნიია, ნანო — თ. კრაწა-
შვილი



ლირიკით, იუმორით აღსავსე სიტუაციებით. აფხაზეთის აუდიტორია დიდი ინტერესით ელოდა გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორების ო. თაქთაქიშვილისა და რ. ლალიძის ფართოდ გახმაურებული ნაწარმოებების მოსმენას. ე. გამსახურდიას რომანის „მთვარის მოტაცების“ საფუძველზე შექმნილი ო. თაქთაქიშვილის ამავე სახელწოდების ოპერა მგზნებარედ გამოხატავს საქართველოს რევოლუციურ წარსულს, ქართველი ხალხის ბრძოლას ნათელი მომავლისათვის. ამ სპექტაკლში, რომელიც მსმენელმა მხურვალედ მიიღო, შესანიშნავი სახეები შექმნეს ცნობილმა მომღერლებმა ც. ტატიშვილმა (თამარი), ნ. ანდლუაძემ (არხაყანი), ე. გეწაძემ (თარაში), ი. შუშანიამ (კაც ზამბაია), თ. მუშკუდიანმა (ტარიელი), თ. გურგენიძემ (დედა) და სხვებმა. რ. ლალიძის „ლელამ“ კი აფხაზეთის მსმენელები შეიყვანა საქართველოს გმირულ წარსულში. კომპოზიტორი მისთვის ჩვეული სიწარფელითა და მღვლეარებით გადმოსცემს ქართველი ხალხის თავდადებულ ბრძოლას რომაელ დამპყრობთა წინააღმდეგ. ამ სპექტაკლის წარმატება განაპირობა შესანიშნავი მომღერლების სსრკ სახალხო არტისტის მედეა ამირანაშვილის (ლელა), ნიჭიერი ახალგაზრდა მსახიობების ალექსანდრე ხომერიკი-სა (ბერდი) და გეგამდ მდივანის (გელა) მაღალმხატვრულმა ანსამბლმა. ო. თაქთაქიშვილის „მთვარის მოტაცებასა“ და რ. ლალიძის „ლელას“ დირიჟორობდა ნიჭიერი მუსიკოსი გ. ზამიფარაშვილი, რომელმაც მკვეთრად წარმოაჩინა ამ ოპერების სტილი, ფორმა, მუსიკალური შინაარსი.

საგისტროლო აფიშაზე ფართოდ იყო წარმოდგენილი ევროპული საოპერო ხელოვნება, აფხაზეთის მსმენელებმა დიდი ინტერესით მოუსმინეს ვერდის „ოტელიოსა“ და „ტრაედას“, პუჩინის „ტოსკას“, როსინის „სევილიელ დალას“.

თბილისის საოპერო თეატრის ბოლოდროინდელ ნამუშევრებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ვერდის „ოტელიო“, რომელიც წარმოადგენს მსოფლიო საოპერო ხელოვნების მწვერვალს. ამ ურთულესი პარტიტურის მაღალმხატვრული შესრულებით თბილისის საოპერო თეატრის კოლექტივმა კიდევ ერთხელ გამოავლინა თავისი ამოუწურავი შემოქმედებითი პოტენცია, საშემსრულებლო პროფესიონალიზმი, ისტატუბა, კულტურა. ამ სპექტაკლში დაუეიწყარი სახეები შექმნეს სსრკ სახალხო არტისტებმა ზ. ანჯაფარიძემ მ. ამირანაშვილმა, ც. ტატიშვილმა, საქართველოს სახალხო არტისტმა ნ. ანდლუაძემ. საოპერო სცენის ამ გამოჩენილი ოსტატებს ღირსეული პარტნიორობა გაუწია ახალგაზრდა მომღერალმა ე. გეწაძემ (იაგო).

აფხაზეთის მსმენელნი დიდი სიხარულით შეხედნენ სახელგანთქმულ მომღერალს, სსრკ სახალხო არტისტს, ზ. ფალიაშვილის პრემიის ლაურეატს ზურაბ ანჯაფარიძეს, რომელმაც ოტელოს ტრაგიკული და ღრმად კეთილშობილური სახე შექმნა. მან აღმავალი დრამატუზმით გამოხატა სულსმიერი სილაპაზე ადამიანისა, რომელსაც შეუძლია სიყვარულიცა და სიძულვილიც, ტანჯვაც და სიხარულიც. ზ. ანჯაფარიძის მგზნებარე ხმამ, ინტონირების ნატივმა ხელოვებამ, შერწყმულმა აქტიურულ ოსტატობასთან, დაატყვევა მაყურებელი. დეზდემონას ნაზი და ამაღლებველი სახე შექმნა სსრკ სახალხო არტისტმა ზ. ფალიაშვილის პრემიის ლაურეატმა მადეა ამირანაშვილმა, რომელმაც მღელვარედ, ვოკალური ფერების ხატოვანი ელერადობით გამოხატა დეზდემონას სულსმიერი ტკივილები, დამაჯერებელი და მკვეთრია ე. გეწადის იაგო. ამ ნიჭიერმა ახალგაზრდა მომღერალმა იაგოს ვერავობის, სულიერი სიმდაბლის წარმოსაჩენად მიაგნო ფსიქოლოგიურად ზუსტ ინტონაციებს. ეს სპექტაკლი, აღბეჭდილი ნიჭიერებითა და ოსტატობით, დიდხანს ემახსოვრებათ სოხუმელ მსმენელებს.

დიდი ტრადიციები აქვს ვერდის „ტრაგიკატას“ და როსინის „სევილიელ დალაქს“ თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე. ამ შესანიშნავ ოპერებში წარმატებით გამოდიოდნენ სხვადასხვა თაობის ქართველი მომღერლები. აფხაზეთის მსმენელებმა ამ სპექტაკლში ვიოლეტასა და როსინის როლებში მოუსმინეს საქართველოს სახალხო არტისტებს ნ. ტულუშსა და ახალგაზრდა მომღერალს ლ. კალმახელიძეს, რომლებმაც მსმენელებზე დიდი შთაბეჭდილება დატოვეს მაღალი ვოკალური ტექნიკით, მუსიკალობით, ხასიათების წარმოჩენის ოსტატობით. ამ დადგმებში წარმატებით მონაწილეობენ თეატრის ახალგაზრდა ძალები — ა. ხომერიკი, ზ. ცისკარიძე, ე. გეწაძე, ი. კვასიძე, ნ. გელაშვილი, და სხვები. „ტრაგიკატაში“ ქართველმა მომღერლებმა დაამკვიდრეს ფაქიზი ლირიკის სამყარო, რომანტიკული მღელვარებით გადმოგვეცეს ვიოლეტას, ალფრედისა და ჟერმონის ურთიერთობებში გამოხატული რთული ფსიქოლოგიური განცდები. „სევილიელმა დალაქმა“ კი მთელი სისასუსით წარმოაჩინა ქართველ მსახიობთა ტემპერამენტი, რამაც სასოვნება მიანიჭა კომედიურ როსინისეულ სიტუაციებს.



მელა — ი. ჩანდიერი („მელა“)
სცენა სპექტაკლიდან „ვედის ტა“

როცა ვიხსენებთ ჰუჩინის „ტოსკას“, მესხი-
ერებაში უმაღლეს გვახსენდება „შესანიშნავი“
მომღერალი, საბჭოთა კავშირის სახალხო
არტისტი ცისანა ტატიშვილი — ტოსკას პარ-
ტიის ბრწყინვალე მუსმრულებელი. მისი დი-
დებულე ხმა — მგზნებარე და საოცრად ლა-
მაზი — გამსჭვალულია მომუნსველი ლირი-
კითა და დრამატუზმით. შთაგონებული სიმ-
ღერით ც. ტატიშვილმა დიდი სიაოფენება
მიანიჭა მსმენელს. კავარადოსის როლში
გამოვიდა ახალგაზრდა მომღერალი ალექსან-
დრე ხომერიკი, რომელიც უმაღლეს შეიყვარეს
სოხუმელებმა. ა. ხომერიკმა მოხიზლა მსმე-
ნელი კეთილშობილებით აღსავსე ხმით, ტემ-
პერამენტით, განცდათა მხურვალეობით. მა-
ლაზარისხოვანი ეოკალური მონაცემები
აქვს ჯ. მდივანს, რომელიც დამაჯერებლად ან-
სახიერებს სკარპიას ურთულეს სახეს.

თბილისის საოპერო თეატრის რეპერტუარ-
ში ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი ეთ-
მობოდა რუსულ საოპერო ხელოვნე-
ბას, განსაკუთრებით კი ჩაიკოვსკის ნაწარმო-
ებებს. ამჯერად ამ ნიჭიერმა კოლექტივმა
წარმოადგინა ჩაიკოვსკის ოპერა „იოლანტა“,
რომელშიც მთავარ როლს ასრულებს სსრკ
სახალხო არტისტი მ. ამირანაშვილი. როცა
უყურებ და უსმენ ამ შესანიშნავ მომღერალს,
თვალთაოლე გრძნობ მაღალი ხელოვნების
ზემოქმედების ძალას. აღფრთოვანებას იწყებს
მისი არტისტიზმი, სამომღერლო კულტურა,
დეტალურად დამუშავებული და გააზრბუ-
ლი ყოველი ფრაზა. ამ სექტაკლის წარმატე-
ბაში დიდია ა. ხომერიკის, ჯ. მდივანის, თ.
ლაფერაშვილის წვლილიც.

თავისი სექტაკლებით თბილისის საოპერო
თეატრი ამკიდრებს მაღალ ჰუმანისტურ
იდეალებს. იგი მგზნებარედ უმღერის კეთილ-
შობილებას, სიყვარულს, ერთგულებას, ადა-
მიანის მაღალხნობრივ თვისებებს. ამავე
ამონკანებს ისახავს მიზნად საბალეტო დასიც,
რომლის სავასტროლო რეპერტუარში შეტა-
ნილი იყო ჩაიკოვსკის „გედის ტბა“, მინკუ-
სის „ღონ კიხობი“, ადანის „ჭიხელი“ და
გაბიჩვაძის „მედეა“.

ჩაიკოვსკის „გედის ტბაში“ მთელი სიცხა-
დით გამოვლინდა ცნობილი ბალერინას, სა-
ქართველოს სახალხო არტისტის, ირინე ჯან-
დიერის ტალანტი და ოსტატობა. მას პარტ-
ნიობობას უწევდნენ ვ. ჯულუხაძე, ლ. კრავ-
ცოვა, მ. ლეკიაშვილი, გ. ძასოხოვი და სხვე-
ბი. სექტაკალი კარგ პროფესიულ ღონეზე
ჩატარდა. „ღონ კიხობი“ დადგმულია
გამოჩენილი ბალეტმეისტერის, სსრკ სახალხო
არტისტის, ლენინური და სახელმწიფო პრე-
მიების ლაურეატის ვახტანგ ჰაბუკიანის მიერ.
მასში პლასტიკურ გამომსახველობას პოევე-

ბენ ესპანური მუსიკიდან წარმომდგარი გრა-
ციოზულობა და სამხრეთული ტემპერამენტი.
სოხუმელი მყურებელი ინტერესით გაეცნო
ამ სექტაკლის მონაწილეებს — ნ. მაღალშ-
ვილს, ა. აბესაძეს, რ. ნოვას, ა. გუგუასა და
სხვებს. „ღონ კიხობი“ მყურებელი მო-
ხიზლა მხიარულებითა და მჩქეფარებით, „ე-
ზელიში“ კი იგი ეზიარა ამაღლებული ლირიკის
სამყაროს, განმსჭვალა ტრაგიკული სიყვარუ-
ლის იღები. სექტაკლში მთავარ როლებს
ასრულებდნენ რესპუბლიკის დამსახურებუ-
ლი არტისტი ნ. არბელიძე (ციხელი), ს. ტე-
რეშენკო (ალბერტი), მ. ლეკიაშვილი (პანსი).
განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია
ევრიბიდეს ტრაგედის მიხედვით შექმნილმა
ბალეტმა „მედეამ“, რომლის ავტორია კომპო-
ზიტორი რ. გაბიჩვაძე. ამ სექტაკლის დადგმა
ეკუთვნის გ. ალექსიძეს, რომელმაც მკვეთრი
და საინტერესო კორეოგრაფიული ხელწერით
გახსნა მთავარ გმირთა სახეები, ტრაგიკული
კოლოზები. სექტაკლში შთამბეჭდავი სახე-
ბი შექმნეს მ. ვოდერძოვილმა (მედეა) და ნ.
მაღალაშვილმა (იაზონი).

მთელი თვის მანიბლზე აფხაზეთი ცხოვ-
რობდა საოპერო და საბალეტო ხელოვნებით.
ფართო იყო თბილისის საოპერო თეატრის
სავასტროლო რუკა. კონცერტები თითქმის
ყოველდღიურად იმართებოდა აფხაზეთის
სხვადასხვა რაიონში, ამა თუ იმ ქალაქში, და-
ბებსა და სოფლებში. აფხაზეთის მშრომელე-
ბი, მუშები, კოლმეურნეები დიდი ინტერესით
ეცნობოდნენ კლასიკურსა და თანამედროვე
საოპერო თუ საბალეტო მუსიკას, სიხარუ-
ლით ხვდებოდნენ ნიჭიერ მომღერლებსა და
მოცეკვავეებს, ინსტრუმენტალისტებს, რომ-
ლებსაც მხურვალე აპლოდისმენტებით აჯილ-
დოებდნენ.

ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის
ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემი-
ური თეატრის ვასტროლოგი დაგვიხსენდა
საუბრით კონკრეტით, რომელმაც გამოავლინა
აფხაზეთის მსმენელთა სიყვარული, აღფრთო-
ვანება, მაღლიერება...

მომავლის ნაგებობა

დავით ქაჯაია

მცენარეების დარგვა-მოწყობა არავითარ სიძველეს არ წარმოადგენს, ხოლო თუ მზის დამცველ საშუალებებს გამოვიყენებთ ტერასების სახით, მაშინ საესებით შესაძლებელი იქნება შედარებით მრავალწლიანი მცენარეების დარგვაც.

საერთოდ, ცალკე მდგომ პრიზმულ საცხოვრებელ სახლებში შესაძლებელია მრავალწლიანი ხეების ზრდის სათანადო პირობების შექმნა. არქ. გ. პალხერაიკი და ინჟინერმა სევზომ შეადგინეს მრავალსართულიანი 100 ბინიანი „იდეალური სახლის“ პროექტი ქ. დუშანბესათვის, სადაც ყოველი ბინა ორ დონეზეა, ე. წ. დუბლექსის სახით, განლაგებული გრუნტის უშირო რკინა-ბეტონის ყუთის ირგვლივ. გრუნტის ყუთის სიმაღლე შენობის სიმაღლეა, იგი ორგანოფილებანი: მთათვესებულია შენობის სექციის ცენტრში, ხეების მაქსიმალური სიმაღლე 8 მ. აღწევს და განლაგებულია ორ სართულზე; აქვე იზრდება ყვავილები, ხეიარა მცენარეები და სხვადასხვა სახის ბუჩქნარები; მათი მოწყობა წარმოებს ცენტრალური ხეობის სისტემით; უზრუნველყოფილია თანამედროვე კომფორტით, მაკრებელი კონდენსირებით და პერმიმომცველით. ამგვარად, თუ აუცილებლობა მოითხოვს, არსებობს სრული შესაძლებლობა უზრუნველყოთ მაღალი პრიზმული სახის საცხოვრებელ სახლებში მსხვილი ხეებისა და მცენარეების გაშენება.

ცალკე მდგომ რამდენიმესართულიანი პრიზმული სახლების მშენებლობას მრავალი საუკუნის ისტორია აქვს. რაც შეეხება მაღლივსა და ზემაღლე პრიზმატულ სახლებს, მათი მშენებლობა ძირითადად ჩვენს საუკუნეში დაიწყო, მოქნილ ძაბვებზე მომუშავე ფოლადისა და რკინა-ბეტონის საშენი მასალების გამოყენებით. ასეთი სახლი გეგმაში ყვადრატს, სამკუთხედს, სწორკუთხედს ან სხვადასხვა მრუდწიროს ჩაკეტილ კონუსებს წარმოადგენს, მათი ერთმანეთთან დაკავშირება შესაძლებელია ე. წ. ხიდსახლებით. ტექნიკური პროგრესი და იზოლაციის სამუშაოების ხარისხობრივი შესრულება საგრძობლოდ შეამკობებს ბინებში ამჟამად არსებულ არასასაიმოვნო ხმაურს გამოიწვევს ლიდები-საგან, მიღგაყვანილობისა, ნაგავგაყვანილობისა და სხვა სახის კომუნიკაციებისაგან.

ზემაღლე და მაღლე პრიზმულ საცხოვრებელ სახლებში მომხანდარები სიმაღლის გამო, ერთგვარ შიშს განიცდიან, როცა აივნიბიდან, ლოკიებიდან თუ ფანჯრებიდან იშორებიან. მაგრამ ეს მოგვარდება შერჩევისა და შეჩვევის შედეგად, და თუ გავითვალისწინებთ ტექნიკის შემდგომ პროგრესს, მაშინ მომავალში მაცხოვრებლები სიმაღლეს ნაყოფ აღარ მიიჩნევენ.

მომავალში წარმოებები ძირითადად მიწის ქვეშ ან დასახლების ფარგლებს გარეთ აიგე-

შურნალ „მეცნიერება და ტექნიკა“ 1977 წ. № 1-ში გამოქვეყნებულ სტატიაში განხილულია 2500 მაცხოვრებელზე გათვალისწინებული ცალკე მდგომი სახლი, რომლის მაქსიმალური სიმაღლე 260 მეტრია, ხოლო გეგმამში აქვს კვადრატული ფორმა (ზომებით საშუალოდ 25 მ×25 მ). ამ შენობამ შეიძლება იბრუნოს ვერტიკალური დერძის ორგვლივ, რის გამოც ყველა ბინა ერთფართოა. გათვალისწინებულია აივნები, ლოკები, მზის დამცველი მოწყობილობა.

ასეთ შენობებში აივნებზე ან ლოკებზე ყვავილების, მცირე ბუჩქნარების და ხეიარა

ბა. სავაჟრო, სამკურნალო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობები შვეიცარიის სახელმწიფო კომპლექსში.

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტექტორის ფაქულტეტის მესამე კურსის სტუდენტების გ. ზედგენიძისა და თ. წიქორიძის სამეცნიერო თემაა „მომავლის სახლები“.


ტერასული მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების გაგრძელება ამ საუკუნის მეორე მეოთხედიდან იწყება. ასეთი სახლის წახნაგები დახრილია. მათი სისტემა მეტად გამოკვეთილია, განსაკუთრებით თუ წახნაგის ქანობის კუთხე ვერტიკალურად საგრძნობლად დილა.

ტერასული სახლები შეიძლება იყოს წაგრძელებული, ერთქანობიანი, ორ, სამ და ოთხქანობიანი (ოთხი დახრილი წახნაგით). თუ შენობის გვერდები შეკრულია, მაშინ, როგორც სამი, ისე ოთხ დახრილწახნაგოვანი შენობები პირამიდაა. შეიძლება შენობა იყოს კონუსის მკვეთრი, წაკვეთილი კონუსის ან მოკვეთილი პირამიდის მსგავსი.


მიწის ნაკვეთი ტერასულ სახლს გაცილებით მეტი სჭირდება, ვიდრე პრიზმულს. და ეს მისი დიდი ნაკლია. სამაგიეროდ, მისი დადებითი მხარეა ის, რომ მაცხოვრებელი თავს ისე გრძნობს, თითქოს ერთ ან ორსართულიან სახლში ცხოვრობდეს; მეორეც, — ტერასებზე ადვილად გასაშენებელია მრავალწიანი ხეები და მცენარეები, ბუჩქნარები და ყვავილები.

ასეთი სახლის უარყოფითი მხარეა მშენებლობის გაძვირება 20%-მდე. სათავსოებში არის გამოუყენებელი ფართობები, რთულდება საინჟინრო კომუნიკაციები. ყველაფერი ეს გამოიხატება კოეფიციენტით, რომელიც წახნაგების დახრის კუთხის კოსინუსის ტოლია. რაც შეეხება საშენი მასალების რაოდენობას, ტერასული სახლების კონსტრუქციები (საძირკვლები, კედლები, გადახურვები და სხვა) აღემატება პრიზმული სახლების საშენი მასალების რაოდენობას, აგრეთვე, იმავე კოეფიციენტით. ტერასული სახლის როგორც ექსპლოატაციის, ისე საინჟინრო კომუნიკაციების (ლიფტების, წყალმომარაგების, ელექტრობის) ღირებულება გაიზარდა.

წაგრძელებული ერთქანობიანი ტერასული სახლების საცხოვრებელი ბინების ორიენტაცია შეიძლება იყოს მარტო-ფერდობებზე, ორქანობიანი ბინები კი ორივე ფერდობზეა (მეტეგარტნოგოროტემში, ხახვებში — იზგლისი, სურა) ან: კ. ეუკოვის პროექტებში მოცემულია, როგორც ერთ ფერდობზე, ისე ორივე ფერდობზე დასახლების ორიენტაცია. აღსანიშნავია მ. გლადკის, ვ. კარფიკის და ი. შპარინის (ჩეხოსლოვაკია) პროექტი, სახლ-ქალაქის კომპლექსი, რომელსაც ქვედა ნაწილში წაგრძელებული ტერასული ფორმა აქვს, ხო-



საცხოვრებელი რაიონი „დორანი“, ალერში



ლო ზედა ნაწილი პრიზმულია და გათვალისწინებულია 150 ათას მომხმარებელზე. ავტორის აზრით, მისი აშენება შესაძლებელია როგორც მშელთზე, ისე ზღვაზე. პროექტი ყოველი ბინა ორ დონეზეა (დუბლექსი), გარე ზედაპირზე და ტერასის შიდა სივრცეში მოთავსებულია სპორტული, საეაქრო, სასკოლო, საყოფაცხოვრებო დაწესებულებები, აგრეთვე საწყოები, ვარაჯი და სხვა.

ტერასული ნაგებობა სამი დაქანებული წახნაგით და გვეგაში სამკუთხედილი პირამიდას წარმოადგენს. ასეთი ცნობილი კონსტრუქტორების ფულერის და სადაოს პროექტი სახელწოდებით „ტეტრაედრ-სიტი“. ნაგებობაში გათვალისწინებულია 200 საცხოვრებელი სართული ოთხი იარუსით (ე. ი. იარუსი ყოველ 50 სართულზეა), საიდანაც ბუნებრივად ნათდება ტეტრაედრის შიგა სათავსოები. „ტეტრაედრ-სიტი“-ის ნაგებობაში იცხოვრებს 1 მილიონი კაცი, რომელთათვისაც გათვალისწინებულია 300 ათასი ბინა.

არქიტექტორების ა. შიშკოვის და სხვების საცხოვრებელი კომპლექსი ოთხწახნაგოვანი პირამიდაა.

როგორც პირამიდული, ისე კონუსური ნაგებობები გეგმაში ჩაყვრილი კონსტრუქციები (სამკუთხედო, კვადრატო, სწორკუთხედო, წრე). მათი ფორმა შეიძლება იყოს წაკვეთილი პირამიდა ან კონუსი, აგრეთვე, გამორიცხული არ არის, ყოველი სახლი იყოს ბორცვ-მაგვარი. ინჟ. მ. დრიაზდუის „სახლ-ქალაქი“ გეგმაში წრეა, ის ბორცვმაგვარია, სიმალით 50 მეტრია. ბინები ვალაგებულია წაკვეთილი კონუსის გარე ზედაპირზე. ბორცვის ზედა სიბრტყე (მოკვეთილი კონუსის ადგილი) გამოყენებულია ქალაქის მცხოვრებთა დასასვენებელ პარკად. ბორცვის შიგა მოცულობაში მოთავსებულია: სამრეწველო ტრანსპორტისა და სავაჭრო ნაგებობები, ხელფუნქციონირების მდინარე, მინდორი სოფლის მეურნეობის კულტურებისათვის. გზა მიყვება სპირალმაგვარი მდინარის ნაპირის პარალელურად. სახლი გათვალისწინებულია 8000 მაცხოვრებელზე და უკავია მიწის ნაკვეთის 50000 კვ. მ. თითო მაცხოვრებელზე 5 კვ. მ. ფართობია, ხოლო ხოლმის (ფუძის) დამატებია 250 მ.

ჩვენ განვიხილეთ ტერასული (წარბაქლებული, პირამიდის მაგვარი და კონუსის მაგვარი) ნაგებობები, ტერასულ შეიძლება მივაკუთვნოთ ძაბრისმაგვარი (სოკისმაგვარი) ნაგებობებიც; ძაბრის მაგვარი, ახე გიგანტური თევზის შიგა ზედაპირზე ტერასული სტრუქტურა საცხოვრებელი ბინების სახით. არქ. ვ. იონასმა შეადგინა პროექტი „ძაბრისაბლის“ სახელწოდებით. საცხოვრებელ კომპლექსში სამი „ძაბრისაბლია“. რომელიც ერთმანეთთან დაკავშირებულია ხილური გადასასვლელებით. სამივე სახლის სიმაღლეა 100 მ. სახლის ზედა დამატებია 200 მ. თითოეულში 100 ბინაა — 2 თასი მაცხოვრებელი. ბინები განლაგებულია ძაბრის შიგნით. 25 მეტრის სიმაღლეზე, რომლის დამატებია 50 მ. მოთავსებულია ცენტრალური ბაი. ამ ნიშნულიდან იწყება რგოლური ტერასული დასახლება ძაბრში (75 მ), ხოლო ბინებში კი შეიძლება დრეფენბიდან, რომლებიც ძაბრის გარე ზედაპირზეა განლაგებული. ძაბრის ქვედა ნაწილში, რომლის სიმაღლეა 25 მ. მოთავსებულია: საერთო საზოგადოებრივი-სასკოლო, ადმინისტრაციული, სავაჭრო დაწესებულებები.

არქ. პეიშონი წინადადება იძლევა აშენდეს საცხოვრებელი კომპლექსები პირამიდის, ან კონუსის მაგვარი სახლებით, რომელთა სიმაღლე იქნება 125 მ. ყოველ სახლში იცხოვრებს 2000 კაცი. ეს სახლები შეიძლება აიგოს ხმელეთზეც და წყლის ზედაპირზეც (ზამინ-ქვეზე ან ტივტოზე).

ო. გუსტის და კ. პ. ჩელნიკოვის წინადადებით, დასახლების კომპლექსი უნდა შედგებოდეს სხვადასხვა ტიპის მაღლივი ნაგებობისაგან, კერძოდ, კომქის მაგვარი და სოკოს მაგ-

ვარი შენობებისაგან, რომელთა სიმაღლე 700 მეტრამდეა.

ტერასულ სახლებში ბინის ფართობი საგრძნობლად იზრდება (ტერასების ხარჯზე), მაშინ, როცა პირამიდულ სახლებში იგივე ფართობი გაცილებით ნაკლებად დიდდება (ლოჯიების და აივნების ხარჯზე).

ტერასულ სახლებზე ქარის მოქმედების სიმძლავრე შედარებით უფრო მცირეა, ვიდრე ვერტიკალურ სახლებზე, აგრეთვე მეორე ხელსაყრილი პირობები მიკროკლიმატის შესაქმნელად. სახანძრო უსაფრთხოების თვალსაზრისითაც ვერტიკალურ მაღლივ შენობებთან უპირატესობა აქვს. ამგვარი სახლების მაცხოვრებლები შედარებით კარგად კრძნობენ თავს გარემო პირობებში, ვიდრე ვერტიკალური მაღლივი შენობების მაცხოვრებლები.

როგორც ცნობილია, ტერასულ სახლებს სჭირდება საგრძნობლად დიდი მიწის ნაკვეთი, ვიდრე პრიზმულ სახლებს, ზემდგომ მიწის ნაკვეთი უნდა დაეთოს არა საცხოვრებელ სთავსობებს, არამედ საწარმოო, ადმინისტრაციული, სასკოლო-სპორტული, სამედიცინო, სავაჭრო და სხვა ნაგებობებს. მოზინარდებს შესაძლებლობა ექნებათ აწარმოონ საქმიანობა იმავე შენობაში. დროის დაზოგვის გარდა, ნაკლებად დახარჯავენ თანხებს ქალაქის ტრანსპორტისათვის და მეტი დრო ექნებათ დასვენება-გართობისათვის.

ჩვენ შევიჩუშვეთ მომავლის მაღლივი ნაგებობის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც ტერასულ და პრიზმულ მოცულობათა ერთობლიობას გულისხმობს და დაიდგება მდინარეზე, ან ორი მდინარის შესართავთან. ნაგებობის ქვედა ნაწილი ტერასულია (პირამიდის ან კონუსის მაგვარი) ზედა ნაწილი პრიზმული სახლი. ასეთი შენობა შეიძლება აიგოს სააერომობილო და სარკინოგზო გზებზეც.

პროექტი „სახლის მდინარის ზედაპირზე“ ჩვენს მიერ შემუშავდება სათანადო საინჟინრო და სახარჯთაღრიცხვო მონაცემებით.

ზემაღლივი სახლების მშენებლობისათვის საშენ მასალად ჩირთადად უნდა გამოვიყენოთ მაღალი სიმტკიცის უქანგავი ფლადები, შემომფარაველი ცეცლები, სართულშუა გადახურვები) კონსტრუქციებში შემსუბუქებული სამფენოვანი პანელები, საძირკვლები-სა და სახიდო დაშენებლისათვის დაუძაბავი და დამაბული რკინა-ბეტონი.

პირამიდის მაგვარი ნაგებობის ქვეშ მდინარე გადახურება რკინა-ბეტონის თალავანი (კამარა) კონსტრუქციით და მის ზედაპირზე მოეწყობა წარმოება. მტკვარის კალაოტი თბილისში 80 მეტრია, მაშასადამე, თლის შემალლების ისარი 20 მ. იქნება. თლის საყრდენები მდინარის ნაპირებზეა. მათი ძირი დევს

კლოვიან (ან მტკიცე) გრუნტზე. ამავე საყრდენებს დაყრდნობა შენობის ძირითადი (დახრილი) კარკასები, ერთი ან ორივე სახაპირო შეიძლება გადავხუროთ რკინა-ბეტონის თაღებით ან სხვა სისტემით. მის ქვეშ სატრანსპორტო გზებია, ხოლო დახრილი წახნავის ზედაპირის კარკასი დაყრდნობილი იქნება ამ თაღების განაპირა საყრდენებზე, თალის ზედაპირზე შეიძლება მოეწყოს ბინები ან წარმოება-დაწესებულებები. პირამიდული ფორმა საშუალებას გვაძლევს ნაგებობის სიმაღლე აიყვანოთ 500 მეტრამდე. უკანასკნელი დამოკიდებულია რელიეფზე, მდინარის კალაპოტზე, მდებარეობაზე ზღვის დონიდან და სხვა ფაქტორებზე. ასეთ სახლებში მოსახლეობის რაოდენობა შეიძლება იყოს 5000-დან 25000-მდე. თბილისის ადგილმდებარეობისათვის, კერძოდ მდ. მტკვრის კალაპოტისათვის საშუალოდ 12500 მოზინადრე იქნება ყოველ ცალკე მდგომ სახლში.

ასეთი ნაგებობები მდინარის კალაპოტის გასწვრივ ერთმანეთზე დაცილებული უნდა იყოს 500-დან 1000-მდე. თბილისისათვის ელემბთ საშუალოდ 750 მ. (სახლის დადგმა აუცილებელია მდინარის კალაპოტის საგრძნობლად მოხვეულ ადგილებში) თბილისში, მდინარე მტკვრის გასწვრივ, მილიონიანი მოსახლეობისათვის უნდა დაიდგას 60 სახლი. რასაც დასჭირდება სივრცე 45 კილომეტრი.

შეკრული ოთხწახნაგოვანი პირამიდისმაგვარი ან კონუსისმაგვარი კომპინირებული სახლები პრიზმულთან ერთად მდინარის ზედაპირზე აიგება. ამ სახლის წახნაგების პროფილური მოხაზულობა შეიძლება იყოს სწორხაზოვანი, პოლიგონალური და მრუდფირფლი. ასეთი არჩევანი საშუალებას გვაძლევს შექმნათ მაღალი ესთეტიკური ღირებულების ნაგებობები.

ტერასული ნაგებობის ხმელეთზე დადგმა, როგორც ითქვა, საგრძნობლად დიდი მიწის ფართობს საჭიროებს. მისი ზოვზე დადგმა მოიხიბვს, რომ ფუჭედ მუდამ იყოს ყინვის მასივი ან ძვირად ღირებული რთული კონსტრუქციის ტივტივა, ყინვის მასივის შესაქმნელად საჭიროა სათანადო რთული მექანიზმები, ასეთი კონსტრუქცია ყინვით დაფარულ ზღვებშიც კი არარენტაბელურია, მით უფრო მუდამ უყინავ ზღვებზე.


შენობის დადგმა მდინარის ზედაპირზე არ მოიხიბვს მიწის ნაკეთს. იგი პირამიდაში (ტერასებში) წარმოიშობა და მას გამოიყენებთ წარმოების თვალსაზრისით. მაშინ ჩაყენს მიერ რეკომენდებული სახლის (მდინარის ზედაპირზე) განთავისუფლებული მიწის ნაკეთი გამოყენებული იქნება სავარგულებისათვის, ბალ-ბოსტენებისათვის და ტყეებისათვის.

შეიძლება ელექტროსადგურები მოვაწყოთ ყოველ ნაგებობასთან, წყლის დაგუბებით კი

მოსახლეობას მიეცემა საშუალება განავითაროს ნაოსნური ტრანსპორტი. საავტომობილო ტრანსპორტით მაკონკრეტებოთ ისარგებლოს სანაპირო მაგისტრალებით. სახლებს შორის მოეწყობა მდინარის გასწვრივ დაცილებული ხილდე. როგორც სავალისებლო, ისე ფეხით მოსიარულეთათვის. მოსახლეობის გადასაყვანად კორპუსიდან კორპუსში მდინარის გასწვრივ მოეწყობა საბავშვო გზები, აერობუსების მასშტაბებით.

ახლანდელი სახლები თბილისში (ერთეულეების გარდა) 50-60 წლის შემდეგ ახლები იქნება. დარჩება მხოლოდ ერთეული ნაგებობები, როგორც ეპოქის მნიშვნელოვანი სახეობები. დაწყებითი და საშუალო სასწავლებლები, ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებელი, საცხდელი დაწესებულება, განმრთობის კერები მითავსდება „სახლში-მდინარის ზედაპირზე“. კინო-თეატრები, საკონცერტო დარბაზები, ზოგიერთი სპორტული ნაგებობა კი ისევ ამ შენობებში. მაგრამ სხვადასხვა დონეზე როგორც ქვედა ისე ზედა პირამიდებში. აქვეა საზოგადოებრივი სასადილოები, სავაჭრო დაწესებულებები და საკულტო შენობები. თბილისში შორეულ მომავალში აშენდება ახალი უნივერსიტეტი, სასახლები და სტადიონები. მაშასადამე, თბილისის ტერიტორიის თითქმის 80 პროცენტი გამოთავისუფლდება და დაეთმობა: ბაღებს, მცენარეებს, ხეებს და მწყანეს. ე. ი. იქნება ოთხკუთხედი — დასვენების პარკი.

სახლი ხახნეში (ინგლისი)





მზით განათებული ათასწლეულები

ჯურხა ნადირაძე

ბარდასული კულტურის სულიერი ცხოვრების სურათს რამდენადმე აცოცხლებს ენეოლითურ ნამოსახლარებზე მოპოვებული პრიმიტიული ქანდაკებები: განსაკუთრებით საინტერესოა არახლოს ნამოსახლარზე აღმოჩენილი ქვის ორი ქანდაკება, რომლებიც ადამიანის თავებს გამოხატავენ. ერთი მათგანი განასახიერებს დიდებულ ძლიერ მამაკაცს, რომელსაც ცოცხალი სახე აქვს, ხოლო მეორე — უძლურ-მომაკვდავ მამაკაცს. ამ უკანასკნელს შუბლზე ნახევარმთვარისებური ღარი აქვს, ხოლო პირველს თავის გარშემო წრიული ღრმა ღარი შემოსდევს. საფიქრებელია, რომ ეს ქანდაკებები, ერთიცა და მეორეც, განა-

სახიერებდეს ღვთაებებს: ერთი მათგანი, თავზე საკრალური წრიული ღარით, სავსე მთვარეს, როგორც განახლებული სიცოცხლის მამაკაცური ბუნების ღვთაებას, ხოლო მეორე ნახევარი წრიული ღარით, მთვარეს — დღე-ღამური ნათების შედეგად მილეულს და ქვენა სოფელში ჩასასვენებლად გამზადებულს. ვიდრე ამის შესახებ უფრო ნათლად რამის თქმას შევძლებდეთ, აღვნიშნავ, რომ უძველესი ღვთაებების დაბადება დაკავშირებულია ასტრალურ წარმოდგენებთან. ბერძნული სიტყვა — ასტეროსცის მნათობს, ვარსკვლავს აღნიშნავს, რომელთანაც განუყრელადა დაკავშირებული პირველყოფილი რელიგიების წარმოქმნა და მათი შემდგომი ჩამოყალიბება. ძველი ცივილიზაციების რელიგიებში უზენაესი ღვთაებები მზეს და მთვარეს განასახიერებენ. მაგალითისათვის შეი-

* დასასრული. იხ. „საბჭოთა ხელოვნება“ № 9, 1980

ძღვება მოვიტანოთ ბაბილონეთის ასტრალური კულტი, რომლის პანთეონში შეიღო ღვთაება შედოდა. უზენაესი ადგილი ეჭირა სინს — მთვარეს და შამაშს — მზეს. შედეგ მოდიოდა მარდუქი — იუპიტერი, იშთარი — ვენერა, ნერგალი — მარსი, ნამბუ — მერკური, ნინურტა — სატურნი. ქართულ ასტრალურ კულტში ასევე უმთავრესი ღვთაებები მზესა და მთვარეს განასახიერებდნენ. ჩვენში განსაკუთრებით ძლიერი იყო მთვარის ღვთაების კულტი, შესაძლებელია მისდამი თაყვანისცემას ფესვები შორეულ წარსულში ჰქონდეს გადატანილი და იმ დროიდან მიმდინარეობდა, როდესაც მარნეულის ველზე ალიზის უძველესი სოფლების მკვიდრნი ცარგვალზე მომხდარ ასტრალურ მოვლენებს უთვალთვალდებნენ და თავიანთ არსებობას, სიკვდილ-სიცოცხლის მარადიულ საკითხებს მნათობების მოძრაობას უკავშირებდნენ.

არახლოს ნამოსახლარზე მოხდა ერთი მეტად საინტერესო აღმოჩენა, რომელიც, ჩემის აზრით, ამ საკითხის ამოხსნას უწყობს ხელს. აქ იპოვეს ადამიანის ტანს მოკვეთილი და ცალკე დამარხული თავის ქალა. თავის ქალის დაკრძალვის ასეთი წესი დამონმებულია იერიქონის ნეოლითურ ძეგლებს. არქეოლოგმა ქეთან კენონმა იერიქონში გათხარა თავმოჭრილი ადამიანის საძარბები და ცალკე დამარხული თავის ქალა. მეცნიერებმა ეს მოვლენა დაკრძალვის რიტუალის დუკანშირეს და მთვარის კულტის არსებობით ახსნეს. იერიქონის მოსახლეობა ბაძავდა იმას, რაც მათ თვალწინ ცარგვალზე ხდებოდა. სასვე მთვარე მათდათან ქრებოდა და მერე, დროთა მანძილზე, ისევ ჩნდებოდა, ახალ სიციცხლეს ეწყებდა. ჩანს, ადამიანებმა თავიანთი სიციცხლე მნათობის სიციცხლის მსგავსად წარმოადგინეს, ამიტომ მიცვალებულებს თავს კეთდნენ, რათა იგი მთვარის მოჭრილი თავის მსგავსად კვლავ აღმდგარიყო და სიციცხლე გაგრძელებია.

მთვარე ამ შემთხვევაში, ბუნებრივია, წარმოდგენილი იქნებოდა, როგორც სიკვდილ-სიცოცხლის ღვთაება. ვფიქრობთ, არახლოს ნამოსახლარზე მოპოვებული ქვის ქანდაკებები წარმოადგენენ იმ ორბუნებოვანი ღვთაების გამოსახულებას.

აიორკავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ენეოლითური ნამოსახლარზე უამრავი თიხის ქანდაკება აღმოჩენილი. ქანდაკებების უმრავლესობა ღვთაებებს განასახიერებენ. ამ უცნაურ გამოსახულებებს რომ უყურებ, უნებლიედ გაგონდება ბიბლიური ლეგენდა ადამიანის გაჩენის შესახებ, რომელიც ღმერთმა თიხისაგან გამოქმენა. ისე როგორც ბებერი სხვა ბიბლიური ლეგენდა, ესეც უსსოვარ დროში მომხდარ ფაქტს ყვრდნობა. ადამიანმა თიხისაგან ქურჭლის გაკეთებაც კი არ იცოდა. როდესაც თიხისაგან ღვთაება გამოქმენა, ყოვლის შემქმნელმა მიანიჭა და

თავის მფარველად და დამთრგუნველად აღიარა. რა თქმა უნდა, ღმერთიც ასე უნდა მოქცეულიყო ადამიანის მიმართ და მოექცა კიდევ. თიხისაგან გამოქმენის სამყაროს გვირგვინს თავისი სული შთაბერდა და დასაბამი დაუდო კეთილისა და ბოროტის უსასრულო ბრძოლას. აქ და სხვა ნამოსახლარებზე აღმოჩენილი თიხისაგან გამოქმენილი ქალის ქანდაკებები, როგორც მკვლევარები ფიქრობენ, ქართულ პანთეონში მდებდრობითი სქესის ღვთაებად აღიარებულ მზეს განასახიერებენ.

მარნეულის მასალების შესწავლის შედეგად შესაძლებელი გახდა საქართველოს უძველესი ისტორიის საპრობლემო საკითხების დასმა და გადაჭრაც კი. შეიქმნა ნაშრომები ძველ მინათმოქმედებაზე, ხუროთმოძღვრებაზე და მინათმოქმედებაზე. ეს იგი პირველყოფილი რელიგიის ჩასახვა-განვითარებაზე. ამ შესწავლაზე, ღრმად მეცნიერული შრომის ავტორი, პროფესორი იაზონ კვიციანი განიხილავს ნეოლითურ ძეგლებზე აღმოჩენილ ანთროპომორფული ქალის ფიგურებს და დასძენს, რომ ეს არის იმ ქალღვთაების უძველესი წინაპარი, რომელსაც ქართველი ტომები საუკუნეების მანძილზე თაყვანს სცემდნენ, როგორც სიციცხლის მშობელ „დიდ დედა ნანას“. დიდი დედის კულტი მზესთანაა შერწყმული. ეს რომ ასე იყო, ამის დასტური ზარბაზის კულტია და ის ფაქტები, რომ მზე ქალური ბუნების ღვთაებად იქცა. მზის აღმნიშვნელ სიმბოლოებში სწორედ მის ქალურ ბუნებას აქვს ხაზი გასმული“. მარტო მზე უძღურია ნაყოფიერების მოცემავში, მისი გამანაყოფიერებელი ძალა დედამიწასთან ურთიერთობაში იძლევა ნაყოფს, ამიტომ ისიც, დედამიწაც, ღვთაებად წარმოდგინდება. ამის დამადასტურებელია საქართველოში შემორჩენილი „ადგილის დედის“ კულტი.

მარნეულის ერთერთ ნამოსახლარზე აღმოჩენილი თიხისაგან გამოქმენილი ქალის ფიგურას საგანგებოდ აღნიშნული ინკრუსტირებული თვალედი აქვს. მეცნიერის აზრით, „თვალეების აქცენტირება სიმბოლური მნიშვნელობისაა. თვალი, ძველი ცივილიზებული ხალხების წარმოდგენაში, მზის სიმბოლოა და მიხს სინონიმია; ასევეა ქართულშიც, სადაც მზეს საერთოდ ფუძე აქვს მზერასთან და მნათობის გარდა, თვალსაც ნიშნავს. თვალი, როგორც მზის სიმბოლო, კარგად ჩანს ქართულ გამოთქმაში. მზის — თვალი, მცხუნვარება, პაპანაქება, „ჩემმა მზემ“, „შენმა მზემ“, რომლის შესატყვისად სვანები ხმარობენ: „ჩემმა თვალმა“, „შენმა თვალმა“. აქედან შეიძლება ის დასკვნა გავაკეთოთ, რომ უძველეს ნამოსახლარზე აღმოჩენილი ეს ქალღვთაებები ასტრალური წარმოშობისანი არიან და როგორც ხანდახან იერიქონულად უწოდებენ, „ენეოლითური მადონები“ მზეს განასახიერებენ. მზის ცარგვალზე ბრუნვასთან დაკავშირებულია ბუნების

კვდომა-განახლება და რა გასაკვირია, რომ იგი ნაყოფ-
ლოთაბად იყოს წარმოდგენილი. განვითარების გვიან
საფეხურზე ნაყოფიერების ეს ქალღვთაება სხვა ფუნ-
ქციონასაც ითვისებს და ყველა ღმერთების დედად გვე-
ვლინება.

მზის კულტი დაკავშირებულია და შერწყმულია
აგრეთვე კერის კულტთან. ეს მოვლენა ძნელი ასახს-
ნელი არ არის. კრადგან ზამთრის ცივ ღამეებში ალი-
ზის ქოხში მოღულუღე კერია, რომელიც სახლს ათ-
ბობდა და ანათებდა, ენაცვლებოდა დიდებულ მწა-
თობს. ამიტომაც იყო, რომ მოგვიანო ხანაში თიხისა-
გან გაკეთებულ კერას მზის ფორმა ჰქონდა. კერის
კულტი, რომელიც განვითარების გვიან საფეხურზე
უკავშირდება ნაყოფიერების კულტს, ადგილის დედის
კულტს და ასე შემდეგ, მეტად რთულ რელიგიურ პრო-
ცესს მოიცავს. კერა საკურთხეველს წარმოადგენს და
რიტუალში ცენტრალურ ადგილს იჭერს. მასში თით-
ქმის მთელი ასტრალური სიმბოლიკაა წარმოდგენი-
ლი.

მეექვსე ათასწლეულით ათარიღებზე საქართველოს
ადრე სამინათმოქმედო კულტურას. უფრო გასაგე-
ბად რეო ვთქვათ, ორი ათასი წლის მანძილზე, ძვე-
ლი ნეოლითური ხანის საქართველოში მცხოვრებ
საუკუნეებზე ბრწყინავდა ბუნებრივი თიხის ნაგები
ალიზის სოფლები ქვემო ქართლში და არა მარტო აქ.
უფრო შორს აღმოსავლეთით, მტკვრის გაღმა-გამოღ-
მა მხარეს. მილასა და მუღლანის უკიდურეს ვიწრო, ბი-
ბლიური მთის ძირში, ნაყოფით დახუნძლულ არარა-
ტის დაბლობზე ცხოვრობდა ხალხი. რომელიც ქმნიდა
ამიერკავკასიის ისტორიის თავფურცელს. ამ ხალხს
ურთიერთობა ჰქონდა წინააზიის უძველეს მოსახლე-
ობასთან, იმ ქვეყნების მცხოვრებლებთან, რომლებიც
ცივილიზაციის კარიბჭესთან იდგნენ. ჯერ კიდევ მა-
შინ, იმ უხესულ დროში, ამიერკავკასიისა და მახლობ-
ელი აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის გაიკვალა გზები
და ჩაისახა საფაქრო კავშირები. ახლა ძნელია ამ ურ-
თიერთობაზე ნათელი წარმოდგენის შექმნა, მაგრამ
ამიერკავკასიის ძველებზე აღმოჩენილი თუნდაც ჰა-
ლაფისა და ობეიდის მსგავსი კერამიკის პოვნის ფაქტი
უსათუოდ გულისხმობს იმ უძველესი კულტურის ურე-
ქმნელ ხალხის ურთიერთობას. საქართველოს შემგ-
ლებს გარეთ აღმოჩენილ ადრე სამინათმოქმედო ძეგ-
ლებზე წარმოებული გათხრები, მეცნიერების თვალსა-
ზრისით, ძალზე ნაყოფიერი აღმოჩნდა. მან დასაბამი
დადო ჩვენს ნეოლითური კულტურის შესწავლას.
თავდაპირველად ამ გათხრებს მიეძღვნა ამიერკავკა-
სიის უძველესი ისტორიის შესანიშნავი მკვლევარის,
ა. იესენის ნაშრომი. ნახჭევანის ქოლღ-თეფეზე, მი-
ნის სიღრმეში ოცდამეერთე მეტრზე, მეცნიერებმა პი-
რველად შენიშნეს საცხოვრისის კვალი, რომლის არ-
ქეოლოგიური მასალა სრულიად განსხვავდებოდა ამი-

ერკავკასიაში მანამდე ცნობილი ყველა კულტურისა-
გან. დაიწყეს ძიება და არქეოლოგებმა აზერბაიჯანში
აღმოაჩინეს ენეოლითური ხანის ნამოსახლარები: ბა-
ბა დერეჯიში, თირან-თეფე, შოში-თეფე და
მრავალი სხვა. მტკვრის გაყოლებით გამწკრივებულ
საუკუნეების ფერფლით დაფარულ ამ ბორცვების ტე-
რიტორიაზე აღმოჩენილი ძეგლების გათხრას დიდი
შრომა შეაღიეს და შემდეგ შესანიშნავი ნაშრომი მი-
უძღვნეს აზერბაიჯანელმა არქეოლოგებმა: ო. აბიბუ-
ლაევი, ი. ნარიმანოვა, ფ. მახმუდოვა და ჯ. რუს-
ტამოვა. კასპის გაღმა მხარეში კი დიდ წარმატებას
მიაღწია ლენინგრადელმა მეცნიერმა ვ. მასონმა. 1955
წლის შემოდგომაზე იგი სამხრეთ თურქმენეთის არ-
ქეოლოგიური ექსპედიციის ერთ პატარა რაზმთან
ერთად ჯეითუნს ეწვია. ჯეითუნი თურქმენეთის დე-
დაქალაქის, აშხაბადის ჩრდილო-აღმოსავლეთით
მდებარეობს, ოცდაათიოდე კილომეტრის მანძილზე.
პატარა ბორცვია ყარაყუმის უდაბნოს დასაწყისში. ამ
ექვსიოდე მეტრის სიმაღლის გორაკს ჯერ კიდევ ომ-
ამდე მიაქციეს მეცნიერებმა ყურადღება, ხოლო 1952
წელს აკადემიკოსმა ბორის კუფტინმა აქ მცირე გათ-
ხრების შედეგად მოპოვებულ მასალებს საგანგებო
შრომა მიუძღვნა. ნიჭიერმა მეცნიერმა, რომელმაც
თავისი სიცოცხლის დიდი ნაწილი უძველესი ქართუ-
ლი კულტურის შესწავლას შეაღია, საიდან გამაქრ-
ახობით განსაზღვრა ამ ძეგლის ისტორიული მნიშუ-
ნელობა. ბ. კუფტინი დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ
შუა აზიის ამ უძველესი სამოსახლოს მცხოვრებლებს
მშვილდისათან ერთად ხელში თოხი ეჭირათ და ჯე-
ითუნელების ძირითად საქმიანობას მინათმოქმედება
წარმოადგენდაო. ისინი, განაგრძობს პროფესორი,
ოაზისებში დათესილ ყანებში კაჟის ნამგლებით თუ-
რეულს მივდნენ და მოშინაურებული ძალით მისი
ფერდაბზე შეფენილ ცხვარს მწყემსავდნენო. ამას
რომ ამბობდა, რა თქმა უნდა, შუა აზიის უძველესი
სამეურნეო ეკონომიკის განვითარებას გულისხმობ-
და. კუფტინს აღარ დასცადა იმხანად თურქმენეთ-
ში აღმოჩენილი ძეგლების კვლევა. მის კვლვ. გ. მა-
სონი გაჰყვა და უნდა ითქვას, რომ იგი დიდი მეცნიე-
რის ღირსეული დამკვიდრე აღმოჩნდა. ყოველ ზაფ-
ხულს, კოჭეძე დაღის მთებსა და ყარაყუმის ბარბა-
ნებს შორის მდებარე, სიციხით გათანგულ ნამოსახლა-
რზე, არქეოლოგი თავის თანამშრომლებთან ერთად
უდიდესი გულმოდგინებით აცლიდა მიწას ალიზის
სახლებს. მიწაზე იხატებოდა სოფელი, იგი განსხვავდ-
ებოდა ამიერკავკასიის ნეოლითური სოფლებისაგან.
ნაგებობები აქ თითქმის ყველა ოთხკუთხედი ფორმი-
სა იყო. შუა აზიის ადრესამინათმოქმედო ხანის ძეგ-
ლებზე აღმოჩენილი მასალების განხილვის შედეგად
პროფესორმა მასონმა ღრმად მეცნიერული ნაშრომი
შექმნა. მან არქეოლოგიაში შემოიღნა ტერმინი

საქართველოს საზოგადოებრივი მეცნიერებების აკადემია



„ჯეითუნის კულტურა“ და ამ კულტურის შესწავლის შემდეგ წარმოადგინა არა მარტო მახლობელი აღმოსავლეთის, არამედ ამერიკის კონტინენტის ადრესამინათომოქმედო კულტურის ჩასახვისა და მისი განვითარების საკმაოდ მკაფიო სურათი. მეცნიერული ანალიზი, წერდა ვ. მასონი, „ნათლად გვიჩვენებს, რომ ნეოლითური რევოლუცია გენერალური გზა კაცობრიობის განვითარებისა ადრეკლასობრივი საზოგადოებისაკენ. არსებითად, ქურთისტანის მთებში მცხოვრები პირველი მინათომოქმედი ხალხის თოხის ხმა იუნჯებოდა ცივილიზაციის საძირკვლის ჩაყრას“.

უნდა ითქვას, რომ ზემოთ განხილული ადრესამინათომოქმედო კულტურის ძეგლებიდან არცერთი ისე ახლოს არ დგას ნამდვილ ცივილიზაციასთან, როგორც ჩათალ-ჰუიუკი. ძველი კულტურების მრავალრიცხოვან მკვლევართა შორის ყველაზე მეტად ჯეიმს მელარტს გაუზიარებია. მისი აღმოჩენები იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ მსოფლიოს ფართო საზოგადოების ყურადღება მიიქცია და ჩვენი საუკუნის სამოციანი წლების არქეოლოგიურ სენსაციად იქცა.

თუ რაოდენ მნიშვნელოვანი და პოპულარული გახდა ჩათალ-ჰუიუკის გათხრები, ამაზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ ჯეიმს მელარტს ფინანსურ და სამეცნიერო დახმარება უწყვეტად მსოფლიოს ისეთი სოლიდური სამეცნიერო დაწესებულებები, როგორებიც არიან: ბრიტანეთის აკადემია და ლონდონის უნივერსიტეტი, არქეოლოგიის ინსტიტუტი და ედინბურგის უნივერსიტეტი, კანადის სამეფო მუზეუმი და ავსტრალიის არქეოლოგიის ინსტიტუტი, ახალი ზელანდიის ქრისტიანული ეკლესიის უნივერსიტეტი და ანკარის ბრიტანეთის არქეოლოგიის ინსტიტუტი, ნიუ-იორკის ანთროპოლოგიური ვეინერ-გრენის დაწესებულება, სტამბოლის გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტი და კოპენჰაგენის ნიი კარლსბერგის დაწესებულება. მელარტი წერს, რომ ვარსებებს დიდი დახმარება გაუწიეს განსვენებულმა ფრენსის ნილსონმა, ჯ. ზიბლიმ და კარდუფებისა და ბალყარების გრაფმა ალენმა. იყვნენ ისეთი ხალხი, რომლებმაც საერთაო გვარის გაუმყვლად, ყოველგვარი ანგარების გარეშე, გასარებას საკმაოდ სოლიდური თანხები შესწირეს. რამ გამოიწვია ასეთი ინტერესი ანატოლიის მიმართ. იმ ქვეყნის მიმართ, რომელმაც არქეოლოგიური აღმოჩენების წყალობით მეცნიერებმეოცე საუკუნის მანძილზე მსოფლიო საზოგადოების ყურადღება მიიქცია. 1834 წლის შემდეგ, როდესაც ფრანგმა მეცნიერმა შარლ მარი ტემპლემ თურქეთში, სოფელ ბოღაზ-ქოსთან უცნობი ცივილიზაციის ნანგრევები იპოვნა, ანატოლია არქეოლოგიის მისი ასპარეზად გადაიქცა. მეცნიერებმა, შედარებით მცირე ხნის მანძილზე, აქ აღმოაჩინეს ნანგრევებად ქცეული უძველესი ქალაქები, რომლებსაც ერთ

ღროს ბრწყინვალედ ნაგები სახლები და სასახლები, ტაძრები და ბიბლიოთეკები ამშვენებდა. ხალხი, რომელმაც ეს კულტურა შექმნა, დიდი ხნის წინათ აღიგავა მარს პირიდან. მათ შესახებ თვით ყოფილსმოქმედებერწებსა და რომაელებსაც კი არაფერი ახსოვდათ. არცთუ ისე მრავალრიცხოვანმა მეცნიერებმა, ჩქეულუკემა და ფილოლოგებმა, სამოცდაათიოდ წლის თავდადება შრომის შედეგად მკვდრეთით აღადგინეს ხალხი, რომელმაც ძველი ნეოლითურების მეორე ათასწლეულში უდიდესი იმპერია შექმნა: ხეთები, ვისაც ეს იმპერია ეკუთვნოდა, კულტურისა და ხელოვნების ყველა დარგში ლიანდარეობის უწყვეტად ეგვიპტისა და შუამდინარეთის უძველეს ცივილიზაციებს. ანატოლიაში ამ ისტორიული სასწაულის მკვდრეთით აღდგომის შემდეგ თათოს განსაკვირვებელი აღმარებრივი უნდა მომხდარიყო, მაგრამ ჯეიმს მელარტმა, ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების წყალობით, კვლავ მიიქცია მსოფლიო საზოგადოების ყურადღება. მან სამოციანი წლებში სამეცნიერო ანატოლიაში გათხრა „ნეოლითური ქალაქი“, რომელიც ჩვენთვის უცნობმა ხალხმა ხეთების დედაქალაქმა სათუსაზე ორმოცდახუთი საუკუნით ადრე ააშენა.

ჯერ კიდევ 1952 წელს კონიის დაბლობზე მოგზაურობისას, მიდნარე ჩარსაბა ჩაის დელტაში, მელარტმა ტანრუსის თემის ძირში გაშლილი დაბლობის პერიმეტრზე ბორცვი შენიშნა. უგზობის გამო მასინამ გორაკამდე ვერ მიაღწია. შეიდი წლის შემდეგ კვლავ გამოჩნდა ამ მხარეში და როგორც თვითონ წერს, ნოემბრის ცივ დღეს, შებინდებისას, აღან პოლესა და დევიდ ფრენჩის თანხლებით ჩათალ-ჰუიუკის ორმაგ ბორცვს მიაღწია. ქარ-წვიმისაგან გაშოშვებული მის სამხრეთ ფერდობზე არქეოლოგებმა აღიზინა მატური ნაგები შენობების ნაშთები შეამჩნიეს და მიხვდნენ, რომ მათ ეხებებოდა საიდუმლოებით მოცული უძველესი ნამოსახლარი იყო ჩამარხული.

ჩვენი აღმოჩენის მნიშვნელობა, წერდა მეცნიერი, იმთავითვე ნათელი შეიქნა, რადგან მოძიებელი კერამიკა და ოპსიდიანის ისრის პირები საოცრად გაგადნენ და თითქმის იმეორებდნენ პრეო. ჯონ გარტბანის მიერ ჩათალ-ჰუიუკიდან ორასიოდ მილით დაშორებულ სამხრეთ თურქეთის სანაპიროზე მდებარე მერსინის ნამოსახლარის ქვედა ფენაში მოპოვებულ ნეოლითურ კულტურას.

იმიხიანდ მელარტი ანატოლიის სხვა მხარეში მუშაობდა, ჩათალ-ჰუიუკიდან სამასიოდ კილომეტრით დაშორებულ შავილარის ნამოსახლარს თხრიდა ბურდურის ტბის სანაპიროზე. კონიის დაბლობზე 1961 წ. გაამდინავებდა. გათხრები დაიწყო და, როგორც იტყვიან, ბარის ერთი დაკერი ნეოლითური ხანის ბრწყინვალე კულტურა გამოაშხურა. გათხრების

დასაწყისში არაჩვეულებრივი არაფერი მომხდარა. ბორცვის პირველ ფენაში მზეზე გამომშრალი ალიზის აგურით ნაგები ოთხკუთხედი ფორმის ნაგებობის კონტურები მოიხაზა. როდესაც სახლების შიგა სივრცეები გაასუფთავეს და ნაგებობის რთულ კონსტრუქციებზე წარმოდგენა შესაძლებელი გახდა, არქეოლოგები მიხვდნენ, რომ ამ უძველესი ხუროთმოძღვრების შემქმნელი ხალხი განვითარების მაღალ საფეხურზე იდგა. უცნაურად იყო ნაგები ჩათალ-ჰუიუკის სახლები. მათ კარი არ ჰქონდათ, ადამიანები სახლში სახურავიდანვე შედიოდნენ და გამოდიოდნენ. სამხრეთის კედელზე მიდგმული კიბის საშუალებით მისი ბინადარი ჭერში დატანებულ სარკმელამდე აღწევდნენ, ხოლო აქედან კედელზე მიდგმული კიბით ეზოში ჩამოდიოდნენ. როდესაც გარეთა კიბეს მოხსნიდნენ, საცხოვრებელი სიმაგრედ გადაიქცეოდა და მტრისათვის ძელად მისაადგომი ხდებოდა. სახლის შიგა სივრცე მყუდროდ და მოხერხებულად იყო მოწყობილი, ღერწმის ფოთლებითა და ნახად ქსოვილი ჭილოფებით მოფარდაგებულ ალიზის შემადგენელ ტახტზე ოჯახის წევრები იწვნენ ან ისხდნენ, ხოლო ასეთივე შემადგენელი სკამები, რომლებსაც მელარტი თურქული დივნების პროტოტიპებად მიიჩნევს, ოჯახის პატრონების საუფროსო სავარძლეებს წარმოადგენდა. სამხრეთ კედელში მოთავსებული პურის საცხობი ღუმელისა და კერის კვალი იმავე სარკმელად გადაიდა, საიდანაც ოჯახის წევრები, ჭერის მახლობლად გაჭრილ სარკმელში ჩამოხვერილი მზის სხივი სახლს სინათლით ავსებდა, ხოლო დამლაშობით მზეს ცეცხლი სცვლიდა და კერის ჯადოსნური ალი იღუმელებით მოცულ ლანდებს აღცილიცებდა ოქროსფრად მიოღვარე ქოხის კედლებზე. კაცმა რომ თქვას, ეს ტერმინი არც კია სამართლიანად ნახმარი ჩათალ-ჰუიუკის სახლების მიმართ. მართალია, ზოგიერთი ნაგებობის ფართობი 12 კვადრატულ მეტრამდე აღწევს, მაგრამ გვხვდება ისეთებიც, ორმოცდაათამდე კვადრატულ მეტრ სივრცეს რომ მოიცავს. როგორც მელარტი წერს, მშენებლობაში ყველაფერი გეგმაზომიერებას და ნერსიგს ემორჩილება. აგურის ზომები, სახლებისა და საკულტო ნაგებობათა სტანდარტული გეგმები, პანელების სიმაღლე, შესასვლელი კარები და განსაკუთრებით კი ოთახების ზომები, რომ ზომავდნენ? შეკლევარები ფიქრობენ, რომ საზომ ერთეულებს ხელისა და ფეხის ტერფები წარმოადგენდნენ. იმ ეროსათვის ეს სრულიად კანონზომიერი იქნებოდა, მითუმეტეს, რომ მტკაველი, გოჯი და ციდა ჯენს დროშიაც კი გამოიყენებოდა პირობით საზომ ერთეულად. უნდა ვიფიქროთ, რომ ჩათალ-ჰუიუკელებს ჰქონდათ საზომი ჯოხი, რომელიც, შესაძლოა, უდრიდა ორი ან სამი ტერფის სიგრძეს, ან ოთხი ხელისგულის სიგანეს. ასეთი ფართის შესამაგრ-



ჩათალ-ჰუიუკის შიშობარე ქალღმერთის ქანდაკება

ებლად კარგ საბუთს წარმოადგენს ალიზის აგურები, რომელთა ზომები უმეტეს შემთხვევაში სტანდარტულია და უახლოვდება ფეხის ტერფისა და ხელისგულის სიგრძე-სიგანეს. საზომი ერთეულებით შეიარაღებული ხელოსან — „ინჟინრები“ აგეგმარებდნენ არა მარტო ცალკეულ შენობებს, არამედ მთლიანად ქალაქს, რის შემდეგობითაც შესანიშნავად იყო გადაწყვეტილი თავდაცვის პრობლემა, შენობების სინათლითა და ჰაერით უზრუნველყოფა. ისინი ცდილობდნენ მჭიდროდ დასახლებაში რაც შეიძლება გაეზარდათ ეზოების რიცხვი და ფართობი, რომ მოსახლეობა ჰაერითა და სინათლით უზრუნველყოფთ. ძნელი იყო აგრეთვე მშენებლობისათვის ბორცვის ტერასებად ათვისება და სწორკუთხა სახლების ოვალურ გორაკთან შესამების პრობლემა, რაც ჩათალ-ჰუიუკის ხუროთმოძღვრებაში სირია-პალესტინისა და აზიერკავკასიის ნამოსახლარებისაგან განსხვავებით შესანიშნავადაა გადაწყვეტილი. არქეოლოგებმა აქ გათხარეს ნაგებობები, რომლებიც ტერასებზე ორ მწკრივად იყო განლაგებული და სახლების კედლებს დიდი ნაწილი ერთმანეთზე გადაბმულ უწყვეტ ხაზს ქმნიდა. აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ დამხრობილი სახლების ვიწრო რიგებს ცვლიდა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ დამხრობილი სახლების უფრო ფართო რიგები, რაც საცხოვრებელი სახლებისა და საკულტო ნაგებობების ერთი მთლიანი კონსტრუქციული დაგეგმარების შედეგად იქნებოდა შესაძლებელი.

ჩათალ-ჰუიუკის ნაგებობებს შორის ყველაზე საინტერესოა საკულტო შენობები. ალიზის ეს პირველყოფილი „ტაძრები“ თავისი გვემით თითქმის არ განსხვავდება საცხოვრებლისაგან. სამაგიეროდ აქ აღმოჩენილი მრგვალი ქანდაკებით შემკული საკურთხევლები და კედლის მხატვრობა სულიერი და მხატვრული კულტურის უძველეს ძეგლთა შორის ყველაზე მეტად მეტყველი და სრულყოფილია. თორმეტი საამშენებლო დონის მიხედვით, რომელიც მელაარტმა ჩათალ-ჰუიუკის ბორცვის 19 მეტრიანი სისქის კულტურულ ფენაში გამოჰყო, ამ უძველესი ხელოვნების განვითარების ცალკეული საფეხურების გამოყოფაც კია შესაძლებელი, მაგრამ ამაზე საუბარი შორის ნაგვიყვანს და მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ პირველყოფილი რელიგიური ნააზრევის შედეგად წარმოქმნილი ჩათალ-ჰუიუკელთა ხელოვნება თავისი განვითარების გვიანდელ საფეხურზე რანგით მიახლოებულია მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი ცივილიზაციების ადრეულ ხანის ხელოვნებასთან. ჩათალ-ჰუიუკის მხატვრობაში, მელაარტი, ექვს ჯგუფს გამოჰყოფს: ესენია: შესანიშნავი ფერებით მოხატული საკულტო ნაგებობების პანელები; პანელები შემკული სხვადასხვა სიმბოლოებით, პანელები შემკული მონოქრომული ან პოლიქრომული ორნამენტით, ნატურალისტური მხატვრობითა და პეიზაჟით. რვა ათასი წლის წინათ შესრულებული ერთი პეიზაჟი ისეთ სინამდვილეს ასახავს, რომელიც ჩვენს დროში ყველაზე ადრეა აღმოჩენილი. ჩათალ-ჰუიუკში მომუშავე არქეოლოგებმაც იცოდნენ, რომ კონიის დაბლობის აღმოსავლეთით, მზისაგან შენითლებული ტრამალების სიღრმეში აღმართულ ჰასან დალის მთაზე, ოდესღაც ვულკანი ბოლავდა. ძველი კულტურის ძაძიებლები მაშინ, რა თქმა უნდა, ვერ წარმოიდგენდნენ, რომ ისინი არქეოლოგიური გათხრების საშუალებით დიდი ხნის წინათ ჩამქარალი ვულკანის მოქმედების თარიღს დაადგენდნენ. მეშვიდე ფენაში, მეთოთხმეტე საკულტო ნაგებობას რომ თხრიდა, მელაარტმა ჩრდილოეთ კედელზე მხატვრობის კვალი შეამჩნია. ეს ადგილი, ბუნების ჯაგრისით, უდიდესი სიფრთხილით გაასუფთავა და არქეოლოგებმა ოთხკუთხედი სახლების ფონზე აღმართული ჰასან დალის ორთავიანი მწვერვალი გამოიცივნეს. მხატვარს იგი დასახლებიდან შორს, ძალიან შორსა აქვს გამოხატული. ჯადოსნური მწვერვალის ერთ წვერზე ვულკანი ბობოქრობს, ცა ფერფლითა და კვამლის ღრუბლებით არის გაშავებული, დამსკდარი ნაპარლებიდან ამოდენილი ლავა მოთუხთუხებს და მთის ფერდობები ვულკანის მიერ ამოხეთქილი ქვებითაა ჩახერგილი. ამ სენსიური სტიქიის უფრო ნათელი სურათის გადმოცემა უძველესი ხანის ხელოვნებაში ძნელი წარმოსადგენია. ეჭვის გარეშეა, რომ ჰასან დალი ჩათალ-ჰუიუ-

კელთა რწმენა-წარმოდგენაში მაგიური თვისებებით აღჭურვილ მთას წარმოადგენდა. არა მარტო მთა, მაგიური იყო, აგრეთვე. მთის ფერდობებზე მოპოვებული ობსიდიანიც. მელაარტი წერს, რომ: „ჩათალ-ჰუიუკელთათვის ობსიდიანის ძირითადი საბადო იყო ჰასან-დალის მთა და, უნდა ვიფიქროთ, რომ მათ მიერ ეს მასალა დაფასებული იქნებოდა არა მარტო როგორც მჭრელი იარაღის დასამზადებელი მადანი, არამედ როგორც დედამიწისათვის ქვესწელიდან (საიქიოდან გამოგზავნილი ნობათი, აღჭურვილი მაგიური თვისებებით. საკითხის გააზრება შეიძლება დაგვიხმაროს იმის გარკვევაში, თუ რა ამოძრავებდა ძველთა დედამიწისათვის მეშვიდე ათასწლეულის მინურულში მცხოვრებ მხატვარს, როდესაც საკულტო ნაგებობის კედელზე, ჩათალ-ჰუიუკის ქალაქის ფონზე, აღბეჭდა ვულკანური ამოფრქვევით გამოწვეული ცნობისმოყვარეობა და შიში. თუ ეს სურათი უნიკალურია, ამას თავისი საფუძველიც უნდა ჰქონოდა. მაშასადამე, მხოლოდ ჩათალ-ჰუიუკში მიადნია ნეოლით-

სრამის დიდგორა. ქალის ქანდაკება



ური ხანის ადამიანმა ცივილიზაციის სათანადო დონის და მხოლოდ მისი ხელოვნების წიაღში დაიბადა გენიზ, შთამომავლობისათვის ამგვარი მოვლენის აღბეჭდვა რომ შეძლო". მეღაარტმა ეს უძველესი მხატვრობა იქვე მოპოვებული ნახშირის წყალბით, რომლის დაწვის თარიღს ეგრეთ წოდებული ც-14 მეთოდით, ფიზიკოსები, შედარებით ზუსტად ანგარიშობენ, ძველი ნეოლითური ხანის სამოცდობრი საუკუნით დათარიღა.

უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, რვაათას ორასი წლის წინათ, იდგა მხატვარი ამ მყუდრო სენაჟში და მის კედლებს საკუთარი „ქალაქისა“ და ჰასან-დალის აბოორტებულ მთის პეიზაჟით აღამაგებდა.

არქეოლოგები მოხილვა მესამე ფენის პირველი საკულტო ნაგებობის კედელზე გამოსახულმა ცეკვისა და ნადირობის სცენამ. ტანწერწერა მოცეკვავეებს შორის ბალერინას მსგავსი შესაშური მოძრაობით რამდენიმე შიშველი სოლისტია აღბეჭდილი. აქვეა მედოლე მუსიკოსიც და წრის შუაგულში მოთავსებული უთავო თეთრი ფიგურები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ფრესკაზე სარიტუალო ცეკვის პროცესისა გადმოცემული. ცეკვაში უთავო ფიგურების სახით გარდაცვლილი წინაპრები მოწანილივინ. მხატვარი ახერხებს გადმოსცეს და მაყურებელი შესანიშნავად გრძნობს ცეკვის რიტმსა და მოძრაობის გრაციოზულობას. კედლის ნახევარი ნადირობის სცენას ჰქონდა დამოხილი. ლეოპარდის ტყავებაში გამოწყობილი მემვიღენი რქებდატოტვილ ხარიმებს ერებს ესერინ და ქამანდებს რქებზე აცმევინ. მესამე ფენის სამლოცველოს ერთ კედელზე კი ირებზე მონადირე მშვილდოსან მეძებარი ძალიც მიუძღვის წინ. სხვა საქმეა ძაღლის მოწინაურების ფაქტი, მაგრამ აქ ნადირობაში განვრთნილი ცხოველია გამობახული და ამდენად ეს სურათი ადამიანის მოღვაწეობის მეტად ღირსშესანიშნავ მომენტს გადმოცემს. არქეოლოგებმა საკულტო ნაგებობების კედლებზე სასოფლო-სამეურნეო პეიზაჟებიც აღმოაჩინეს. მოხნულ მინდორში წრეებითა და წერტილებით მარცვლის ჩასათესი ორმოება აღნიშნული. სურათზე გამობახული ყვავილები და მწერები ჯეჯილის ამოყრას, ხოლო ხელი-სგულის ანაბეჭდით ორმხრივ შემოზღუდული კომპოზიცია, რომლის შუაში წითელი ბადა ჩახატული, მოსაღლის ადების სიმბოლურ სცენას უნდა წარმოადგენდეს. მეღაარტის აზრით ხელები, ამ სურათზე, პურის თავივარს უნდა განასახიერებდეს. ეს მოხარება სრულიად მართებული ჩანს და შეიძლება ისიც დავუმატოთ, რომ ამ დროისათვის ხორბლისა და ხელის აღმნიშვნელი სიტყვა ერთი და იგივე ყოფილიყო. ხორბალი, როგორც ხელით მოყვანილი, ხელით შექმნილი, ხელის სინონიმი. ჩათალ-ჰუიუკელთა შემოქმედე-

ბაში შვიდ ფერი, ისე როგორც დღეს, მწუხარებას გამოხატავდა. ამ ფერთაა შესრულებული დაკრძალვასთან დაკავშირებული რელიგიური სიუჟეტები. სამლოცველოს კედლები ძალიან შხრად შავ, უზარმაზარ, სვაებს აქვთ დამოხილი, რომლებიც ადამიანის უთავო ცხედრებს ზეცისკენ მიაქროლებენ. მეღაარტი ფიქრობს, რომ ამ შავი სვაების სახით, რომლებსაც ზოგჯერ ადამიანის ფეხები აქვთ, შესაძლოა მხატვარი სიმბოლურად გადმოცემოს დაკრძალვის რიტუალის შემსრულებელ ადამიანებს.

საგულისხმოა, რომ ჩათალ-ჰუიუკელთა დაკრძალვის რიტუალში არსებული წესი ტანისაგან თავის მოშორებისა, მისი ცალკე დაკრძალვისა, ისე როგორც იერიქონში და არახლოს ნამოსახლარზე, ჩანს აქაც გარდაცვლილი ადამიანის კვლავ აღდგომასა და სიცოცხლის მარადიულობას გულისხმობდა.

ორმოციოდ საკულტო ნაგებობა გათხარა მეღაარტმა ჩათალ-ჰუიუკში. კედლის მხატვრობის გარდა არქეოლოგმა იქ იპოვნა მხატვრული თვალსაზრისით მაღალ დონეზე შესრულებული რელიეფები და სხვადასხვა რელიგიური შინაარსის სიმცველი ქანდაკებები. ხელოვნების ამ უძველესი ძეგლების შემყურე არქეოლოგებს საშუალება მიეცათ თვლი გაეფიქრებინათ ნეოლითური კულტურის განვითარების ათასწლეულის ისტორიისათვის და შთამომავლობისათვის დაეხატათ შორეული წინაპრების სულიერი ცხოვრების ნათელი სურათი. მეღაარტს ერთი მხრივ ძალზე გაუმართლა. ადგილი, სადაც გათხრები დაიწყო, აღრული ხანიდანვე წარმოადგენდა საკულტო ნაგებობათა სამაშენებლო მოედანს. სხვადასხვა დონეზე მის მიერ აღმოჩენილი უძველესი „ტაძრების“ იკონოგრაფიაში რელიეფური და მრგვალი ქანდაკების უმთავრეს თემას ქალღმერთის გამოსახულებები წარმოადგენდა. სამლოცველოთა კედლებზე ისინი გამოად სქემატურად იყვნენ გამოსახული, მაგრამ სანობორლი მრგვალი და განზე გამოსახილი ფეხები სრულიად აშკარად მიუთითებდა, რომ ღვთაება ფეხშიშემ ან მშობიარე პოზაში იყო გადმოცემული. შედარებით რეალისტურადაა შესრულებული მრგვალი ქანდაკების ნიმუშები. ერთ-ერთი მათგანი, რომელსაც ზონზროხა სხეული აქვს, კატისებურთავიან ცხოველის სხეულზე დაყრდნობილ მშობიარე ქალღმერთს გადმოცემს, რომელიც ვაივივილს სიცოცხლეს ანიჭებს. ჩათალ-ჰუიუკში ქალღვთაებების ქანდაკებები დიდი რაოდენობით აღმოჩნდა და სწავლა მათგანის დახასიათება აქ არ მოხერხებდა. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ისინი უზენაესი ღვთაების სხვადასხვა ატრიბუტებს ატარებენ და უპირველეს ყოვლისა ნეოლითური ქალაქის მკვიდრთა სიკვდილ-სიცოცხლის არსა გამარტენი არიან. ჩათალ-ჰუიუკის სარწმუნოება-

ში გარკვეული თვალსაზრისით რელიგიური დოგმატიკი კი იყო შემუშავებული. ჯერ კიდევ გათხრების დროს „ანატოლიურ სტუდენტში“ გამოქვეყნებულ სამეცნიერო ანგარიშებში ჯეივს მელარტი აღნიშნავდა, რომ „ჩათალ-ჰუიუკის საკულტო ნაგებობათა გაფორმება გარკვეულ წესს ემორჩილებოდა და გარდაცვალებასთან დაკავშირებული სცენები აუცილებლად წარმოდგენილი იყო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის კედელზე, რომელთა ქვეშ მიცვალებულებს მარხავდნენ, ხოლო დასავლეთის კედელი დაბადებასთან დაკავშირებულ სიუჟეტებს ჰქონდა დამოხილი“. ქალღმერთის რელიეფებსა და ხარების თავის საკულტურულ გამოსახულებებს სამლოცველოში განსუთრებული ადგილი არ ჰქონდათ მიჩნეული. ეს გარემოება შეიძლება იმით აიხსნას, რომ ისინი როგორც მთავარი ღვთაებები, ყველა რელიგიურ რიტუალში მონაწილეობდნენ. განსაკუთრებით ეს ითქმის დედაკაცური ბუნების ღვთაებაზე, რომელსაც ჩათალ-ჰუიუკის პანთეონში პირველი ადგილი ეჭირა. მეორე ადგილზე მყოფი მამაკაცური ბუნების ღვთაება, რომლის სიმბოლოს ჩათალ-ჰუიუკის რელიგიაში ხარი წარმოადგენს, შობილია ყველა ღმერთების დედის მიერ. ამ აზრს ნათლად ადასტურებს სამლოცველოში არქეოლოგების მიერ მიკვლეული რელიეფი, სადაც ქალღმერთი ხარს შობს. ერთ შემთხვევაში ქალღმერთი მშობიარე პოზაშია გამოხატული აღმოსავლეთის კედელზე, იქ სადაც მიცვალებულებს ასახელებდნენ, ეს ნიშნავს, რომ იგი კედლის ქვეშ ადრძალვლი მიცვალებულების სიცოცხლის მიმნიჭებელი ღვთაებაა. ენოლთიდან მოყოლებული წინაქრისტიანული ხანის ეპოქაში ადამიანს მოკრუნჩხულს, დედის მუცელში ჩასახული პოზით რომ მარხავდნენ, ეს მისი ამ ვიყვანაში კვლავ დაბრუნების იდეის გამომხატველი იყო. ჩათალ-ჰუიუკელთა წარმოდგენით წინაპართა დაბრუნება უნდა მომხდარიყო მამონ, როცა ქალღმერთი მათთვის სიცოცხლის მიანიჭებს მოსურნეებს. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ მათ აზროვნებაში სიკვდილი სიცოცხლის ლოგიკურ განრქელებას წარმოადგენდა. ადამიანი ქვეშ სოფელში მოგზაურობის შემდეგ მნათობივით კვლავ ამოვიდოდა და მარადიული სიცოცხლის კიდევ ერთ ციკლს გაივლიდა. ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშებს წარმოადგენს რელიეფურად შესრულებული ერთმანეთის საპირისპიროდ მდგარი, რბილი ტონებით შეფერადებული ლუპარდები. ტავროსის მთებისა და კონის დაბლობის ყველაზე ძლიერი და სასტიკი მხეცის გარდა სამლოცველოების საკულტო თემას წარმოადგენდა გამანადგურებელი ძალის მეორე გარეული ტიპი. არქეოლოგები თითქმის ყველა სამლოცველოში საკუთხელებზე პულობდნენ ალიზისაგან გამომქნნილ, ზოგჯერ ნამდვილი რქებით შემკულ ხა-

რის თავებს. უკვე ვთქვი, რომ ხარი ისე, როგორც ვაცი, მამაკაცური ღვთაების სიმბოლო იყო, ხოლო ველური ბუნებისა და სიკვდილის სიმბოლოდ მიჩნეული ლუპარდი, ღორი და სხვა ცხოველები, მელარტის აზრით, ჩათალ-ჰუიუკში დამოუკიდებელ ღვთაებებს არ წარმოადგენდნენ. სამლოცველოებში მათი მოთავსება ველურ ბუნებაზე ღვთაებათა ბატონობის გამომხატველია. ამიტომაც არის, რომ ბჭი ღვთაება ლუპარადე ზის, ლუპარდი ქალღმერთს შობიარდასში ეხმარება, ლუპარდის ტყავით შემოსილ ქალღმერთს მისი ლეკვები მხარზე ასხედან და ა. შ.

ძველი ნელთადრიცხვის მეექვსე ათასწლეულის დასაწყისში ჩათალ-ჰუიუკში ტრაგედია დატრიალდა. ქალაქში რამდენიმე დღე ხანძარი მდინარეებში, ცეცხლმა ყველაფერი შთანთქ. ხანძარის ფენამ ერთ მეტრს მიაღწია. გახრწნის პროცესი შეწყდა და რაც ცეცხლს გადაურჩა, შესანიშნავად შემონახა. ამ კატასტროფის წყალობით ჩვენამდე მოაღწია ნატიფად ნახელებმა ხის ნივთებმა, რომლებიც ზოგჯერ სანახევროდ იყო დანახშირებული და ჭურჭლის ფორმებზე და დანიშნულებაზე არქეოლოგებს სრულ წარმოდგენას უქმნიდა. რადიოკარბონული თარიღის მიხედვით ჩათალ-ჰუიუკში ხანძარი ჩვენს წელთაღრიცხვამდე 5880 წელს გაჩენილა. მაშინ და „ქალაქის“ მოსახლეობამ ჯერ კიდევ ხეირიანად არც იცოდა თიხის ჭურჭლის გაკეთება, მაგრამ შემდგომი ხუთასი წლის მანძილზე მათ ტექნიკაში უდიდეს პროგრესს მიაღწიეს და კაცობრიობას ლითონის გამოდნობის ხელოვნებაც შესძინეს. ჯერ კიდევ არ არის ცნობილი რომელ მთებში აწარმოებდნენ სამთამდნო საქმიანობას და საიდან მოჰქონდათ ვერცხლისა და სპილენძის თამოსადგნობი მადანი. ჯერ კიდევ აბაჯის უნახავს, თუ როგორი ტექნიკური აღჭურვილობა ჰქონდათ ლითონის სადგომ ღუმელებს, მაგრამ აქ მოპოვებული ნივთების მიხედვით დანამდვილებით შეიძლება ითქვას რომ კონიის უკიდვანო დაბლობზე დაბაზმდნენ ისინი, ვინც მსოფლიო მეტალურგიას დასაბამი დაუდო. რვაათასი წლის წინათ ჩათალ-ჰუიუკის ბორცვზე ბოლავდა მათ მიერ დანიშნული პირველი ბრძმედეები, რომელშიაც ცივილიზაციის ბორბლების ღერძი იხარშებოდა.

ათასი წელიც არ უცხოვრიათ ჩათალ-ჰუიუკელებს ჩათალ-ჰუიუკის ბორცვზე. ძველი ნელთადრიცხვის მეშვიდე ათასწლეულის შუა ხანაში, ცხრაათას ხუთასი წლის წინათ დაიწყო მათ აქ მოღვაწეობა და მეექვსე ათასწლეულის შუა ხანებამდე მოატანეს. ჩვენთვის გაუგებარი მიზეზების გამო რვა ათას ხუთასი წლის წინათ ისინი აქედან აიყარენ, მდინარე ჩარსაბაჩაის გაღმა გავიდნენ და იქ დასავლეთის ბორცვზე დასახლდნენ. შეიდასი წლის შემდეგ საერთოდ მიატოვეს კონიის დაბლობი და მეცნიერებს დღემდე ვერ

დაუდგენიათ მათი გარდახვეწის კვალი და მერმინ-
დელი სამშობლო. ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს,
რომ ანატოლიის უძველესი კულტურა საფუძვლად
დაედო ევროპულ ცივილიზაციას, მაგრამ ჯერჯერობ-
ით ასეთი მოსახლეობა დამადასტურებელი მყარი
საბუთი არქეოლოგიურ მეცნიერებას არ გააჩნია. ერთ-
თა რამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას — ჩათალ-
ჰუიუკის მოსახლეობა არავის არ გაუნადგურებია. ისინი
აქედან თავისი ნებით გადასახლდნენ და სადღაც
წაიღეს საუკუნეების განმავლობაში წინაპართა გე-
ნიის წყალობით შექმნილი კულტურა, რომელიც ჩვე-
ნი პლანეტის უპირველეს კულტურათა შორის ყველა-
ზე დიდ მიღწევას მოიცავდა. უნდა ვიფიქროთ, რომ
კონიის დაბლობზე დაგროვილი ეს უდიდესი გამოც-
დილება უკვალოდ არ შეიძლება გამქრალიყო. ცივი-
ლიზაციის კარიბჭესთან მდგომმა ჩათალ-ჰუიუკელებ-
მა სადღაც სხვა გეოგრაფიულ გარემოში შეაღეს ამ
კარიბჭის კარი და თავიანთი ცოდნა რომელიღაც უძ-
ველესი ცივილიზაციის შექმნას შეუძლებს.

მათ დიდი ამაგი დასდეს საკაცობრიო აზრის გან-
ვითარებას, როგორც ტენიკის, ასევე იდეოლოგიის
სფეროში და მინაც ჯეიმს მელარტის მიერ ჩათალ-
ჰუიუკისადმი ნახმარ ტერმინს — ქალაკს, მიუხედავად
შეამჩნევდა, რომ გზადაგზა ბრჭყალებში ვაქცევდი-
ნამდვილ ქალაქებად ეგვიპტის მეშფოხი და შუამდი-
ნარეთის ური შეიძლება მივიჩნიოთ; ისინიც შორეულ
სპილენძ-ქვის ხანაში აღმოჩენდნენ. მაგრამ ჩვენ ვი-
ციტ მათი მეფეებისა და დამარსებლების სახელები-
რაც შეეხება ჩათალ-ჰუიუკის „მერებსა“ და მის
მცხოვრებლებს, ალბათ, ჩვენ წარმოდგენასაც კი ვერ-
რასოდეს შევიქმნით იმის შესახებ, თუ როგორ წარ-
მოითქმება მათი სახელები. ამ მიზეზის გამო ჩათალ-
ჰუიუკის კულტურისადმი ვერც ისტყვა ცივილიზაცი-
ის ვიხმარ იმ გაგებით, როგორც ჩვენ ამას მეოთხე
ათასწლეულის ბოლოდან მოყოლებული შუამდინარ-
ეთისა და ეგვიპტის კულტურისადმი ვხმარობთ, რად-
გან ნეოლითის დროინდელ ანატოლიაში არ აღმოჩე-
ნია ის, რაც ცივილიზაციის გვირგვინს წარმოად-
გენს და რასაც დამწერლობა ეწოდება. ჩათალ-ჰუიუ-
კის კულტურას, ხატოვნად, უგვირგვინო ცივილიზა-
ცია შეიძლება ვუწოდოთ. მისი აღმოჩენით მელარტ-
მა ფარდა ჩამოაცალა კაცობრიობის ყრმობის ხანას
და ისტორიის სცენაზე აკიფდა იმ კულტურის ჩირა-
ლდანი, რომელსაც სრულიად უნიკალური ადგილი
უკავია ადამიანთა მისწრაფების ხანგრძლივ ისტორი-
აში და რომელიც მთელი ჩვენი ცივილიზაციის საფუძ-
ველს წარმოადგენს. სწორედ ამის გამო გამოიწვია
ჩათალ-ჰუიუკის გათხრებმა უდიდესი ინტერესი. ხო-
ლო მისი აღმოჩენი, პოლანდიელი მკვდონადღების
გვარის შთამომავალი, ჯეიმს მელარტი, რომელიც
1925 წელს ლონდონში დაიბადა და ორმოცდაათიან

წლებში სამეცნიერო ხარისხის დაცვის შემდეგ ანკა-
რაში ბრიტანეთის არქეოლოგიური ინსტიტუტის დირ-
ექტორის მოადგილე იყო, მსოფლიოში ცნობილი
არქეოლოგი გახდა. ჩათალ-ჰუიუკი მის მიერ აღმო-
ჩენილი ძველესი ამერიკისა და ევროპის მუზეუმებმა
საექსპოზიციო დარბაზები დაუთმეს. თვითონ მელა-
არტს კი ყველა კონტინენტზე იწვევდნენ და იგი საჯა-
რო ლექციებს კითხულობდა: ნიქონიაში, ბეირუთში,
ამანში, იერუსალიმში, ვენაში, ბერლინში, ფრანკფურ-
ტში, მარბურგში, ციურისში, უენევაში, პარიზში,
ლონდონში, ლიონში, ოქსფორდში, კემბრიჯში, მან-
ჩესტერში, ლოძში, ნიუკასლში, ბრისტოლში, ედინ-
ბურგში, სენტ. ედინბურგში, ტორონტოში, ნიუ-იორ-
კში. ეს სია შეიძლება კიდევ გავევგრძელებინა, მა-
გრამ საქმარისა იმის ნათელსაყოფად, თუ რაოდენ
დიდი ინტერესი გამოიჩინეს სამეცნიერო წრეებმა და
არა მარტო სამეცნიერო წრეებმა, სუთი კონტინენტის
პრესა ფართოდ აშუქებდა ჩათალ-ჰუიუკის გათხრებს
და საზოგადოების დიდი ნაწილი ინტერესით ადევნებ-
და თვალყურს მეცნიერთა მიერ ახლად აღმოჩენილ
კულტურას, რომელიც ანატოლიაში ჩვენთვის უცნო-
ბმა ხალხმა ხეთების მოსვლამდე ოთხათასი წლით
ადრე შექმნა.

უნდა ვთქვათ, რომ საქართველოში ჯერ კიდევ არ
აღმოჩენილა ნეოლითური ხანის ისეთი მრავლისმე-
ტყველი ძველი, როგორც ჩათალ-ჰუიუკია, მაგრამ
მტკვრისა და ხრამის, მამავერასა და დაბედას სანაპი-
როებს გულმოდგინედ ზეწრავენ უძველესი კულტურ-
ის მამოძებელი ქართველი მეცნიერები. ბოლნისის რა-
იონში არქეოლოგიური ცენტრის ექსპედიციას ახალ-
გაზრდა დავით გოგელია უდგას სათავეში, ხოლო
ხრამის დიდ გორას წარმატებით მიხრის თამაზ კილუ-
რაძე. მან შესანიშნავი ნაშრომი იბოძლენა საქართვე-
ლის ადრესამინათმომქმედ კულტურის პერიოდ-
იზაციას და ახალი, მრავლისმეტყველი მასალები მიი-
პოვა მარნეულის ველის ნამოსახლარებზე.

ამ ძეგლების მომავალმა შესწავლამ შესაძლოა მე-
ცნიერებს კვლევის ფართო პერსპექტივები გადაუშა-
ლოს.

კამერული მუსიკალურ-დრამატული თეატრის პრობლემები

ანდრია ბალანჩივაძე

კამერული მუსიკალურ-დრამატული თეატრი ამ სახელწოდებიდანაც ჩანს, რომ ლაპარაკი გვექნება ხელოვნებათა ძირითადი სახეებისა და მათთან დაკავშირებული დარგების პარმონიული შერწყმისა და გაერთიანების იდეაზე, რომელიც მოითხოვს ხორცშესხმის შესატყვისი ფორმების ძებნას. ამ ერთიანობაში გარკვეული როლი უნდა დაეკისროს, ერთის მხრივ, პოეზიასა და მხატვრულ კითხვას, დრამატული თეატრის რეჟისორთა და მსახიობთა ხელოვნებას, ხოლო, მეორეს მხრივ, მუსიკას — მის ეოკალურსა და ინსტრუმენტულ ეანრებს, ბალეტს, პანტომიმას, მქლოდეკლამაციას, მხატვრობას, გამოხატულებას რომ ჰპოვებს ხატოვან დეკორაციებში, კოსტუმებში, ფერად განათებაში.

ერთი შეხედვით, აქ თითქოს არაფერია უჩვეულო და განსაკუთრებული, რადგან დრამატულსა და მუსიკალურ თეატრებში მონაწილეობენ ხელოვნებათა უმეტესი დარგები,

კამერული თეატრი კი მათ კონკურენციას ვერც გაუწევს დადგმების მასშტაბების თვალსაზრისით, რაც არც შეადგენს მის მიზანსა და ამოცანებს. მაგრამ ამგვარი თეატრი, რომელიც შეძლებს სხვადასხვა ხელოვნებათა ფორმებისა და ეანრების ასეთ თავმოყრას, მაინც განსაკუთრებული იქნება. საქმე ისაა, რომ გამოჩენილი ოსტატების მიერ დიდ სცენებზე დამკვიდრებული დამდგმელობითი ფორმები ეყრდნობიან თეატრალური წარმოდგენების ტრადიციულ გაგებას, რომელიც არ ითვალისწინებს სპექტაკლის იდეის ერთდროულ გამოვლინებას რამდენიმე ხელოვნების ურთიერთკავშირის საშუალებით. დიდ სცენაზე კი წამყვანია ხელოვნების ერთი დარგი, რომელიც სხვა ხელოვნებას იმორჩილებს. ასე მაგალითად, საოპერო სპექტაკლში მომღერალმა, რომელიც შესანიშნავად მღერის თავის პარტიას, შეიძლება რომ თავისი როლი არ შეასრულოს სამსახიობო ხელოვნების ასეთსავე მაღალ დონეზე. აქ დასაშვე-

ბია ვოკალური და აქტიორული ხელოვნების ერთგვარი უთანაბრობა. თუმცა მსმენელს უჩვენია, რომ ასეთ მომღერალს თვალდახუჭულმა უსმინოს.

მაგრამ დიდ სცენებზე ვერ შეხვდებით ისეთ სანახაობას, სადაც მუსიკა ან ცეკვა თან ახლავს ლექსისა ან მონოლოგის კითხვას და სადაც თითოეული მათგანის ფუნქცია თანაბარულელებიანი იყოს. ასეთ თეატრში ხელოვნებათა დაკავშირების მრავალნაირი ვარიანტი არსებობს, თუნდაც ვოკალური ანამბლის გამოსვლა ბალეტის სოლისტთან თუ სოლისტ-ინსტრუმენტალისტთან ერთად ან ლექსების კითხვა ჩრდილებისა თუ თოჯინების თეატრის ატმოსფეროში, სოლო სიმღერა პანტომიმის მსახიობების მონაწილეობით, დრამატული ან კომედიური პიესების წარმოდგენა. ინსტრუმენტულ ტრიოსთან, კვარტეტთან ან კვინტეტთან კავშირში და ა. შ. ყველაფერი ეს მავალითებია კამერულ თეატრში ხელოვნების სხვადასხვა ეანრების დაკავშირებასა, რაც დიდ პერსპექტივებს სახავს მწერლების, პოეტების, კომპოზიტორების, რეჟისორების, მხატვრების, შემსრულებლების შემოქმედებითი ფანტაზიის წინაშე. მაგრამ ასეთი თეატრალური ფორმების ძიებისა და შექმნისათვის საკმარისი სულაც არ არის მარტო სწრაფი, სურვილი, ფანტაზია, ამასთან ერთად, საჭიროა დახვეწილი გემოვნება, რომელიც წარმომდგარი იქნება ხელოვნებათა დარგების სპეციფიკის ღრმა და ორგანული ცოდნით.

ხელოვნების სხვადასხვა დარგები ვანა ყოველთვის ლოკალურად ვრწყვიან ერთმანეთს? ზოგჯერ ისინი უშლიან კიდევ ერთიმეორეს. ჩვენი მიზანია ისეთი თეატრის შექმნა, სადაც ხელოვნების დარგები ვამაღლებენ, შთაავსებენ, მხარს დაუჭერენ ურთიერთს, რითაც ვაზრდიან ძირითადი იდეის სილამაზეს, სახოვანების, ზემოქმედების ძალას. ვამორიციხული არ არის, რომ პედანტურად ვანწყობილმა მაყურებელმა ან მსმენელმა ვანაცხადოს: „ბალეტი ხელს ვეშლის მოვესმინოთ მსახიობსა დუ მკითხველს!“ ან „თავს ნუ მახვეთ დეკლამაციას ან სხვა სანახაობას, როცა შოპენის სონატა სრულდება!“ იგი მართალი იქნება, როცა ორი ხელოვნების შერწყმა, საფუძველს მო:ლებული უახრობამდე მიდის.

პირველი რეპლიკის შემთხვევაში შესაძლოა ბალეტმა საქმეს უშველოს კიდევ, თუ ლექსია სუსტი ან მკითხველია უნიჭო. მეორე

რეპლიკის შემთხვევაში კი ვოდევილი უადგილო იქნება, თუკი პიანისტი არ აღმოჩნდება ნიჭიერი და საინტერესო.

მაგრამ ჩვენს მიერ შემოთავაზებულ თეატრალოზაციას სხვაგვარი დანიშნულება უნდა ჰქონდეს: ჩვენ შევეჩვიეთ ტრადიციულ საკონცერტო ატმოსფეროს-ელვარე ქალებს, რომლებიც აჩრდილებენ მსმენელსა დარბაზს, საკონცერტო ესტრადასა და სოლისტ-პიანისტს: ესოდენ საზეიმო ვითარება ყოველთვის ერთნაირია შესასრულებელი ნაწარმოების, მისი ხასიათის მიუხედავად.

მაგრამ თუ, მავალითად, შოპენის ბე-მოლ სონატა შესრულდა ღამის პეიოზიისა თუ იასამნის ბალის ფონზე, იქნებ მამინ უფრო სასვლად ვამოვლენდეს შოპენის ვენის სიღრმეები, რომლებსაც ვანათების ელვარება აფერმკრთალებდა? ნუ ვიფიქრებთ, რომ აქ საქმე ვაქვს თვითმიზნურ ამოცანასთან... ვინემ შეიძლება ვვიპასუხოს, რომ კარგ მუსიკას კარგი შესრულებით ყველანაირ ვითარებაში მოვისმინოთ. მაგრამ ჩვენი ამოცანა არ მდგომარეობს მხოლოდ ვარემოციის შექმნაში მუსიკისა თუ ხელოვნების სხვა დარგისათვის. ჩვენი ამოცანა ცალკეულ ნაწარმოებთა არის, მისი დამახასიათებელი თვისებების მაქსიმალური ასახვა და ვამოვლენა, მისი ვამოხატვა სახითი, ვიზუალური ფორმებით. ამგვარმა ქმედებამ შესაძლოა ვამოვლეროს, ვალარმავოს შემსრულებელთა და მსმენელთა თანაზიარობის პროცესი, მსმენელი და მაყურებელი შემოქმედებითი აქტის არა მარტო მოწმედ, არამედ აქტიურ მონაწილედაც აქციოს. ამგვარ ვამოვლენბას ავდილო აქვს საესტრადო ეანრი, მაგრამ სადღესოდ, ეს არის, ვგონებ, ერთადერთი წყარო მასობრივი ენთუზიაზმისა. ასეა თუ ისე, კამერულ მუსიკალურ-დრამატულ თეატრში ყველაფერი და ყოველთვის უნდა ისწრაფოდეს ხელოვნების მაღალი ხარისხისაკენ.

თუკი ვეინდა ხელოვნება იყოს ცოცხალი და სახოვანი, მასში უნდა შთავებროთ სიკოცხლე, იგი უნდა ვანამსჭვალის სახეებით, სახეებს კი შესატყვისი ტანსაცემლი სჭირდებოთ. როგორი ღამაში და ამაღლებულიც არ უნდა იყოს ადამიანი, თუ იგი არ იკვამს ვარეგნობისათვის შესატყვისი ფორმისა თუ ვეების ტანსაცემლი, მამინ ჩვენ ვგრძნობთ, ვამჩნევთ ამ შეუსაბამობას და ვარკვეული დსაკენები ვამოვავქვს მის ვემოვნებასა თუ

კულტურაზე. ასევე ხელოვნებაშიც. ნიჭიერი აქტიორი, რომელსაც არავითარი მუსიკალური და ვოკალური მონაცემები არა აქვს, მოულოდნელად დაამღერებს ხოლმე პრიმიტიულ სიმღერას, რითაც მაყურებლის გული-სწყრომას იწვევს და რაც ზიანს აყენებს მის შემოქმედებას.

ეს იმაზე ხომ არ ლაპარაკობს, თითქოს ხელოვნებები დაყოფილია იმის გამო, რომ არტისტს არ ჰყოფნის უნარი და ოსტატობა ადამიანის ხუთივე გრძნობის დასაკმაყოფილებლად. შესაძლოა ისიც დავუშვათ, რომ საკონცერტო დარბაზსა თუ თეატრში იმეგობრი სურნელება იფრქვეოდეს, რომელიც მაყურებლებს გაუღვივებს ესთეტიკურ და არა გასტრონომიულ განწყობას.

არც თუ იშვიათად ვაწყვდებით არასერიოზულ, გაუზრებელ დამოკიდებულებას იმ დამამბრე ელემენტებისადმი, რომლებიც ხელს უწყობენ არტისტის ხელოვნებას, აქლიერებენ მისი შემოქმედების ზემოქმედების ძალას. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ბერძნული თეატრი, როცა პანტომიმა შეჰკავდით ტრაგედიაში...

იგივე მიზანს ისახავს ხოლმე დოკუმენტურა ფელმის რეჟისორი, რომელიც გაჩვენებს ფერწერას, ჭანდაკებისა თუ არქიტექტურის შედევრებს მუსიკალური თანხლების ფონზე. ვერაინდ დამკვიდრება ამ შედევრების სრულყოფილებაში. მიუხედავად ამისა, მაინც იშველიებენ მუსიკასა თუ პოეზიას, რაც უფრო მეტად აძლიერებს შთაბეჭდილებასა და ზემოქმედებას. ასეთ დროს გადაწყვეტია მიგნება იმ საერთო კანონზომიერებებისა, რომლებიც ორგანულად აკავშირებენ ერთმანეთს ხელოვნების დარგებს. აქ არ გვულისხმობ მექანიკურ შესატყვისობას — სინათლისა და ბგერის ვიბრაციათა დამთხვევას (რაც კეთდება თანამედროვე ელექტრონული აპარატებით). აქ ლაპარაკია ისეთი ეფექტის გამოყენებაზე, რომელიც დაიხადება ხელოვნებათა შენაკლების ღრმა, შემოქმედებითი გაზრებიდან.

ხელოვნებათა ურთიერთკავშირის სისწორე, ბოლოს და ბოლოს, შემოწმდება სინთეზური წარმოდგენის დამაჯერებლობით, მსმენელ-მაყურებელზე ზემოქმედების მეოხებით.

ჩვენ ვიცნობთ სინთეზური ხელოვნების მაგალითებს მუსიკალური ხელოვნების ისტორიიდან. ავიღოთ, თუნდაც, რ. ვაგნერის ოდესა, საფუძვლად რომ დაედო მის მუსიკალურ დრამებს, ძიებები სერიალისისა, რომელიც ცდილობდა თავისი მუსიკა ფერთაც გამოეხატა, ან კიდევ რიმსკი-კორსაკოვის აზრები ფერადი ტონალობების შესახებ. ამასვე გვიმოწმებენ ა. შონბერგის ცდები — დეკლამა-

ციის შერწყმა სიმღერასა და მუსიკასთან. ყველაზე დამაჯერებელი და კანონიერი აღმოჩნდა მუსიკისა და ბალეტის კავშირი. მაგალითად, ბალანჩინის ბალეტებში პირველად ბრწყინვალედ იქნა განხორციელებული ამ ორი ხელოვნების ქვეყნარტი სინთეზი. მის დადგმებში შეიძლება მუსიკალური პარტიტურის დანახვა და საცეკვაო პლასტიკის მოსმენა. ბალანჩინის დადგმებში დიდი ადგილი ეთმობა ფერსაც, რომელიც გამოყენებულია ცოდნითა და მაღალი გემოვნებით, მაგრამ იგი ამ სინთეზში არ მონაწილეობს მუსიკისა და ბალეტის ტოლფასოვანი ინტენსიურობითა და სისასით. ერთი სიტყვით, ხელოვნების რაც უფრო მეტი დარგი უკავშირდება ერთმანეთს, მით უფრო ფართოა სინთეზური თეატრის ასპარეზი, მით უფრო მრავალფეროვანია მისი შესაძლებლობები, გამოამსხველობითი საშუალებები...

ამით ვამთავრებ მსჯელობასა და ვარაიციკის კამერული მუსიკალურ-დრამატული თეატრის თემაზე, მის შემოქმედებით საფუძვლებსა და პრინციპებზე. გადავალ უფრო კონკრეტულ ამოცანებზე და შემოგთავაზებთ ერთგვარ პროგრამას, ის საშუალო გეგმას, რომელიც შედარებით უფრო ადვილი განსახორციელებელია სინთეზური კამერული თეატრის ადრინდელ ეტაპზე. ადვინმავ იმ ნაწარმოებებს რომელთა განხორციელება საცესებით შესაძლებელია:

„ორფისი“ — ლირიული სცენები გლეკის მუსიკაზე (გერმანულ ენაზე) — ანა კალანდაძის პოეტური ინტერმედებით (ეს საექტაკლო უკვე იყო წარმოდგენილი ა. წ. 5 ივნისს ა. ხორავას სახელობის მსახიობის სახლში).

„პერ გიუნტი“ — სცენები იბსენის დრამიდან (ქართულ ენაზე) გრიგის მუსიკა ვადატანილი კამერული ანსამბლისათვის. მონაწილეობენ დრამის მსახიობები, მომღერლები, ვოკალური ანსამბლი და ბალეტი.

პუშკინის „მოცარტი და სალიერი“ (რუსულ ენაზე). მოცარტის რეკვიემი (სცენური გადაწყვეტი).

შონბერგის „მთავარისეული პიერო“ (რეჟიტატეებით, ქორეოგრაფიით, ჩრდილების თეატრის საშუალებით).

პროკოფიევის „პეტია და მგელი“. სტრავინსკის „ლაპარი მელიაზე“. — ბავშვებისათვის განკუთვნილი წარმოდგენა.

„ორგესტეა“ ევრიზიდეს მიხედვით — ფურ-
ცლები ევიკური დრამიდან (ელადის სიმღე-
რები, ეოკალური ანსამბლი, მიმები).

შუბერტის „როზა მუნდა“ (ოპერა-ბალე-
ტი).

ბრამსის „სიციყარულის ახალი სიმღერები“
(ეოკალური კვარტეტი, ინსტრუმენტული ანს-
ამბლი, ბალეტი).

ედგარ პო. „ლხინი ჭირიანობის დროს“
(მხატვრული კითხვა).
მესიანის „კვარტეტი“ (სინათლის გამის
გამოყენებით).
დებიუსის პრელუდია (ბალეტის გამოყენე-
ბით).

მოცარტის „დონ ეუანი“ (საკონცერტო წა-
რმოდგენა)

ი. შტრაუსის „ლამურას“ (საკონცერტო წარ-
მოდგენა). ავტორთა ნაწარმოებები.

საქმე ისაა, რომ კამერულ-მუსიკალურ-
დრამატული თეატრის მიზანს არ წარმოად-
გენს ნაწარმოებთა გადაცემა, ოპერების,
ბალეტებისა და პიესების მონტაჟი. თეატრი-
სათვის საჭიროა ახალი, ორიგინალური, ჰენ-
მარტად ცხოვრებისეული ნაწარმოებების
შექმნა. უნდა შეიქმნას სრულიად ახალი ეან-
რი, რისთვისაც საჭიროა ჩვენი წამყვანი შე-
მოქმედებითი ძალების — მწერლების, პოე-
ტების, კომპოზიტორების, მხატვრებისა და
შემსრულებლების მოზიდვა.

რაც შეეხება შტრაუსის „ლამურას“, მისი
დადგმით თეატრი სულაც არ აპირებს ოპე-
რის თეატრთან გაჯიბრებასა და კონკურენ-
ციას. ეს ნაწარმოები თავისი სირთულის გა-
მო იშვიათად იღვებება, იგი მოითხოვს სიმღე-
რას, ცეკვას, თამაშს მაღალ შემოქმედებით
დონეზე. კამერულ თეატრში კი შესაძლებე-
ლია ერთი როლის განსახიერება ორი ან სამი
არტისტის მიერ. წარმატება დამოკიდებულია
რეჟისორის გამოგონებლობასა და ფანტა-
ზიაზე. ასეთნაირი გადაწყვეტა მას საშუალე-
ბას მისცემს ახლებურად გაიზაროს სცენური
მოქმედების პირობითი ხერხები.

სათეატრო ხელოვნების ხფეროში ნოვა-
ტორობა იმაში მდგომარეობს, რომ მოძებ-
ნილ იქნას გამოსახვის შესაბამისი, თუნდაც
პირობითი, საშუალებანი, რომლებიც ნათ-
ელს მოჰყვენენ დრამატურგის მანამდე მი-
მალულ მხარეებსა და აზრს. პირობითობის
მიზანია გასაგები გახადოს ნაწარმოების სიღ-

რმეები და სირთულე და არა პრიციპი-
გაართულოს და გააბუნდოვანოს იგი (ქვემოთ)
ება კლასიკური ნაწარმოების გადაცემაზე
დმოკეთების ტენდენციას).

ხელოვნებაში სიახლე არ უნდა წარმოად-
გენდეს თვითმიზანს. სიახლემ უნდა დაეკვი-
მაყოფილოს მშვენიერების წყურვილი. უკა-
ნასკნელ ხანებში კი მთელი რიგი თეატრები
ამელანებენ „სიახლეებით“, პირობითობით
თვითმიზნურ გატაცებას. დამდგმელები კლ-
ასიკურ ნაწარმოებთა გათანამდროვების წა-
ლილით არღვევენ ნაწარმოებთა ფორმას, სა-
ხეებს, ტექსტსაც კი. უარბად იყენებენ სხვადა-
სხვა კალიბრის კიბეებს, ჯებირებს, უაზროდ
ჩამოკიდებულ საგნებს, გამოგნებულ მყვი-
რალა ფერებს, გაუაზრებელ შექმნილუ-
ბასა და ა. შ. ყოველივე ეს არ პასუხობს ეპო-
ქის, ნაწარმოების შინაარსის სტილს.

სათეატრო ხელოვნება ვერ იტანს სიყა-
ბეს. იგი მართალი პირობითობისაკენ, ბუნე-
ბრიობისაკენ მიისწრაფვის. „უმალენ მხ-
ტრულ მიღწევებს წარმოქმნიან ქეშმარიტი
და ბუნებრივი კანონები“ — უთქვამს გოე-
ტეს.

ამრიგად, კამერული მუსიკალურ-დრამატუ-
ლი თეატრის მიზანი ნათელია. სამამოსოდ
გავეჩინა მისწრაფება, იმედი და რწმენა.
არჩეულია ადგილიც — მსახიობის სახლის თე-
ატრი, რომელიც სამამოსოდ ზეკონსტრუქცი-
ისა და სათანადო ტექნიკით შეიარაღებას მო-
ითხოვს. საჭიროა სამშენებლო დასის
დაკომპლექტება. მთავარია წარმოდგენების
დადგმა მაღალ დონეზე, რათა საზოგადოებ-
რიობის მოწონება და მხარდაჭერა დაეიმსა-
ხუროთ. მაშინ ჩვენი შთანთქმირი გამართლ-
ბული იქნება.

ლემან ბაიახჩიშვილი ხელოვნებას იცნობენ. აფასებენ და უყვართ თბილისში არა მხოლოდ იმიტომ, რომ ხშირად ხვდებიან მას რესპუბლიკურ თუ პერსონალურ გამოვენებზე, უფრო იმიტომ, რომ მშობლიური ქალაქისა და მის მკვიდრთა მიმართ დამოკიდებულებაში იგრძნობა თვით მხატვრის გულწრფელი სიყვარული. ყველაზე უკეთ ამაზე მეტყველებს ფერწერულ და გრაფიკულ ნამუშევართა მთელი სერია, რომელიც ძველი თბილისის დაუვიწყარ „პორტრეტს“ ქმნის. მაგრამ ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს არის ჰალარა წარსულით გატაცებული რომანტიკული ფერწერა — ეს ჩვენი თანამედროვის ცნობიერების პრიზმაში თავმოყრილი და გარდატეხილი წარსულია. ძველი თბილისი ბაიახჩიშვილის ჩვეულებრივი ქვრეტის ობიექტი კი არაა, არამედ მისი სულის ცხოველმყოფელი წყაროა, შემოქმედებითი ძალების სრულყოფა-განვითარების აუცილებელი ფაქტორია.

შეიძლება ითქვას, რომ ხელოვნებაში დამოუკიდებლად გადადგმული პირველი ნაბიჯებიდან ლევან ბაიახჩიშვილის ნიჭის თავისებურებანი და მხატვრული სიმპათიები საკმაოდ მკაფიოდ ჩამოყალიბდა: ფსიქოლოგიური პორტრეტი, პეიზაჟი და ნატურმორტი. რა თქმა უნდა, ეს არ გულისხმობს უანრობრივ შეზღუდვას. ჩვენი მრავალფეროვანი თანამედროვეობა მხატვრისაგან მოითხოვს ცხოვრების მოვლენათა ფართო სპექტრის გააზრებასახვას, რაც ვლინდება მის თემატურ ტილოებში: „მეშახტეები“, „გმირის დაბრუნება“, მოსავლარი“ და სხვა. აქვს მხატვარს ე. წ. „უსიუეტო“ ნამუშევრებიც, მაგრამ პორტრეტი, პეიზაჟი და ნატურმორტი ყველაზე თვალსაჩინოდ წარმოგვიჩენენ ამ ხელოვანის შემოქმედებითი განვითარების დინამიკას, მის მხატვრულ ღირსებებს.

ლ. ბაიახჩიშვილის აზრით, ოსტატობის კულტურისადმი ფაქიზი მიდგომის გარეშე ხელოვნებაში ნებისმიერი ცდა განწირულია დილეტანტიზმისათვის. სწორედ ამიტომ ჭერ კიდევ სკამხატვრო აკადემიის სტუდენტობის დროიდან დაწყებული დღემდე იგი ცდილობს ფერწერის საილუმოვებებს ჩასწვდეს წარსულის დიდ ოსტატთა ტილოების ასლადალებით, მაგრამ თუკი შემოქმედებითი გზის დასაწყისში „ზუსტ“ ორეულს აკეთებდა (მაგალითად, ტიციანის „კეისრის დინარები“, ვე-

ლევან ბაიახჩიშვილი

ეთერ შავგულიძე

ლასკის „გრაფი ოლივარესი“ და სხვა), დღეს რემბრანდტის, ელ-გრეკოს, ვან-გოგის, უტრილოს, სეზანის, მოდილიანის და სხვათა ცნობილი ნამუშევრების ასლებს ბაიახჩიშვილსეული მხატვრული სტილის ნიშნები, რაც უკვე მეტყველებს მაღალ პროფესიონალიზმსა და მყარ შემოქმედებით პრინციპებზე. ყოველზე ეს კი ამ ასლებს დამოუკიდებელ მხატვრულ ნაწარმოებთა ღირებულებას ანიჭებს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ შემოქმედებითი ინტერპრეტაციის უნარი ლ. ბაიახჩიშვილს ყოველთვის ახასიათებდა. მაგალითისათვის

საკმარისა დავასხელთ მისი „მუღლის პორტრეტი“, რომელიც 1955 წელსაა შესრულებული. სახის დამუშავება — ფერწერული გამა, განათების წყარო, შექ-ჩრდილების განაწილება, მოცულობათა პარამონული შესაბამისობა, სივრცე და პერსპექტივა, — აშკარად მოგვაგონებს რემბრანდტისეულ გამო-მსახველობით საშუალებებს, მაგრამ ხელები და სურათის ქვედა ნაწილი აბსოლუტურად განსხვავებული, ე. წ. „ნონ-ფიციტოს“ თეორიის ენით შეტყველებენ. მაგრამ ეს არ არის სტილით აღრევა. უბრალოდ, ახალგაზრდა მხატვარი გამოცდას უტარებს საკუთარ თავს და რთული მხატვრული ამოცანის გადაწყვეტას ცდილობს — ეკლექტიკურად უთავსებს ერთმანეთს კლასიკურ და ნოვატორულ ფერწერულ მეთოდებს, მაგრამ ჰუმბოლტ ხელოვნებაში ეკლექტიზმი მიუღებელია. ეს შესანიშნავად იცის ლ. ბაიახჩევამ. მის ექსპერიმენტატორობაში არასოდეს არ იგრძნობა ფსევდონოვატრობა, ისევე, როგორც უჩვეულობაში სწრაფვა. ასეთ შემთხვევაში ხომ მხატვარი კარგავს ძალაუფლებას მხატვრულ სახეზე და წმინდა გონებაპერეკითი პოზიციიდან უღდება მას. ბაიახჩევს კი აინტერესებს სახეობრივი გამოხატვის ახალი შთამბეჭდავი ასპექტები, ამიტომ მტკიცედ დგას მხატვრისა და მასურებლის გრძნობათა ერთიანობის პოზიციებზე. დღევანდელი მასურებელი ხელოვნებაში არ ეძებს მხოლოდ ინფორმაციას, რომელსაც იგი საკმარის იღებს სხვა წყაროებიდან. მაგრამ თუკი მხატვარს შესწევს უნარი შეეხოს მის სულისმეორ სიმებს, აუფორაქტოს გრძნობათა სამყარო ამ სინამდვილის თავისებური შემეცნებით, თავისი ფაქტობით, მახვილი ინტუიციით, — ასეთ მხატვარს მასურებელი ყოველთვის ერწმუნება და გულლიად მიიღებს მის შემოქმედებით ძღვენს.

ლევან ბაიახჩევის ამგვარი ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობითი და ესთეტიკური კრედიო თავს იჩენს ჭერ კიდევ 60-იანი წლების დასაწყისში შესრულებულ ნამუშევრებში. ეს არის აქტიური შემოქმედებითი ძიებების პერიოდი. მხატვარს აწვალებს კითხვა: რით აიხსნება ის ფაქტი, რომ ანონიმურ ნაწარმოებთა მოჭარბების ხანაში პიროვნების სულიერი სამყაროს გამოხატვა უფრო ძლიერი და მწკავეცი კი არის, ვიდრე პერსონიფიცირებული შემოქმედების აუცილებების პერიოდში?

და ახალგაზრდა ხელოვანი კვლავ და კვლავ უბრუნდება ანთროპოლოგიურ ფერწერას — ქმნის თავის თანამედროვეთა პორტრეტების მთელ გალერეას. დამახასიათებელია, რომ მხატვარი არასოდეს სპეციალურად არ ირჩევს ასახვის ობიექტებს. მისთვის ყველა ადამიანი საინტერესო პიროვნებაა, ოღონდ უნდა შესძლოს ხელოვანის მახვილმა თვალმა გარგნული ფორმის მიღმა აღმოაჩინოს ჰუმანიტიად ადამიანური ბუნება, ჩაიხედოს ინდივიდის სულიერ სამყაროში და, რაც მთავარია, მოძებნოს სათანადო მხატვრული გამო-სახველობითი ხერხები საკუთარი ფანტაზიითა და ინტუიციით გაშუალებული კონკრეტული ადამიანის ფორმა-შინაარსისეული არსის ტილოზე გასაგნობრივებისათვის. ეს ძალიან რთული ამოცანაა და, როგორც წესი, მოითხოვს ხანგრძლივ და ეტაპური ხასიათის შრომას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბაიახჩევის შემოქმედებაში ჩვენ ვერ გამოვყოფთ რომელიმე კონკრეტულ ეტაპურ ნაწარმოებს — ყველა ტილო ამა თუ იმ ახალი მხატვრული ამოცანის წარმატებით ვაღწევს ემსახურება, მაგრამ ამასთანავე ერთი არ გამოირჩევას მეორის. თითქმის აქაც უშეცდომოდ მოქმედებს დიალექტიკის კანონები: ახალი არ არსებობს ძველის გარეშე, ყრველი ახალი კი გულისხმობს რაოდენობრივ ცვლილებას, რაც თანდათობით გადადის თვისობრივ ცვლილებებში. უფრო ზუსტად, ბაიახჩევის ხელოვნების დიალექტიკური განვითარება წარმოდგება შემოქმედებითი პრინციპების, გამომსახველობითი საშუალებების ჩამოყალიბება-სრულყოფის თანმიმდევრული, უწყვეტი ხაზის სახით.


თავდაპირველად მხატვარი ცდილობდა ჩაწვდომოდა სიბრტყეზე სამგანზომილებიანი მოცულობის ვადატანის საიდუმლოებას („გოგონა აღორბინების ეპოქის ტანსაცმელი“ — 1960 წ. ზეთი, „ბაბათიანი ვოგონა“ — 1961 წ. ზეთი; „მუღლის პორტრეტი“ — 1962 წ. ზეთი და სხვა). ამ პორტრეტებში არის იდეალიზირებული განწყობლება, მგრძნობიარე და წმინდა, მაგრამ თავს იჩენს ფორმათა ცნობილი მექანიკურობა, სილუეტის გამარტვება და ფერწერული რომანტიზმი. თუმცა ამ ნაწარმოებებს ჰქვთ გარკვეული რთობულება — ავტორი ამოდის სტილიდან და აღწევს სურათის ერთ მთლიან მხატვრულ ქვრადობას, რაც საშუალებას

აძლევს დაისახოს ახალი შემოქმედებითი მიზანი — მასალაზე ყოველგვარი ძალდატანების გარეშე იპოვოს კომპაქტური ფორმა და ჩასწვდეს სილუეტის მოძრაე, მეტყველ დინამიკას, ყოველივე ეს კი დაუკავშიროს ფერწერის სათანადო გამოსახველობით საშუალებებს („ლენას პორტრეტი“ — 1964 წ. ზეთი, „მწვანეთავსაფრიალი ქალიშვილი“ — 1965 წ. ზეთი, „თეთრთავსაფრიალი ქალიშვილი“ — 1966 წ. ზეთი და სხვა). ამ ნამუშევრებში უკვე ხდება პროპორციათა განსახლება, დეტალების შერჩევა, ზედაპირის ახლებურა დამუშავება, რიტმულ მხარეთა გამოვლენა, და თუკი ადრე მხატვრულ სახეს მჭკრეტელობითობა ახასიათებდა, ახლა ემატება ლირიკულ-დრამატული განწყობილება. შემდგომში, დანახულისა და განცდილის ეკლენით, კვლავ უფრო მიღრმავდება ბაიახჩევის სახეობრივი და პლასტიკური აზროვნება, მის წინაშე ახლებურად იშლება ყოველდღიური ცხოვრების პოეზია და ადამიანთა ბუნების ემოციური წყობის კინინზომიერებათა შემეცნება ახალ ამოცანას უსახავს მხატვარს: როგორ შეუთავსოს ყოველივე ეს კონკრეტულ დაკვირვებებს, უშუალოდ დანახულსა და აღქმულს? როგორ დაუკავშიროს ერთმანეთს საინტერესოდ აქცენტირებული ფორმები?

რა თქმა უნდა, კვლავ საჭიროა სათანადო გამოსახველობითი ხერხების, ფორმალქმანლობის მეთოდის შერჩევა. ლევან ბაიახჩევი წარმატებით სძლევს ამ წინააღმდეგობებსაც. მისი ტილოები: „ბებია ჩიხტიკოპით“ — 1958 წ. ზეთი, „ბიძის პორტრეტი“ — 1971 წ. ზეთი, „ფიროსმანი“ — 1974 წ. ზეთი, „თეთრი შალი“ — 1976 წ. ზეთი და სხვ. თითქოს შესრულებულია უბრალოდ, ჩვეულებრივი მხატვრული საშუალებებით, მაგრამ ამ ახალ საფეხურზე მთელისა და მისი ნაწილების ურთიერთკავშირი თამამად არის მიკვანებული, ხოლო ფორმა, თავისუფალი ინტერპრეტაციას მიუხედავად, უფრო მკაცრი და წმინდაა. ცვლილებას განიცდის ნაწარმოებთა ემოციური, და, მასთან ერთად, კოლორიტული ელერადობაც. მოსაწყენ ლირიკულ სვედას ემატება შინაგანი პარმონიულობა, ხოლო უფრო ნათელ პალიტრაში ჩნდება ფერთა რაული შინაგანი ნიუანსები და ნახევარტონები. ჩაკეტილი სივრცე, რომელიც შემოსაზრვავდა სურათს, ფართოვდება, მხატვარი გრძნობს, რომ მისი გმირების ცხოვრება არ შემოიფარგლება ვიწრო ინტერესებით, რომ მათი ცვალებადი შინაგანი ბუნება, სულიერი ენდა დაკავშირებულია მრავალფეროვან სამყაროსთან. სწორედ ამიტომ, მისი შემოქმედებითი მიზნსწრაფვა, მხატვრული იდეალი უკავშირდება საკუთარ თავსა და ვარე-

მომცველ ბუნებაზე გაბატონებულ თანამედროვე ადამიანს — მთავარია ცხოვრებისეული სიმართლის მხატვრულ სიმართლესთან შერწყმა. ასე მყარდება ერთგვარი დიალოგი მხატვარსა და მისთვის საინტერესო ადამიანებს შორის, რომელთა სიყვარულშიც იგრძნობა ხელოვნების პოზიცია, მისი მოქალაქეობრივი ღირსება.

ისიც უნდა აღინშნოს, რომ ლ. ბაიახჩევის შემოქმედების დიალექტიკა არ გამოირჩევა მკვეთრ, ნახტომისებურ გადასვლებსაც. მკალითისათვის საკმარისია ერთმანეთს შეედაროთ 1963 წელს შესრულებული ორი ტილო — „ცისანა ხორბელიძისა“ და „მგებობის პორტრეტი“. ფორმის ძერწვის პლასტიკითქოს სხვადასხვა ავტორს ეკუთვნის. პირველს ასიათება ლოკალურ ფერთა ფართო ფაქეზი, გროტესკული ვანზოგადების ლეგირზე მდგარი მახვილი ლაკონიზმი, რასაც მეორე პორტრეტში უპირისპირდება ფერთი რეფლექსებისადმი ფაქიზი დამოკიდებულება, გულმოდგინე მოდელირება, მოკლე მონასმი. აქ საქმე გვაქვს ფორმათქმანლობის სხვადასხვა მეთოდთა დაპირისპირებასთან, რასაც





ავტორს კარნახობს თვით მოდელთა ფსიქოლოგიური წყობის ლოგია, პერსონაჟების შინაგან სამყაროთა სხვაობა, მაგრამ ამ დაპირისპირებულთა ერთიანობა ელინდება პროფესიულ ოსტატობაში.

ე. ზაიახჩევის შემოქმედებაში ფერწერის ერთი ქანრიდან მეორეზე გადასლა ორგანული პროცესია. მას არ სჭირდება კვლავადაწყობა, რადგან ყველგან ერთი და იგივე მხატვრულ ამოცანას ისახავს. ის, რაც ითქვა ხელოვანის მოღვაწეობაში პორტრეტული ქანრის შემოქმედებითი განვითარების ნიუანსებზე, ერთნაირი ძალით ვრცელდება მის ნატურმორტებზე და პეიზაჟებზე, მაგრამ, რა თქმუნდა, ქანრობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით.

მატერისათვის პეიზაჟი — ეს არის გადამიანერებელი ბუნების ემოციურად დამუხტული აქტიური მონაცვეთი. ალბათ იმიტომ არა აქვს მას ე. წ. „წმინდა პეიზაჟი“. ამ ქანრის ყველა ნამუშევარში, როგორც წესი, გამოხატულია ადამიანის ხელოვნური მატერიალური გარემო, რომელიც ორგანულად არის შერწყმული ლანდშაფტთან. ამ ფილო-

სოფიურ-ესთეტიკური კრელოს ამოქმედებაში სამყაროს პარმონიული ერთიანობის შენახვა, ხოლო პეიზაჟური ინდივიდუალობა ხელს უწყობს ინტიმურ-ლირიკულ განწყობილების ვადმოცემას.

ჩვენ დასაწყისშივე აღვნიშნეთ, რომ პეიზაჟური ქანრში ლევან ზაიახჩევის საყვარელი მოტივია ძველი თბილისის პოეტური სახე-მასი თავისებური, სიღრმისეული სილამაზე.

თბილისური პეიზაჟის ასახვის საინტერესო ტენდენცია ჩნდება ქართულ საბჭოთა ფერწერაში. საქამრისა გაიხსენოთ ელენე ახვლედიანის ხელთუქმნელი პეიზაჟები, ნიკოლოზ იგნატოვის რიტმა პარმონიზე აგებული მონუმენტური თუ დაზგური ნაწარმოებები, მირიან შველიძის ორთაჟლისა თუ მეტეხის ხატურული ხედები და სხვა მრავალი. ბელოვანთა ამ მრავალხმიან გუნდში ლირიკულად ელერს ლევან ზაიახჩევის ხმა. მისი ძველი თბილისის პეიზაჟებისათვის დამახასიათებელია სულში ჩამწვდომი მელოდირობა, მაგრამ ინტონაცია ყოველთვის სხვადასხვაა — ხან ფერწერულად მკაოროლი, ხან მკაცრად დრამატული; ხან სევდიან-ლირიკული, ხან კი — ფილოსოფიურ-ფიქრიანი.

ავტორტრეტ
ნატურმორტი
პეგობრის პორტრეტი





ძველი თბილისი



ქალის პორტრეტი

უყურებთ ამ ფერადოვან სიმფონიას და გრძნობთ, რომ ეს არის „აღღრთოვანების მოზღვევა“, მაგრამ ისიც თვალსაჩინოა, რომ მხატვარი არ აფერადებს თავის ტილოებს მარტოოდენ ფანტაზიით. არ აკეთებს „პეიზაჟს პეიზაჟის გამო.“ წარმოსახვის აღმაფრენა ვლინდება გამომსახველობითი ხერხების შერჩევა-გამოყენებაში, ხოლო ასახვის ობიექტი სავსებით რეალისტურია და ღრმა ცოდნას ემყარება: მათში არის დანახულსა და ფერმწერის მიერ განცდილის ორგანული სინთეზი, ფართო განზოგადებისაკენ სწრაფვა.

ყვარჯინდარდნობილი ავიწები და ყრუ კედლის ნერვული ხაზები, ქვაფენილის ფერთა მელეორება და ქუჩის ფარნის სევდიანი ციმციმი, ძველი სარდაფის გვერდმოქცეული კიბე და უბადრუკი წარწერები, კრამიტგადაფენილი სახურავები და ეკლესიის გუმბათები — მათში ისეთი ღრმა შინაარსითაა, რომ თითქმის შეუთქმებელია მეტყველების ენაზე გატანა, მაგრამ თვალსაჩინოა იგი ტილოზე, რადგან მხატვარი შეიჭრა შინაგან კანონებში და შესძლო მათი შემოქმედებითად გაახრება-ათვისება. ამ თვალსაზრისით, როგორც ჩანს, ბაიახჩევისათვის ყველაზე მახლობელი იაპონური ნიჰონის ფერწერა, რომელსაც ახასიათებს ობიექტური სილამაზის ასახვაში გრძნო-

ბად-მჭვრეტელობითი სუბიექტური საწყისების ჰარმონიული ერთიანობა ნაწარმოების აღქმის მომენტის აუცილებელი გათვალისწინებით. ეს ნიშნავს, ხელოვნების სისტემაში საში ძირითადი ელემენტის — ასახვის საგნის, მხატვრისა და მაყურებლის ტრადიციული პრობლემის გადაჭრას. შესაბამისია ფორმათქმნალობის კანონებიც-მხატვრული სახის საგანებზე დაუმთავრებლობა. შინაგან ლოგიკასა და მრავალფეროვნებაზე ნაწილობრივ მიანიშნება.

ყოველივე ეს სტიმულს აძლევს მაყურებლის პოტენციურ შესაძლებლობებს, ააქტიურებს მის ინტელექტუალურ და ემოციურ გამოცდილებას, მის შემოქმედებით ფანტაზიას ხელოვნების ნაწარმოების ინტერპრეტაციასა და შეთვისების მომენტში. სწორედ აქედან მოდის ფერწერაში რეგლამენტირებული თემატიკისა და მხატვრის მიერ ერთდროივ მოტივის თავისუფალი, ძალაუფლებული გარდასახვის პარადოქსული შეხამება. იგი გაანგარიშებულია აღქმის კულტურის განვითარებაზე.

პეიზაჟის შექმნის ნაპოვნურ პრინციპებს ეხვდებით ლ. ბაიახჩევის მრავალრიცხოვან ნატურმორტებშიც, მაგრამ აქ უფრო თვალსაჩინოა მისი შემოქმედებისათვის დამახასია-



ძველი თბილისი



თეთრი შალი

თებელი კიდევ ერთი ნიშანი — ფორმათა სივრცობრივ-კონსტრუქციული პარამონიის განმტკიცებისაკენ მისწრაფება. მხატვარს აინტერესებს ვერტიკალური და ჰორიზონტალური ფორმების მნიშვნელობა, სავანთა ურთიერთდამოკიდებულება, მოცულობათა ჩაძირვა სივრცეში და თვით ამ სივრცის „მოქმედება“ საგნებს შორის.

საინტერესოა ლ. ბაიხჩევის გრაფიკული ნამუშევრები. აქაც იგი ფერმწერად რჩება, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ავლენს ნახატის დახვეწილ ოსტატობას. ეს განსაკუთრებით იგრძნობა კალმითა და ტუშით შესრულებულ გრაფიკულ ფურცლებში. კალმით ნახატი — ეს არის მკაცრი, მართლაც „შეუსწორებელი“ ტექნიკა, რომელიც მხატვრისაგან მოითხოვს თვალისა და ხელის განსაკუთრებულ სიუსტეტსა და დახვეწილობას. ოსტატობა ვლინდება წმინდა ხაზობრივი რიტმითა და შტრიხის პლასტიკით მხატვრული სახის გამომსახველობისა და სილამაზის მიღწევაში. ნახატი მთლიანად აგებულია ხაზის ფერწერულ თამაშზე. უფრო ზუსტად, ეს ხაზობრივ-ფერწერული ნაწარმოებებია, რადგან ფერწერულობა აქ მიღწეულია სხვადასხვა ინტენსივობის, სისქისა და სიხალავის შტრიხების ნეშეობით. მოპირავე კალამი ზოგან სუსტ

კვალს სტოვებს, ზოგან მსუყვე შტრიხში კონცენტრირდება, იკრებება ღრმა ჩრდილის სახით, ზოგან კი მოპირავე კონტურის დატეხილ მონახაზში საჭირო აქცენტებს ტოვებს. ყოველივე ეს კი ქმნის ნახატის ფერწერულ სიკვრივას.

თუკი კალამი თავისუფლად მიჰყვება მხატვრის ნება-სურვილს, მით უფრო ემორჩილება მას ფანქარი. ამაში გვარწმუნებს ჩანახატების ის დიდი მარაგი, რომელიც შეადგენს მხატვრის ცხოვრებისეულ დაკვირვებათა ფონდს. ბევრი მათგანი განუხორციელებელი რჩება, მაგრამ ეს არაა არსებითი, მხატვრისათვის მთავარია ხელისა და თვალის პოდიმი ვარჯიში, კომპოზიციური გამოხატველობითობის აღმოჩენა თვით ამ სინამდვილეში.

ლ. ბაიხჩევის ხელოვნების დახასიათებისათვის მნიშვნელოვანია არა მარტო პროფესიულ შესაძლებლობათა ფართო დიაპაზონი, არამედ რთული შემოქმედებითი განვითარებაც. მხატვარს შესწევს უნარი შეხედოს თავის ნამუშევრებს მიუკერძოებელ კრიტიკული თვალით. სწორედ ამიტომ არის მისი ხელოვნება განვითარებული ფენომენი. იგი კვლავაც განაგრძობს ახალ გამომსახველობით სამუშაოებათა ძიებას ემოციური სრულყოფის გზაზე.

ტრაბიკომედიის ქანრის საკითხისათვის

ირინე კუჭუხიძე

დღესდღეობით კინოხელოვნების ქანრები სულ უფრო ნათლად ავლენენ ტენდენციას დიფუზიისა და სინთეზისაკენ. კინემატოგრაფიაში რთული ქანრული კონსტრუქციების გავრცელება (სხვადასხვა ქანრების ნიშნებსა და თავისებურებებს რომ ათავსებენ) ერთ-ერთი გამოვლენაა თვით სინამდვილის გართულებული, დინამიკური და არაერთმნიშვნელოვანი ხასიათისა. ბუნებრივია ამასთან დაკავშირებული სწრაფვაც ხელოვნებაში არატრადიციული გზების დაძებნისაკენ. ეს შესაძლებელს გახდის შეიქმნას ადექვატური ხატოვანი მოდელები, რომლებიც მართლად და ღრმად წარმოსახვენ არსებულ რეალობას ერთდროულად ეს პროცესი აგრეთვე გამოხატავს საერთო მიმართულებას ჩვენი დროის ხელოვნებისა, რომელიც მწვავედ გრძნობს მოვლენებისადმი ცალმხრივი მიდგომის არასრულყოფილებას.

ამ მხრივ ქართულ კინოში, ვერ ერთი, შეიმჩნევა სიცილის სხვადასხვა ფორმების გამოყენების ცდები და რაც უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანია, შეიმჩნევა ცდები მათი დაახლოებისა, მათ შორის მკაცრი საზღვრების წაშლისა და ურთიერთშერწყმისა. ასე მაგალითად, საუკეთესო თანამედროვე ქართულ კინოკომედიებში ერთმანეთთან ორგანულ კავშირშია იუმორი, ირონია, სატირული და გროტესკული ელემენტები, ექსცენტრიკა, მხიარული, სიცოცხლის დამამკვიდრებელი და, მეორეს მხრივ, სევდანარევი სიცილი. ამასთან, კომედიაში შემოიჭრა სხვა ქანრის ელემენტები და, პირიქით,

ღრამაში, კინომოთხრობასა და ნოველებში ქართველ ავტორებს სულ უფრო თამამად შემოჰყავთ კომიკურის ნიშნები.

ზემოთაღნიშნული შეიწყება კომიკური და არაკომიკური ელემენტებისა ახასიათებს ისეთ ფილმებს, როგორიცაა მაგალითად „არაჩვეულებრივი გამოფენა“, „შერეკილები“, „ყელსაბამი სატრფოსათვის“. უფრო ნათლად ეს ტენდენცია გამოიკვეთა ქართულ მოკლემეტრაჟიან კინოფილმებში „ქორწილი“, „სერენადა“, „ჭვეერი“. რაც შეეხება კომიკურის შერბას სხვა ქანრებში, ამის მაგალითად შეიძლება თითქმის ყველა თანამედროვე ქართული ფილმის მოყვანა. ჩვენ მხოლოდ ისეთებს აღვნიშნავთ, სადაც ამ დაახლოებამ სინთეზს მიაღწია: „ჯარისკაცის მამა“, „გიორგობისთვე“, „იყო შაში მაგალები“, „ფიროსმანი“ და სხვ.

ამ პროცესში ქართულ ფილმებში თვალსაჩინო ხდება (და ეს არაერთგზის აღვნიშნავს კრიტიკას) ტრაგიკომიკური ელემენტების მომძლავრებაც. თუმცა აზრი იმის შესახებ, რომ თანამედროვე ქართული კინოს ერთ-ერთი წამყვანი ქანრი თვით ტრაგიკომედიაა, მე საკამათოდ და ნაკლებ დასაბუთებულად მიმაჩნია.

ალბათ, ეს დებულება ბუნებრივად ბადებს ტრაგიკომედიის, როგორც ეპიქოსის, თეორიულ განაღვივების აუცილებლობას.

ასეთი ცდა იმას არ გულისხმობს, რომ აღნიშნულ ქანრს მკაცრი ჩარჩოები და საზღვრები შემოვავლოთ, მაგრამ არც ისაა უგულვებელსაყოფი, რომ ხელოვნების

ისტორიის შრავალსაუკუნოვანი განვითარების მანძილზე, ეპოქები განიციდან მუდმივ სახეცვლას, ტრანსფორმაციას და განვითარებას, ამასთანავე მინც გარკვეულ სიზყარეს და ტიპოლოგიურ სახლებებს ინარჩუნებენ. ე. ი. ყოველ ეპოქის გააჩნია ის მყარი საფუძველი, რომელზეც ამოვიდნარ და რომელიც სახლებრავა და სახლებრავს მის ეპარულ კუთვნილებას.

მოსაზრება, თითქმის ტრაგიკომედიას, როგორც ეპარს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საბჭოთა კინემატოგრაფიაში და კერძოდ ქართულ კინოში, პირველად კინომცოდნე ს. ფრეილიხმა გამოთქვა, ხოლო შემდეგ სხვა არა ერთმა კინომცოდნემ განავითარა. სხვათა შორის ს. ფრეილიხი იმასაც აღნიშნავს, რომ ტრაგიკომედია კინომცოდნეების მიერ თითქმის არ არის შესწავლილი და განაღზებულელი. ამიტომ ავტორი ამ ეპარის თეორიულ გააზრებასაც ცდილობს, ხოლო შემდგომ, ამ საფუძველზე განხილავს ტრაგიკომედიის ეპარში გადაღებულ ფილმებს, მათ შორის — ქართულ ფილმებსაც.

ს. ფრეილიხი წერს: „ტრაგიკომედიაში ტრაგიკული და კომიკური უბრალოდ კი არ დევს ერთმანეთის გვერდით (ასეთ შემთხვევებში ერთ-ერთი მათგანი პრევალირებს — ან სასაცილო, ან ტრაგიკული — იმის მიხედვით, რასთან გეაქვს საქმე — კომედიასთან თუ ტრაგედიასთან), არამედ გაცილებით რთულ დაღექტურად ერთიერთ-მომქედნებაში იმყოფებიან. ტრაგიკომედიაში ტრაგიკული და სასაცილო ენაცვლებიან ერთმანეთს, უფრო მეტიც — ერთუთის საშუალებით ხორციელდებიან.

ტრაგიკომედიაში ტრაგიკული და სასაცილო ეჯახებათ ერთმანეთს არა მარტო როგორც წინააღმდეგობა, არამედ აუღუნენ კიდევ ამ წინააღმდეგობათა ერთიანობას. ეს ერთიანობა მღვამრეობის იმაში, რომ სასაცილოც და ტრაგიკულიც წარმოიქმნა ფორმისა და შინაარსის პირველადი კავშირის, საქციელთა ლოგიკის რღვევის, მოქმედების მოტეხას და მიზანს შორის კავშირის ერთგვარი გადახრის შედეგად. ამასთან ტრაგიკომედიის განსხვავებდა ვიქვართ ტრაგედიისაგან, საღაც რწნება კომიკური ფიგურები ან კომიკური სცენები, როგორც კომიკური მოქმედებისაგან გადახრა, ან კომედიისაგან. საღაც მოქმედება ზოგჯერ ძალზე სერიოზულ და ტრაგიკულ სახეს იღებს. — იმაში მღვამრეობის, რომ ძვრია აქ შესაძლებელია იზირვე მხარეს მოხდეს, ტრაგიკული და კომიკური ტოლუ-სია, მათი წინააღმდეგობის ერთიანობა თვლსაჩინოა — მოქმედება აიძულებს გმირს გადაღვას საკრამენტალური ნაბიჯი დღიდრან სასაცილოსაკენ და სასაცილოდან დღიდრისაკენ, რითაც ვღწინდება მისი ხსიათის არსი...

ტრაგიკომედიაში სასაცილოსა და სერიოზულის დაღექტრავს, მათი ურთიერთდამოკიდებულება, მათი ურთიერთდამავალა ხორციელდება პაროდის მეშვეობით.¹

ი. რასაც ამბობს ს. ფრეილიხი, უღვადო ტრაგიკომედის თავსებულებას შეადგენს, მაგრამ, ვიჭირობ, ეს საკმარისი არ არის, რადგან განსხვავება ტრაგიკომედია-

სა და ვთქვით, ტრაგედიას შორის (რასაც ხაზს უსვამს ს. ფრეილიხი) უფრო სერიოზულია. ტრაგედიას, როგორც ცნობილია, საფუძვლად უღდევს ტრაგიკული კონფლიქტი, რომელიც თავისი არსითა და ხსიათით განსაკუთრებული კონფლიქტია. უფრო საყურადღებო კი არის, რომ ამ კონფლიქტში ტრაგედიის გმირი და მორე საწყისი, რომელსაც ის ებრძვის და რომელთან ბრძოლაშიც მარცხდება, ძალთა თანაღვარდობის მხრივ ისეთ დამოკიდებულებაში იმყოფებიან, რომელიც პრინციპულია ტრაგედიისათვის.

ორი საწყისი, ორი ძალა დაპირისპირებულია ისეთი გამოუვალი წინააღმდეგობის გამო, რომ ერთმა აუცილებლობა უღდა გაანადგუროს მეორე. ტრაგიკული კონფლიქტში ტრაგიკული გმირი თავღდანვე განწირულია, ეინაიღან იგი წინ აღუღდება და აუშენდრდება ისეთ ძალს, რომელსაც ვერ დაამარცხებს. ამგვარად ტრაგიკულ სიტუაციაში (რომელიც თავისი მასშტაბით ყოველთვის დღიდ და ფართოა) ტრაგიკული გმირი ეჯახება ერთგვარ აბსოლუტს: ანტიკურ ტრაგედიაში ეს არის ღმერთი, ბედისწერა, შექმნისთან — ისტორიული აუცილებლობა, ხოლო კლასიციტურ ტრაგედიაში — მიჯაღება. აბსოლუტი გარღვევლად იმარჯვებს, უღშობლად უსწორდება გმირს, მაგრამ ამავე დროს, მისი უღშობლობა არის უღშობლობა ლოკისაგ, რომელიც განისხვავდება ზეწურივ, რელიგიურ თუ სოციალურ დაღვენსლებათა ჩამოყალიბებული სისტემით, რაც სწორად განვითარებს პროგრესულ მიმართულებას ეკუთვნის. ტრაგიკული გმირი — ყოველთვის გმირია ამ სიტყვის არა მარტო ლიტერატურული მნიშვნელობით. შეღის რა პრინციპულ წინააღმდეგობაში არსებულ მთლიანობასთან, მაქსიმალურ მთხოვნებს წარუღდვს რა სამყაროს, ტრაგიკული გმირი თავისი არსებობის უმაღლეს საფეხურზე ადის, ხოლო ის ფასეულობები, რომელთა დაღცისათვის გმირი ტანჯვასა და მსხვერპლზე მიღიოდა, სამყაროში რჩება როგორც მთავლის ფასეულობა, როგორც მარადიული ჰუმანისტიკური იღალო.

ტრაგედიის აუცილებელი პირობაა ისიც, რომ ორივე მხარეს აქვს კარგად არგუმენტირებული საკუთარი სიბართლე — დანაშაუვი არ არის და ერთ-ერთი მხარე კი უღდა განადგურდეს. ჯერ კიდევ ანტიკური ხანის თეორიაში არსებობდა აზრი, რომ ტრაგიკული გმირი თვით არის „დანაშაუვი“ თავის დაღუპვაში. ეკრძოდ, რაში? „დანაშაუვი“ იმაში, რომ არ ითვალისწინებს იმ ძალთა გრანდიოზულობას, რომელთაც უპირისპირდება, არ საზღვრავს, რომ მისი ჰემარბიტების რეაღზიაცია შეუძლებელია არსებულ საზოგადოებაში. მაშასადამე, ტრაგედია ყოველთვის დაავშირებულია ანტაგონისტურ საზოგადოებასთან, მისი ობიექტური ნიღადვი პროგრესის ისტორიული წინააღმდეგობა.

ზემოაღნიშნული „დანაშაულის“ გარდა, არისტოტელე ტრაგედიის თეორიაში კიდევ ერთ ცნებას გამოჰყოფს.



ეს არის კათარზისის ცნება. ტრავედია ყოველთვის სი-
ციოცლის დამაყვარებელია, რადგან მას შემდეგ რაც
მეითხვლი ან მაყურებელი ტრავედია უჩიარება, მას
აქვს განწმენდის ანუ კათარზისის შეგრძნება, რის შედე-
გადაც ის, ვინც ტრავედის ეზიარა, გრძნობს დაღუპული
გმირის თუ დათრავნილი ერთი მხარის მნიშვნელობას,
ე. ი. ამ გმირის იდეალების, ჩადენილი ვატიობის მნიშ-
ვნელობასა და ფასს.

კათარზისის შეგრძნება თანაგანცდიან ერთად იბა-
დება იმის განგრძობის შედეგადაც, რომ ტრავიკულ გმი-
რი არ იფილისწინებს ისტორიულ აუცილებლობას, რომ
მისი დაღუპვა გარდევალი და აუცილებელია, მაგრამ
მისი ქეზიარებება რჩება როგორც მარადილი დასუე-
ლობა, როგორც დიდება ტრავიკულ გმირისა.

ტრავიკომედიაში აუცილებლად უნდა იყოს ტრავიკუ-
ლი, ე. ი. გამოუვალა კონფლიქტი, მაგრამ ტრავიკომედი-
ის თავისებურება ის არის, რომ მისი აღქმის შემდეგ
მეითხვლს ან მაყურებელს არ ებადება იმის შეგრძნება,
რომ გმირი მნიშვნელოვან იდეალს შეეწირა.

ტრავიკული გმირის დაღუპვის შემდეგ იბადება შეგ-
რძნება იმისა, რომ ამის გამო რაღაც უნდა შეიცვალოს.
ტრავიკედიაში თვით გამარჯვებული მხარეც კი შეიგრძნობს
ამას და ტრავიკული გმირის სიკვდილი მასზეც გავლენას
ახდენს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ტრავიკულ გმირს
მოწინააღმდეგე მხარე როგორც საშიშ მეტოქეს, ისე
ფასუბებს.

ტრავიკომედიაში პირიქით — მხარეს, რომელთანაც
გმირი ტრავიკულ კონფლიქტშია, არც კი ანტერესებს
მისი არსებობა. მას ამასთან დაკავშირებით პირობებები
არა აქვს, ის არც ფიქრობს მოწინააღმდეგეზე.

ტრავიკომედიაში დამარცხებული მხარის, ანუ გმირის
იდეალები გაუფასურებულია. ის იდეალები საეჭიოდაა
გამოცხადებული და გმირის ლეწლიც, მისი მარტულაო-
ბა ტრავიკული გმირის მარტულობის მნიშვნელობასა
და სიდაადეს მოკლებულია. აი, ჩვენი ზრით, ერთ-ერთი
მთავარი და პრინციპული განსხვავება ტრავედიაში და
ტრავიკომედიაში შორის.

ტრავიკომედიაში საფუძვლად უდევს მსოფლშეგრძნება,
რომელიც სიციოცლეს, ყოფის უაზრობად მიიჩნევს და
ამიტომ გმირის გაღუბულ მსხვერპლსაც მნიშვნელობა
არ ენიჭება.

ჩვეულებრივ, როდესაც ვამბობთ, რომ ესა თუ ის
რომანი არის ტრავიკული, შეიძლება მხედველობაში
გვქონდეს ის, რომ ამ რომანში აღწერილია ტრავიკული
ამბავი უღანაშულოდ, გმირულად დაღუპული მსხვერპ-
ლისა. მაგრამ, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ასეთი
ნაწარმოები ტრავედიაა იმ მნიშვნელობით, რომელიც
განსხვავებულია დრამატული პოეზიის ამ ქანრისათვის.
იგივე შეიძლება ითქვას ტრავიკომედიაშიც დაკავში-
რებით. როცა ჩვენ ვხმარობთ ტრავიკომედიურ გმირის,
განწყობის ან სიცილის ფორმის ცნებას, ეს ჭერ კიდევ
არ ნიშნავს იმას, რომ საქმე გვაქვს ტრავიკომედიაშიან,
როგორც უკვე ჩამოყალიბებულ ქანრთან.

ტერმინ „ტრავიკომედია“ სულ უფრო დაიჩინებულმა
და ზნირმა ზმარებამ დღეს შეიძლება ერთგვარი გაუგებ-
რობაც გამოიწვიოს, თუ არ იქნება გაანალიზებული და

დადგენილი ტრავიკომედის, როგორც ქანრის მხარეა
და მასისათაებლად.

ნებისმიერი ტრავედია ადვილად გადაიქცევა ტრავი-
კომედიადა, თუ გმირის იდეალი არ იქნება გამარჯვებული
იმ ბრძოლაში, რომელიც ტრავედისის ორ მოპირდაპირე
მხარეს შორის მიმდინარეობს. „ჰამლეტი“, მაგალითად,
ჩვენივეს სვერ ელემენტს შეიცავს და, რაც მოთავრია,
აქ გვხვდება ზეწორედ ის, რასაც ს. ფრეილიხი მხოლოდ
ტრავიკომედის თვისებად თვლის: „ჰამლეტიში“ ტრავი-
კული და კომედიური უზრალად ერთმანეთის გვერდით კი
არ დევს, არამედ წარედ დაღუბენილი კავშირშია, გა-
დადის ერთმანეთში, ენაცვლება ერთი მეორეს და ა. შ.

ჰამლეტი იმიტომაა ტრავიკული გმირი, რომ კათარ-
ზის განგვაადევენებს და მისი ზნეობრივი გამარჯვება
ჩვენივეს და თვით ტრავედისის მოქმედე პირთათვისაც
ნათელია. ტრავიკომედიაში და ტრავედიაში შორის განსხ-
ვავება, ვფიქრობ, პირველ რიგში, მსოფლმხედველური
განსხვავებაა.

ტრავიკედიაში გმირის იდეალი უცილობელ დასუელობას
წარმოადგენს, მისი სიციოცლისუნარიანობა და მნიშვნე-
ლობა ეჭმიტუნალია. ეს კი კათარზის განგვაადევე-
ნებს. ტრავიკომედისის გმირის იდეალი კი მნიშვნელოვან
ბალას არ წარმოადგენს, ის გაუფასურებულია და ამიტომ
არამც თუ არ განგვაადევენებს კათარზისს, არამედ პირი-
ქით, ვკვარზნობს დასუკვანს ცხოვრების, ყოფის უაზრო-
ბის შესახებ.

ტრავიკომედისის ერთ-ერთ ნათელ მაგალითად აღნიშ-
ნულ თეორიებში მიჩნეულია სერვანტისის „დონ კიხო-
ტი“. მართალია, ამ ნაწარმოებში ბევრია ტრავიკომედიური
ელემენტები და ელემენტები, მაგრამ ის ტრავიკომედიად
არ გვევჩინება.

დონ კიხოტი იმარჯვებს ზნეობრივად და შეიძლება
ითქვას, კათარზისსაც განგვაადევენებს, რადგან მისი იდე-
ალების მნიშვნელობა ჩვენთვის ნათელი და უდავოა.

ამ ნაწარმოებში არის ერთი მეტად მნიშვნელოვანი
ელემენტი ტრავიკომედისისა. კერძოდ ის, რომ საზოგა-
დომის, რომელშიც მოქმედებს გმირი, არად მიჩნენს
გმირის იდეალებს, და ისეც ნაწილობრივ, რადგან „დონ
კიხოტიში“ აბსოლუტურად ნათლად არის ნაჩვენები ის
ზნეობრივი გავლენა, რომელსაც ბოლოს და ბოლოს მაინც
ახდენს თავის გარშემო მოყოფ ადამიანებზე ღამანეილი
როინდი.

სერვანტისი გვიჩვენებს, რომ უფუნური და უზნეო
საზოგადოება, რომელმაც ვერ ისმინა და ვერ შეაფასა
გმირის ზნეობრივი სიმაღლე. მწერალი ამით ამტკიცებს,
თავისი გმირის ზნეობრივი იდეალს. ასე რომ, ეს ნაწარ-
მოები ოპტიმისტური და გმირის იდეალის დამამკვიდრე-
ბელი ნაწარმოებია. და თუმცა ის უზუნად შეიცავს ტრავი-
კომედიურ ელემენტებს, მაგრამ მაინც არ წარმოადგენს
ტრავიკომედისს, რადგან არ ფლობს ტრავიკომედისისათ-
ვის აუცილებელ, მთავარ თვისებას — კერძოდ იმას,
რომ ტრავიკომედისის გმირის იდეალები გაუფასურებუ-
ლი უნდა იყოს, ამ იდეალებს არ უნდა შეეძლოს გავლენ-
ის სიღრმის მოთაებება და ამიტომ ტრავიკომედიაში გმი-
რი განწირულია, მაგრამ განსხვავებით ტრავედისისაგან,
მისი დამარცხება ჩვენში კათარზისის გრძნობას კი არ



იწვევს, არამედ ბადებს ცხოვრების უაზრობის შეგრძნებას.

ნაწარმოებს ტრაგიკომედიალ აქცევს სწორედ ეს თვისება, რაზეც ახლა გვექონდა ლაპარაკი. ტრაგიკული და კომიკური ელემენტები ზოგ შემთხვევაში შეიძლება სულაღაც არ იქვეყნეს ყურადღებას ტრაგიკომედიაში და უფრო მეტიც, შეიძლება ისინი სულაც არ შეიგრძნობოდეს და ტრაგიკომედია დაწერილი იყოს ზომიერი დრამის ფორმით, ტრაგიკული და კომიკური პასაჟების გარეშე. მაგალითად: „ნანღობი, კეშმარტი ტრაგიკომედიაში — ბეკეტის „გოდოს მოლოდინში“ არც ტრაგიკული ელემენტებია მოპარბებულად და არც კომიკური.

არის ნაწარმოებები (მაგალითად, „ღონ კიხობის“), რომლებშიც გმირის იდეალების გაუფასურება თემაა, მაგრამ პათოსი ამ ნაწარმოებებისა, მათი ტენდენცია არის აზრი იმის შესახებ, რომ საზოგადოება უზნაოა, ხოლო გმირი ზნეობრივად მაღალი ანუ გამაჯრებელია ეს მოკლენა. ე. ი. ის, რომ გმირის იდეალები გაუფასურებულია და თვით გმირი ამდენად სასაცილოა — არის ხერხი, რომელიც რეალისტური ლიტერატურის განვითარებამ შეა. ამ ხერხის მომარკვება გახდა აუცილებელი იმისათვის, რომ ლიტერატურას ზნეობრივი გმირობა აღმოეჩინა იქ, სადაც ერთი შეხედვით არაფერი არ არის გმირული. რა სოციალური და ისტორიულ ფაქტებს მოჰყვა ეს აუცილებლობა — ეს ცალკე თემაა. ჩვენთვის აქ მნიშვნელოვანია სხვა რამ: ერთია ის, როცა გმირის იდეალების გაუფასურება არის ნაწარმოების თემა და, მეორეა, როცა ეს ნაწარმოების ტენდენციაა.

საკამათო არ არის, რომ „ღონ კიხობის“, ისე როგორც ტრაგიკომედიალ მიჩნეული სხვა მრავალი ნაწარმოების ტენდენცია სწორედ დამარცხებული გმირის იდეალების დამკვიდრებაა. ამიტომ ასეთი ნაწარმოებები არ შეიძლება ჩაითვალოს ტრაგიკომედიალად.

სულ სხვა ამბავია, რომ თვით „ღონკიხობისა“, როგორც ცნება, შეიძლება იყოს საფუძველი ტრაგიკომედიაში. ე. ი. ნაწარმოები, რომელშიც ნათქვამი იქნება, რომ დონკიხოტობას ანუ, ქაბის წიქვილებთან ბრბოლას, არა აქვს აზრი, რა თქმა უნდა, შეიძლება ტრაგიკომედია იყოს, მაგრამ საქმე სწორედ ის არის, რომ სერკანტესის „ღონ კიხობის“ ტენდენცია განმარტავს დონკიხოტობის, როგორც ზნეობრივი გმირობის დამკვიდრების აუცილებლობას. ეს წიგნი არის ხოტბა დონკიხოტობისა და ამიტომ არ შეიძლება ჩაითვალოს ტრაგიკომედიალად.

ის აზრი, რომ გმირი შეიძლება სასაცილო იყოს, ე. ი. როგორც ზშირად ამბობენ, იყოს ტრაგიკომიკური — ხელოვნებაში დამკვიდრდა ახალი გმირის აღმოჩენის აუცილებლობის გამო, როდის მოხდა და რატომ, ამის დადგენა ძნელი არ არის, რადგან ხელოვნების ისტორიაში ვარდატების ის მომენტები კარგად არის დეკორირებული. ჩვენთვის ამაჟამად საინტერესოა შემდეგი: თუ გმირი სასაცილოდ გამოიყურება ან სასაცილო, კომიკურ სიტუაციებში ვხედავთ მას, ეს ჭერ კიდევ არ არის საკმარისი იმისათვის, რომ გმირის დაერქვას ტრაგიკომიკური და ნაწარმოების ენარი განისაზღვროს როგორც ტრაგიკომედია.

წმინდა ტრაგიკომედია იშვიათად გვხვდება, რადგან ცოტაა ნაწარმოებები, რომლებიც ამკვიდრებენ ცხოვრების უაზრობის შესახებ.

ვფიქრობ, ტრაგიკომედიის ნიმუში შეიძლება მივიჩნიოთ ჩეხოვის „თოლია“. აქ გმირი, რომელიც მამარკონფლიქტშია საზოგადოებასთან, თავიდანვე, თუ შეიძლება ასე ითქვას, განირაღებულია, რადგან მას არავინ მიიჩნევს მოწინააღმდეგედ და მეტროლა სავეჭოა როგორც მისი იდეალი, ისე მიოელი მისი პიროვნება: ნიჭური თუ არა იგი — ესეც კი არავინ იცის და არც არავის აინტერესებს. ნათელია ისიც, რომ მისი სიკვდილი არავის არაფერზე არ დააფიქრებს — საზოგადოება თავისუფლად შეუძლია მისი სიკვდილის მოწყობა. ეს სიკვდილი ვერაფერით კვალს ვერ დაამჩნევს ამ საზოგადოებას.

ჩეხოვი რეალისტია და საზოგადოება ისე აღწერა, როგორც შეიგრძობს — და მის მიერ შექმნილი მკვეტი ცხოვრებისა — ჩეხოვის თეატრი — ტრაგიკომედიის გამოვიდა. ვფიქრობ, ჩეხოვის თითქმის ყველა პიესა ტრაგიკომედიისთან ძალზე ახლოს დგას. ეს უფოოდ მოხდა ძალდატანებლად და განზრახვის გარეშე. ჩვენ ვხვდებით ტრაგიკომედიები, რომლებიც შექმნილია ნათლად და სავსებით ჩამოყალიბებული მსოფლშეგრძნების შედეგად (რა თქმა უნდა, ეს მსოფლშეგრძნება არ არის საფუძველს მოკლებული. იგი ცხოვრების, ყოფის გააზრების შედეგია). ასეთ ნაწარმოებებს განეკუთვნება ზემონახსენები ბეკეტის „გოდოს მოლოდინში“, იონესკოს „მარტრაქა“ და სხვა არაერთი ნაწარმოები, რომლებიც ვერაფეროდებენ „აბსურდის“ დრამატურგიას განეკუთვნებიან.

ამგვარად, ტრაგიკომედიებად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ის ნაწარმოებები, რომელთაც საფუძველად უდევს მსოფლშეხვედლობა ცხოვრების უაზრობის შესახებ ან რომლებიც ასეთ მსოფლშეხვედლურ დასკვნას შეიცვენ. ე. ი. ნაწარმოები ამგვარ მსოფლშეხვედლობას შეიძლება ქვეცნობიერად გამოხატავდეს (როგორც ეს, ვფიქრობ, ჩეხოვის შემთხვევაშია) და შეიძლება შეგნებულად (როგორც ამას თანამედროვე აბსურდისტები აყვებენ).

ჩეხოვის თითქმის ყველა პიესა (ორიოდ ვიდრეც) გარდა ტრაგიკომედიის, როგორც დრამატული ენარის, საწყისად შეიძლება მივიჩნიოთ. ჩეხოვის პიესების ცენტრში ყოველივეს დგას გმირი, რომელიც ვერ ახერხებს თავისი ნიქისა და ზნეობის შესაფერო ასპარეზის მონახვას. შეიგრძნობს რა ამას, ის უკვე შეგნებულად ემსახურება უაზრობას და ამის შედეგად იღუპება(იმის მიუხედავად კვდება, თავს იკლავს თუ სრულიად განადგურებული მინც ცანაგრძობის ცხოვრებას). მაგალითად, ძია ვანო თავისი ზნეობრივი ამბოხების შემდეგ წყნარდება და ისევ ისე, როგორც ამბოხებამდე, განაგრძობს უაზრო ცხოვრებას. ასევე ასტროლოგი... სამი და განაგრძობს ცხოვრებას უფუი ოცნებით, რომლის უაზრობაც თავად აქვთ შეგნებული. რანეესკის ისევე თავისკენ ეხილება უაზრო და უმოზნო ცხოვრება საზღვაგარეთ; გავიქ ძალაუნებურად ეთხოვება ძველ უაზრო ცხოვრება და იწყებს ახალ თავისი სუვილის გარეშე და თვითონვე კარგად იცის ამ ახალი ცხოვრების უწყეობა და უმოზნობა. პლატონო-



ვი, ივანეოვი კარგად შეიგრძნობენ საკუთარი ცხოვრების უზარობასა და უზენობას, მაგრამ არაფრის შეცვლა არ შეუძლიათ...

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ჩეხოვის პიესების სამხატვრო თეატრისეულმა ინტერპრეტაციამ დღემდე არ დაკარგა თავისი მნიშვნელობა და ჩეხოვის პიესების, როგორც დრამების თამაშს ასე თუ ისე დღესაც უფრო ბევრი მომხრე ჰყავს თეატრებსა და ფართო მაყურებელს შორის, ვიდრე თვით ჩეხოვის მიერ მოცემულ ქართულ კოლდს.

იმდენად ძლიერია სამხატვრო თეატრის მიერ დადგენილი ქართული ამოხსნა ჩეხოვის პიესებისა, რომ დღესაც კი ყოველგვარი დასხვევა თვით ჩეხოვისავე, მისი პიესების უფრო ჭეშმარიტი ქართული თვისებების გამოვლენისავე, შეიძლება ითქვას, მკერხელობად ითვლება. ეს მაშინ, როცა დიდი ხანია ცნობილია, რომ ჩეხოვი თვითონ არასოდეს არ ყოფილა კმაყოფილი იმით, რომ მის პიესებს სამხატვრო თეატრში (რომელიც მას ასე მზრუნველად უყვარდა) თამაშობდნენ როგორც დრამებს.

ცნობილია, რა დაცინებით იმეორებდა ჩეხოვი, რომ „თოლია“ არის კომედია და თეატრი კი ამ პიესას თამაშობდა როგორც დრამას.

ჩეხოვისეული გააზრება საკუთარი პიესის ქანრისა მაშინ გაუგებარი იყო — ჩეხოვი დაწვენილ დრამატურგი იყო და თეატრს კი დიდი ავტორიტეტი ჰქონდა. ამიტომ ჩეხოვი, საზოგადოდ მეტად მოკრძალებული კაცი, შეიძლება ითქვას, რომ ზომიერ მეტრდაც ამკლავებდა გალიზნიანებს, ვიდრე ამას, ალბათ, მისგან მოელოდნენ. ასე თუ ისე, დამკვირვებელ ტრადიცია ჩეხოვის პიესების, როგორც წმინდა დრამების თამაშისა.

ადრინდელ პიესებს ჩეხოვი არ განსაზღვრავდა ქანრობივად და როგორც ჩანს, მისი აზრით პირველ სრულყოფილ პიესას „ივანოვს“ მიიჩნევს „დრამას“. შემდეგ როცა მან საკუთარი პიესების პოეტკია უფრო ნათლად გააზნა, „თოლიას“ კომედია უწოდა და უნდა ვიფიქროთ, ეს იმეტომ გააკეთა, რომ უკვე საესებთი შეგრძნებული და გააზრებული ჰქონდა თავისი პიესების დრამატურგიული ნოვაცია, მათი ქანრული რაობა და ამ რაობის დაცვის აუცილებლობა, მაგრამ ამას შედეგი არ მოუტანია — მისი კომედია, როგორც ამას თეატრში დამარცხებულ ნაწარმოებზე ამბობენ ხოლმე, ჭკრ „ჩაყარდა“ და შემდეგ სამხატვრო თეატრმა, რომელმაც ჩეხოვისავე აღიარებით სიცოცხლე მისცა მის „თოლიას“ — ითამაშა იგი როგორც დრამა.

მომდევნო პიესას „ძია ვანო“ აწერია უზარალოდ — „სცენები“, საყურადღებოა ერთი დეტალი: ჩეხოვმა უკვე სპეციალურად სამხატვრო თეატრისათვის დაიწყო „სამი დღის“ წერა და ეს შეატყობინა ნემროვიჩ-დანჩენკოს, შეატყობინა ასე: „...Для художественного театра я пишу пьесу...“ „(1899 წლის 8 თებერვლის წერილი ნემროვიჩ-დანჩენკოსადმი). აქ კარგად ჩანს, რომ ჩეხოვი თავს არიდებს იმის განსაზღვრას, თუ კერძოდ რას წერს — კომედიას თუ დრამას. ხოლო შემდეგ „სამი დღის“, რომლის საბოლოო რედაქცია თეატრთან ურთიერთობის შედეგად გაკეთდა, ალბათ, თავისთავად დაეჭვება დრამა თავის სა-

ბოლოო შედეგის „აღუბლის ბაღს“ კი ჩეხოვმა კვლავ ჯიუტად კომედიად განსაზღვრავს.

როგორც ჩეხოვის მიერ დადგენილი ქართული განსაზღვრება არ იყო უბრალო კაბრიზი, ისე უზარალო კაბრიზი არ იყო ისიც, რომ თეატრი ამ კომედიებს ასევე ჯიუტად თამაშობდა როგორც დრამებს.

მსგავსი რამ თეატრის ისტორიაში არც ახალია და არც მოულოდნელი. თეატრს უფლება აქვს ისე განახორციელოს დღეს თუ ის დრამატული ნაწარმოები, როგორც მას აღიქვამს, როგორც შეიგრძნობს.

რაც შეეხება ჩეხოვის პიესების ერთნულ ინტერპრეტაციებს, კერძოდ კი, საუკეთესო თანამედროვე ინტერპრეტაციებს: ნ. მიხალკოვის „დაუმთავრებელი პიესის მექანიკური პანინოსთავის“ და ა. კონჩალოვსკის „ძია ვანო“, მათ უსახებ პირველი რაც უნდა ითქვას, არის ის, რომ ამ ნაშუქვებში არ არის გადასხვევა უკვე დამკვირვებული ტრადიციებიდან. როგორც მიხალკოვის ადაპტაცია, ისე კონჩალოვსკის ინტერპრეტაცია სამხატვრო თეატრის პლატონ ტრადიციებს არ არღვევს: მიხალკოვისეული „დაუმთავრებელი“ დრამა და ასევე დრამის წარმოადგენს კონჩალოვსკის „ძია ვანოც“.

ნიკიტა მიხალკოვის „დაუმთავრებელი პიესა...“ საფუძვლიანად გაკეთებული ადაპტაცია, ხოლო მთავარი ცვლილება კი ის არის, რომ პლატონოვი და ასევე ფილმის ყველა პერსონაჟი ფინალში კათარზისს გაივლიან. ეს ფაქტი განწმენდის ჩვენც გადმოგვეცემა და დიდ გავლენას ახდენს. სწორედ ეს მომენტი აქევეს მიხალკოვის ფილმს დრამად.

უნდა ითქვას, რომ ამგვარი ინტერპრეტაცია პრინციპულად გადახვევა ჩეხოვის პიესიდან. ძირითადი კონცეფცია ჩეხოვის „შეცვლილია, ხოლო ქანრული სტრუქტურა დარღვეულია და ადაპტირებული, მაგრამ ფილმი კარგი ნაწარმოებია თავისთავად და, როგორც იტყვიან, გამაზრებულებს არ სჯიანო. ეს რომ ასეა, სწორედ ამიტომაც იყო ალბათ, რომ თვით ჩეხოვი (მთუხვევად იმისა, რომ ფიქსირებულია მისი უქმყოფილება) საბოლოოდ მინც ეუფებოდა, რომ სამხატვრო თეატრი მის პიესებს თამაშობდა როგორც დრამებს.

ა. კონჩალოვსკის „ძია ვანო“ უფრო ძნელად შესამჩნევი ხერხებით აზორციელებს ჩეხოვის პიესის დრამად გადაქმნას. ეს ფილმიც მთალი რანგის ნაშუქვარია და სადავო არაფერი გვაქვს მის ავტორთან. ფილმ „ძია ვანო“ სრულიად ავ არ ახსიათებს ქრესტომატიულობა და არც სამხატვრო თეატრისეული მანერის რეტროსპექტივას წარმოადგენს. მაგრამ ტრადიციებთან მას საერთო აქვს მთავარი — „ძია ვანოც“ გააზრებული და განხორციელებულია როგორც დრამა აქაც ტრადიციისაზე ჩეხოვის მიერ აშკარად ხაზგასმული კომეზში შერბილებულია.

გავიხსენოთ ვიინიკის სიტყვები: «Пустите, Helene! Пустите меня (освобоившись вбегает и ищет глазами Серебрякова) Где он? А, вот он! (стреляет в него) Бац!».

ამ ფილმიც, რომელიც ვიმეორებ, თავისთავად კარგი ფილმი, მინც გაურკვეველი რჩება, თუ რატომ დაჭირდა ჩეხოვს „Бац“. ვფიქრობთ, მეელი ეს ციტატა, „ძია ვანოდან“ რომ მოვიყვანეთ, არის კლდი, რომელც



გაუხსნელია დღემდე და გაუხსნელი დარჩა ამ ფილმშიც.

მთავარი კი მაინც ის არის, რომ ფილმის ფინალში სონიას მონოლოგი, რეჟისორისა და აქტიორის მიერ მაღალ დონეზე გადაწყვეტილი და შესრულებული, გამოყენებულია როგორც ამაღლებული გიმნიის გამოყვევის საშუალება განწმენის ფეტიქის მონაღმედ და იმას აღწევინ კიდევ აქტიორი და რეჟისორი.

ის მონოლოგი, რომელიც ჩეხოვის მიერ დაწერილია როგორც ტრაგიკომედიის დაძაბუნებული აკორდი, მონოლოგი, რომელიც ფაქტიურად წმინდა ეკსისტენციალური — სიკვდილისათვის მზადების განწყობის გამოხატულებაა რეჟისორის მიერ ისეა გააზრებული და დრამატული ტრაგედიის მქონე მსახიობის (ი. ჟუბინევი) მიერ იმგვარად წაითხული, რომ ჩვენში იწვევს კათარზისულ, საზემო განწყობას. და ეს ფინალი, საბოლოოდ აქცევს ამ ფილმს დრამად.

ეს გადახვევა იმისათვის დამჭირდა, რომ აღმეწინა: თანამედროვე საბჭოთა კინემატოგრაფი თვით ჩეხოვის ეპოქობრივ ადამტაციას აწარმოებს და აშკარა ტრაგიკომიურ სტრუქტურას დრამად აქცევს.

არც შეეგება ორიგინალური სცენარების მიხედვით შექმნილ იმ ფილმებს, რომლებსაც ჩვენს კინომოდერნიზმში ტრაგიკომედიებს მიაკუთვნებენ, სინამდვილეში ისინი ამ ეპარს არ განეკუთვნებიან და თავისუფლად თავსდებიან ხან დრამის, ხან კომედიის, ხან სეკიანი კომედიის, ხან სატირული კომედიის, ხანაც პერიოდიული დრამისა ან ბალადის ჩარჩოებში.

„ჰარისკაციის მამა“ არ შეიძლება ჩაითვალოს ტრაგიკომედია, რადგან ტრაგიკომიკური ელემენტები აქ არის მხოლოდ ის, რომ ზაქარიაძის მახარაშვილი არ გამოიყურება „გმირულად“ ამ სიტყვის ტრადიციული გაგებით — მოუწმეზავია, სასაცილოდ ამტკიცებს რუსულს, წვეთგაბურძენილია და დიდი ყურები აქვს. გმირის ასეთი გადაწყვეტა, ასეთი ფაქტურის არჩევა, ვფიქრობ, გამოწვეული იყო იმით, რომ ავტორებს სურდათ არ რეალური, ნამდვილი გმირის აღმოჩენა, უკუაღვდს ტრაფარეტი, რომელიც მათი ფილმის შექმნამდე მრავლად არსებობდა. ე. ი. მოძველებულ ფორმას თავი აარიდეს და დათრგუნეს ცდუნება ლამაზი, წარმოსადეგი, ჭიშინი ქართული გლეხის ჩვენებისა.

კომიკური ელემენტების იმგვარი სიჭარბეც კი, როგორც „ჰარისკაციის მამაშია“, მას ტრაგიკომედიად ვერ აქცევს. ეს ფილმი ეპარის თვალსაზრისით, ყველაზე ახალა ბალადისთან.

„გიორგობისთვეში“, მაგალითად, გმირი სასაცილოა, მაგრამ აქ აშკარად გამოვლენილი დონეხობიზმი, გამოვლენილი ისევე, როგორც ეს თვით „დონ კიხტიშია“, სიუჟეტიცა ფილმისა, ხოლო ფილმის პათოსი, ფილმის ტენდენცია სასაცილო გმირის, „არაგმირული გმირის“ ზნეობრივი აღმატებულების დამტკიცება. ასეთივე თავისებურების და იდეური მიმართულების გამოძახატვლია სმოკტინოვსკის გმირი — დეტოჩკინი ელ. რიაზანოვის ფილმიდან „უფროხილით ავტომობილს“.

„გიორგობისთვის“ გმირის გადაწყვეტი ნაბიჯი ისეთ საოცარ ფეტიქს ახდენს უკლებლივ ფილმის ყველა პერ-

სონაზე, რომ ჩვენც ვეუფლებო სათანადო განწყობით, მაგრამ, სრულიად უცხო ტრაგიკომიკური კვანძის ფუნქციონირებას, სრულიად უცხო ტრაგიკომიკური კვანძის ფუნქციონირებას. თვის და ფილმის ფინალში კი თვით ავტორი გვიერთდება და ისიც თითქმის ჰიპნოზის უმერის (ცხადია, ყოველგვარი პათეტიკისა და ყალბი ინტონაციების გარეშე) ნიკოს.

ქარხნის დირექტორის დიპლომატიკური, მაგრამ აშკარად ვერაგული ქვეტექსტის შემცველი რეაქციის შემდეგ, ფილმის ავტორი წვეტს თხოობას და ნიკოს ფეხბურთის მოედანზე გაიხვეტა. ეს არასპორტული, გამაზრდი, წელში მოხიზარი ბიჭი მოკლედნელი სისმუბუქითა და გრაციით და, რაც მთავარია, უდავი ისტატობით თამაშობს ფეხბურთს, და უცებ კადრში შევიტნიერ, განახლებულ, აყვავებულ ხეს ჭედავთ — ეს არის ფინალური კადრი.

ფილმი მთავრდება ნიკოს ექვიმუტანელი ზნეობრივი გამარტვებით. ჩვენთვის, ისევე როგორც თვით ფილმის პერსონაჟებისთვისაც, ცხადი გახდა მისი როგორც მართალი და ვაჯეცი კაცის საოცრად სწრაფი მომწიფება. უცნაური ქბუეკი, რომლისგანაც არავენ ელოდა სერიოზულ სიმტკიცეს, უეცრად საშოში მოჩინამდეგე გახდა.

ტრაგიკომიკური ელემენტად აქ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ის, რომ ამ ფილმში, ისევე როგორც, მაგალითად, „ჰარისკაციის მამაში“, ზნეობრივი სრწმინდე და ვეჯეცური ქედუხებლობა აღმოაჩნდა არამგირული გარეგნობის მეტად ჩვეულებზე ბიჭს. ეს არის და ეს, სხვა არაფერია ამ ფილმში არც კომიკური და არც ტრაგიკომიკური.

„გიორგობისთვე“ ეპარის თვალსაზრისით არც კომედია და არც ტრაგიკომედია. იგი, ისევე როგორც თ. იოსელიანის ყველა ფილმი, განხორციელებულია ნოველის, როგორც სტრუქტურული ფორმის ჩარჩოებში, და არაფერი საერთო არა აქვს დრამატულ ეანჭებთან — ტრაგედისთან. დრამასთან, კომედიასა და ტრაგიკომედიასთან.

როდესაც ქართულ ტრაგიკომიკურ ფილმებზე ლაპარაკობდნ, მოიხსენიებენ ხოლმე ავტორ ე. კობახიძის „ქორწილს“ და ელ. შენგელაიას „არაჩვეულებრივ გამოფენას“.

„ქორწილის“ ღირება და მნიშვნელობა სწორედ ის არის, რომ საუკეთესო სალი, ოპტიმისტური იუმორითა და იმედით. ფილმის გმირი ჭანრთელი და კეთილი ოცნებებით სავსე ახალგაზრდაა, რომელსაც ჭერ არაფერი არა თუ ტრაგიკომიკური არამედ სეკიანიც კი არ შემთხვევია.

ფილმის სიუჟეტიცა რომ მას გადახდება — ეს არის შემთხვევები, რომლებიც, ალბათ, მისი ბიოგრაფიის ფაქტებად ვერ გადაიქცევა, რადგან თითონ მას — ამ ახალგაზრდას, — არ სურს ეს ფაქტები თავისი ბიოგრაფიის სუფთა ფურცლებზე ჩაწეროს. ნახა, გაიგო, დალონდა და საკმარისია! — ის კვლავ წინ მიდის ამაყად, ყვევილებით ხელში. — ის თავისი ოცნებისაკენ მიაბიჯებს შეუჩერებლად.

ცნობილი რომანსი „Э. paz, еще paz...“ რომელიც რეფრენივით ვასდევს ფილმს, გამოყენებულია იუმორით და სწორედ იმას უსჯავს ხაზს, რომ ჭერ არაფერი არ მომხდარა, და ყველაფერი წინ არის. ამაგვარი მუსიკალური



თანხლება ასეთ ეფექტს იმიტომ იძლევა, რომ ფილმის გმირის და რომანსის გმირის სულიერი წყობა კონტრასტულია. ფილმის გმირი სიცოცხლეთ სავსე ახალგაზრდაა, რომელსაც ყველაფერი წინააქვს. რომანსის გმირი კი უკვე დაღლილი ცხოვრებისაგან და ყოველი ახალი ეპიზოდი მის ცხოვრებაში მხოლოდ კიდევ ერთი კარგად ნაცნობ და მოყრეპული შთაბეჭდილებაა.

„ქორწილი“, ცხელია. არ წარმოადგენს ტრაგიკომედიას. ეს ფილმი უმორთო აღსავსე ლირიკული ნოველაა.

თუ ერთი წუთით დაუშვებთ, რომ „არაჩვეულებრივი გამოფენის“ გმირი აგული — ეს არის ტალანტი (გენიოსი რომ არ არის, ცხელია), რომელიც კაცობრიობამ დაკარგა, რადგან იგი გაჭირვების გამო იძულებული იყო კომპრომისზე წასულიყო, მაშინ შეიძლება ის ტრაგიკომედიად მოგვეჩვენოს. მაგრამ, ვერ ერთი, ფილმის თემა არ არის ტალანტის დაღუპვა სიღუბნებში; ნერტივ, არსად და არსოდეს არ შექმნილა ნაწარმოები ტალანტის შესახებ. რომელიც ვერ გამოვლინდა და დაიღუპა სიღუბნებში. ვფიქრობ, ასეთი ფაქტი არც შეიძლება მოხდეს — შეუძლებელია ტალანტმა არ გამოიბრწყინოს. ვარგისოვანი შეუძლება ტალანტის მქონე ადამიანების ცხოვრების ვართულება, შეიძლება მისი დენის, მისი დაღუპვის მიზეზი ვახდეს, მაგრამ ვიდრე დაიღუპება, ტალანტი მაინც მოახერხებს გამოვლენას. და თუ ვერ გამოვლინდა ერთ სფეროში, აუცილებლად თავს იჩენს რომელიმე სხვა სფეროში. ტრაგიკული ბედი არ დამატრიალებს თავს ცხოვრება თავის დაღს ადებს ტალანტს, ხოლო ეს, თავის მხრივ, სწორად განუმეორებელ მშვენიერებას ანიჭებს ტალანტის ნაყოფს და ტალანტის მქონე პიროვნებას სწორად სწორედ საკუთარი ბედის ტრაგიკულობა, დრამატრემა აიძულებს ხოლმე უფრო ღრმად ჩაიხედოს მოვლენათა არსში.

ჩვენ ამ სიღუბნებისა და ტრაგიკული ბედის აპოლიკიას კი არ ვეწყვიტო, არამედ უბრალოდ კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამთ იმ ქვეშაობრივებს, რომ არც სიღუბნების, არც შიმშილის და არც სიცოცხლის არ შეუძლიათ ტალანტის დაღუპვა.

შესაძლებელია სენენარისტს და ფილმის რეჟისორს თავდაპირველად უნდოდათ კიდევ ეჩვენებინათ ტალანტის დაღუპვის პროცესი სიღუბნებში, მაგრამ მათ სასასხლოდ უნდა ითქვას, რომ არ უღალატა აღმნიშვნა და ეს კი არ დაბატეს საბოლოოდ, არამედ კომპრომისზე წასული ცაცის სიღინაი თავგადასავალი ვვიამბეს და ამით უკომპრომისობის აუცილებლობის აზრს გვახიარებს.

„არაჩვეულებრივი გამოფენა“ არ არის ტრაგიკომედია, თუმცა მასში ტრაგიკომიკური ელემენტები ძალზე ნათლად ამოიკითხება. ფილმი, რომელიც უკომპრომისობას ქადაგებს — არ შეიძლება ტრაგიკომედია იყოს. ყველა ქვეშაობრივ ტრაგიკომიკურ მთავარი სათქმელი ხომ ის არის, რომ უკომპრომისობას, ისევე როგორც კომპრომისს და საერთოდ ცხოვრებას აზრი არა აქვს...

„არაჩვეულებრივი გამოფენა“ ყანრის თვალსაზრისით კომედიია, უფრო ზუსტად — ვგრძობ წოდებული სევდიანი კომედიია. აგული სევდიანი კომედიის გმირია და არა ტრაგიკომედიისა. აგული არ არის ტალანტის მქონე მოქანდაკე — იმი რომ არ დაწყებულყო, რომ არ მოეტანა

გაჭირვება და იგი იძულებული რომ არ ყოფილიყო ამდენი სო სასაფლაო უფრელი ძეგლებით, აგული სასაფლაოებში ინიც ვერ მოერეოდა იმ მარმარილოს, მის ეზოში რომ დეეს და ვერ განთავისუფლებდა ამ მარმარილოში დატყვევებულ. მასში მოქცეულ მშვენიერ ქადაგებს.

გაჭირვება შეიძლება აგულის კომპრომისისაკენ. აი, ეს არის მთავარი უბიკრება რომ არა, ალბათ, აგული, რომელიც საესვით მოკლებულია პატემოყვარობას და ერთდვარ კუდაბნევიანს, რაც მიამისას ახსიათებს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ადვილად აღმოაჩენდა საკუთარ უნეტობას და არ იკადრებდა თიხის ზელას მხოლოდ ლუკმაპურისთვის.

აგულის გულწრფელობა მისი შურეყენელი ბუნება იმის საბუთიყაა, რომ ის ადრე თუ გვიან მონახავდა თავის ადგილს, მაგრამ სამწუხაროდ მოვლენები ისე განვითარდა, რომ აგულის ფიქრისა და ანალიზის დრო არ აღმოაჩნდა.

დაბნეული აგული ერთხელ კი გაიბრძოლებს, მაგრამ კიდევ ვარჯი, რომ ჩქარა მოგვება გონს. რადგან ამ გაბრძოლებას შეიძლება კიდევ უფრო დიდი წყედობა მოჰყვოდეს და მას დაეკარგა ოჯახი, ე. ი. ის არც სინამდვილეში მისი ადამიანური ყოფის გვირგვინია. რადიანტრემა ნიჭმა, ალომა გადაარჩინა აგული და მან მოიპოვა კიდევ სამაყვირო — მყუდრო ოჯახური ბედნიერება. მაგრამ ერთხელ და შევებულმა კომპრომისმა აგულის გადაუტეხა გზა სრულყოფისაკენ და ამის შეგრძნებაა ფილმის დინამიკა აგულის თვითმზილების მიზეზი. ეს თვითმზილებაც იმ ხსიათისაა, რომ ერთხელ კიდევ ნათლად მოქმობს ფილმის ავტორების შეუმცდარი ალოზე: აქ არ არის არავითარი გადაჭარბება, სვედის მოგონება, ადამიანის რასაც თავის შესახებ გვიამბობს აგული, მაგრამ ამ თვითმზილებას თან ახლავს არა ტრაგიკული, არა ცინიკური ინტონაცია, არამედ ჯანბნებული იუმორი და ეს მოქმობს იმას, რომ აგული არ დაღუბულა, რომ ის არ თვლის თავის თავს დაღუბულად. სიყვარულის ნიჭი, რომელიც მას აღმოაჩინდა, არის ის ძალა, რომელიც იგი გადაარჩინა და რომელიც აღამაზებს მის ყოფას.

ამიტომ არის, რომ მშვენიერ ლოდთან შერკინებაში დამარცხებული, მაგრამ არა ხელჩაქეული აგული, ამ ლოდს, ამ სასიკეთო შენახულ განძს იმდენი რღიმილი გადაულოცავს თავის მოწაფეს. აგულის, მართალია, არ აღმოაჩნდა მოქანდაკის, ზელოვანის, მხატვრის ტალანტი, მაგრამ ის ნიჭიერი ადამიანია — იუმორით სავსე, მგრძობიანად და კომპრომისი რომ არა, ალბათ, ის მონახავდა სასაფლაოსაგულის განკუთვნილი ძეგლების კეთებაზე უფრო სასარგებლო, საპატიო და საინტერესო ასპარეზს საკუთარი ნიჭისათვის.

ყანრების შესახებ მსჯელობისას უთუოდ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ისინი ისტორიულ კატეგორიებს წარმოადგენენ და ვითარდებიან ძირითადად იმი ფაქტორის გავლენით: ისტორიულ-სოციალური გაპირობებით და მხატვრული განვითარების შინაგანი ლოკაციით. ამიტომ ყანრები მუდმივ განვითარებას, ტრანსფორმაციასა და სახეცვლას განიცდიან; თუმცა ამასთანავე გარკვეულ სიმყარეს და ტიპოლოგიურ საზღვრებს მაინც ინარჩუნებენ.



ხდება ისეც, რომ ესა თუ ის ეპარია რომელიმე ისტორიულ ეტაპზე ქრება და შემდეგ კვლავ აღორძინდება ახალი ფორმით, მაგრამ ამასთანავე, თავის ძირითად და განმასხვდრელ ნიშნებს მაინც ინარჩუნებს. მაგალითად ტრაპედიონი, როგორც ვიცით, წარმოიშობა და ჩამოყალიბდა ანტიკურ საბერძნეთში ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI-V საუკუნეებში. შემდეგ, შუა საუკუნეებში ტრაპედიამ შეწყვიტა თავისი არსებობა, ვინაიდან ღმერთი ყოველგვარ წინამოდღებებს წყვეტდა. XVI საუკუნის მეორე ნახევარში ინგლისში კვლავ გაჩნდა თავისი კონფლიქტის ხასიათით ქვეშაობრივ ტრაპედიონი, მაგრამ მალე, შექსპირის შემოქმედებისთან ერთად, ისიც ამოიწურა და მხოლოდ XVIII საუკუნის საფრანგეთში კვლავ ახალი სახით აღორძინდა კორნელისა და რასინის შემოქმედებაში. თანამედროვე ხანაში დროადადრო ვხვდებით ნაწარმოებებს, რომელთა ტრაპედიული საწყისები გააჩნიათ, მაგრამ წმინდა სახის ტრაპედიონი თითქმის აღარ არსებობს.

საზოგადოების განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე რომელიმე ეპარის მნიშვნელობის დაკარგვა თვით ისტორიული თავისებურებითაა განპირობებული. არისტოვანე, მაგალითად, კომედიებს მხოლოდ იმტოტო კი არ წერდა, რომ მას კომედიოგრაფის ტალანტი ჰქონდა, არამედ კედე იმტოტო, რომ ამას სხვა უფრო მნიშვნელოვანი მიზეზი გააჩნდა: არისტოვანე ავანგარდისტი იყო, იგი ვეღარ ზედავდა ისეთ გმირებს, როგორც იყვნენ, მაგალითად მედეა და თიდიპოსი და ამიტომ, ბუნებრივია, მას არ შეეძლო ტრაპედიების შექმნა.

თვით საზოგადოება იძლეოდა ყველთვის იმის საფუძველს, რომ ავტორები ქმნიდნენ ამა თუ იმ ეპარის ნაწარმოებებს. გაბატონებული ეპარობრივი ფორმები დიდხანს ცოცხლობენ და დროადადრო, როგორც აღვნიშნეთ, აღორძინდებიან ხოლმე ახალი სახით.

ტრაპედიომედიის ჩამოყალიბება საუკუნეების მანძილზე მიმდინარეობდა. უმთავრესად ის თავს იჩენდა ხოლმე ისტორიის გარდამავალ ეტაპებზე, როდესაც ძველი იდეალები კარგად დენ გაბატონებულ მნიშვნელობასა და სიკაცხისუნარიანობას, ხოლო ახალი იდეალები კერ კედე ნათლად არ იყო გაცნობიერებული. ამიტომ ტრაპედიოკურ საწყისებს, ტრაპედიომედიის ეპარის დამახასიათებელ ნიშნებს ჩვენ ვხვდებით როგორც ანტიკურ ხანაში, ისე კაცობრიობისა და ხელოვნების განვითარების ყველა შემდგომ ეტაპზეც. «ტრაპედიომედიის მსოფლშეგახანება დომინირებასა და ტრაპედიომედიის გავრეულ ფორმებზე ჩამოყალიბებას იწყებს ისტორიის დასრულებით. დრამაში ტრაპედიომედიის პირველი ნიშნები შეინიშნება ეპარობრედსთან (ალექსიტრაძე, „იონი“, სატრული დრამა) „ჰიკლონი“, რომლის მოღვაწეობა ამ პერიოდს ემთხვევა, როდესაც შორეა ბერძნული საზოგადოების სტაბილურობა, ღმერთების რწმენა, ჩაისახა სკეპტიციზმი. ტრაპედიომედიის ელემენტები სულ უფრო დიდ როლს თამაშობენ პეესებში, შუასაუკუნეების მიწურულს რომ გამოჩნდა (მაგ. XV ს. ანონიმურ ინგლისურ პეესაში „ყოველი კაცი“). აღორძინების პერიოდის დრამაში შეინიშნება ტრაპედიომედიური საწყისის თანდათანობითი ზრდა, ხოლო ჰუმანიზმის კრიზისი ხელს უწყობს მის კრისტალიზაციას დამოუკიდებელ დრამატულ ფორმად.

რომელიც წარმოადგენს ტრაპედიომედიის პირველ ეტაპს და „ტრას. XVI-XVII სს. მიჯნაზე ტრაპედიომედიის გაბატონებულ ეპარად თითქმის ყველა ევროპული ქვეყნის დრამატურგიაში და ბოლოს, ყველაზე დამახასიათებელ დრამატულ ფორმად ბაროკოს ეპარისა? მუხედველად აღნიშნულის, ძველ დროში ტრაპედიომედიებად მიჩნეული და ასე წოდებული ნაწარმოებები გერ კედე ჩამოყალიბებულ ეპარულ სტრუქტურებს არ წარმოადგენდნენ. ავტორ ნაწარმოებებში, მთავარი და მნიშვნელოვანი იყო ავტორების სწრაფვა დაეძლიათ იმხანად გაბატონებული წმინდა ეპარები. ძირითადად ეს პროცესი ტრაპედიული და კომედიურის დაახლოებით, მათი ურთიერთშერწყმით ხასიათდებოდა. იგივე ენციკლოპედიური ვითხოვლობთ: „თავდაპირველად სიტყვა ტრაპედიომედიის ჰქონდა იგივე მნიშვნელობა, რა მნიშვნელობითაც მას ხმარობდა პლატი „მედიტორიონის“ პროლოგში (სწორედ აქედანაა ნასესხები ეს ტერმინი ჰუმანისტების მიერ), სადაც მერკური წარმოადგენს „ტრაპედიომედიის“ უწოდებს, ვინაიდან ვაზრახული აქვს ახენოსს კომედია, მაგრამ სხვა პერსონაჟებთან ერთად გამოიყვანის ღმერთებიც... აღორძინების ეტაპში ტრაპედიომედიის უწოდებდნენ ნებისმიერ პეესას რომელშიც ოდნავ მაინც იყო დარღვეული კომედიის ან ტრაპედიის ეპარული სიწყინდელი...“ (იქვე).

რაც შეეხება ტრაპედიომედიისათვის დამახასიათებელ კონფლიქტს, ის, მართალია, გამოხატავდა აღნიშნულ ეტაპებისათვის ნიშანდობლივ განწყობილებებს, მაგრამ მსოფლმხედველური თვალსაზრისით ეს კონფლიქტი მაინც უფრო სტრუქტურის სასათის ავარებას და ეს პროცესი ჩამოყალიბებისა მიმდინარეობდა მანამ, ვიდრე არ მომწიფდა და არ განვითარდა მოძღვრება დამიანის ცხოვრებისა ახალდღეობის შესახებ.

ტრაპედიომედი — ეპარია, რომელსაც დღეს გაბატონებული დრამაზრობა აქვს დასავლურ ხელოვნებაში, XX საუკუნის ბურჟუაზიული ყოფის შედეგია, ის იგივეა, რაც ბერძნებისათვის იყო ტრაპედია, ამსოლუტობრის ეპარის ფრანგებისათვის კომედია და ა. შ.

გადამწყვეტი მნიშვნელობა ტალანტის თავისებურებას კი არა აქვს, ან ეპარების სტრუქტურულ რაობას თუ მათი სრულყოფა-არასრულყოფის საკითხს... და მათი არიების პროდუქტი კი არ არის დღეს გაბატონებული ტრაპედიომედი, არამედ საქმე იმაშია, რომ ავტორი ტრაპედიულ გმირს ვერ ჰქვრეტს ცხოვრების რეალობაში და ვერც იმას, რასაც კომედიის ტრადიციული გმირი ჰქვია. ამიტომ ის ქმნის ნაწარმოებს, რომლის გმირის ინტელექტუალური და ზნეობრივი გმირობა ის არის, რომ შეიკრძნოს და განიცადოს ცხოვრების უაზრობა.

ტრაპედია, კომედია, ტრაპედიომედი — ეს ეპარები ნაშობია სხვადასხვა მსოფლმეორძინებასთან და მათი მნიშვნელობა ერთნაირია ეპარების თვალსაზრისით — ეს არის განვითარებული დრამის სახესხვაობანი.

ამ ეპარებში თვით უცვლელი სტრუქტურული თავისებურება ახასიათებს როგორც ტრაპედიომედი, ისე კომედიას და ტრაპედიომედიში ორი საწყისი უპირისპირდება ერთმანეთს — ეს არის ამ ეპარის საერთო თვისება. განსხვავებას კი ძირითადად შობს არა ესთეტიკური



ფენომენი, არამედ — სოციალურ-ისტორიული. ე. ი. ეს იმას ნიშნავს, რომ ტრაგედია და კომედია კაცობრიობის ისტორიის განვითარების შესაბამისად ერთმანეთს ენაცვლებოდნენ და ერთმანეთს უახლოვდებოდნენ მანამდე, ვიდრე არ მომწიფდა მოძვირება ცხოვრების უაზრობის, ცხოვრების ამაბოვი შესახებ და ვიდრე ეს არ გამოიხატა დრამატული სტრუქტურის ისეთ ფორმაში, როგორც არის ტრაგედიისა და კომედიის შემცველი ახალი ფორმა — ტრაგიკომედია.

რა თქმა უნდა, ტრაგიკომედია შეიცავს როგორც კომედიის, ისე ტრაგედიის ელემენტებს და ეს ელემენტები ერთმანეთთან დაკავშირებულია არა უბრალო ფორმალური კავშირით, არამედ დიალექტიკურ ერთიანობაში იმყოფებიან და ერთი საწყისი მეორის საშუალებით ვლინდება. მაგრამ ასეთი კავშირი არსებობდა ახალი არ არის. ტრაგედიისა და კომედიის კლასიკური ფორმის რღვევის მთელი ისტორიის მანძილზე ყოველთვის მიმდინარეობდა დრამის ევოლუცია კომედიისა და ტრაგიკული საწყისების დიალექტიკური შერწყმის საშუალებით. ტრაგიკომედია კი, როგორც ენარი, მეოცე საუკუნის ღვიძლი შვილია და იმ მოვლამდევლობის შედეგია, კაცობრიობის ისტორიაში გარკვეულ ისტორიულ-სოციალურ ეტაპზე რომ ჩამოყალიბდა.

„თანამედროვე ტრაგიკომედიაში ტრაგიკომედიური მსოფლმხედველობა არ იქნენ მე-16-17 საუკუნეებისათვის დამახასიათებელ წმინდა ენარულ ნიშნებს (რაც მნიშვნელოვანდ ატოლებს ტრაგიკომედიის ატრიბუციას და ბევრ კრიტიკოსს საშუალებას აძლევს მიაკუთვნონ ამ ენარს თითქმის ყველა დრამატული ნაწარმოები, რომლებიც არ წარმოადგენენ წმინდა სახის ტრაგედიას ან კომედიას)“ (იქვე).

ამგვარად ცნება ტრაგიკომედია — ერთია, ხოლო ენარი ტრაგიკომედია სხვა რამ არის. ტრაგიკომედიური, ე. ი. ტრაგიკული და კომიკური დიალექტიკური კავშირი კაცობრიობის ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე იჩენდა ხოლმე თავს ხელოვნებაში და ლიტერატურაში, მაგრამ ენარი ტრაგიკომედია, რომელიც მხოლოდ ტრაგიკულისა და კომიკულის დიალექტიკური ერთობის ნაყოფია არ არის და რომლის (ე. ი. ტრაგიკომედიის როგორც ენარის) შესაქმნელად საჭირო იყო მსოფლმხედველობა, რომელიც შუა განვითარებული კაპიტალიზმის ეპოქაში, სხვაგან, სხვა ეპოქაში ასე ნათლად არ ჩამოყალიბებულა და ამიტომ ის ღვიძლი შვილია სწორედ XX საუკუნის სულიერი კულტურისა.

ის, რომ ამ თემაზე ეპოქაში გვხვდებიან დრამატურგები, რომლებიც ერთნაირი წარმატებით იყენებენ როგორც ტრაგედიის ფორმას, ისე კომედიისას, ან ცდილობენ მათ შორის მკაცრი საზღვრების წაშლას, აიხსნება ისევე და ისევე სოციალური და ისტორიული თავისებურებით, რითაც ხასიათდებოდნენ და ხასიათდებიან ის საზოგადოებები, რომლებსაც ეკუთვნოდნენ ესა თუ ის ავტორები. მაგალითად, შექსპირი გენიალური მოდერნიზატორია როგორც ტრაგედიის, ისე კომედიისა და თუ რატომ იყენებდა ის ხან ერთ ფორმას და ხან მეორეს და რა განაპირობებდა შექსპირისეულ ნოვაციას ტრადიციული დრამატული ფორმების და ენარების, ყოველივე ამაზე პა-

სუხის გაცემა შეუძლებელია სოციალური და ისტორიული ფაქტორების ანალიზით, რომლებსაც ხასიათდებოდა შექსპირისდროინდელი ინგლისი და ამასთან თვით შექსპირის სულიერი ევოლუციის კვლევასაც შეუძლია ნათელი მოპოვების ამ საკითხებს. ხოლო ავტორის სულიერი გენეზისი ისევე და ისევე ეპოქის სოციალური და ისტორიული თავისებურებების შედეგია.

საბოლოო ხელოვნებათმცოდნეობაში და განსაკუთრებით კი კინომცოდნეობაში თავი იჩინა, ვიქტორბ, ძალზე საკამათო ტენდენციამ — „ობტიმისტური ტრაგიკომედიის“ ცნების დამკვიდრებამ. ადრე, როგორც ვიცით, იყო ცდები იმისა, რომ ეიშენსკის „ობტიმისტურ ტრაგედიასთან“ თეორიას დაეკავშირებინა ცნება ობტიმისტური ტრაგედიისა. ეს უშედეგო ცდა იყო და სრულიად გაუმართლებელი სურვილი, რადგან ტრაგედია არასოდეს არ ყოფილა არაობტიმისტური და ობტიმისტურ ტრაგედიებს აღმოაჩენა არ სჭირებოდა.

რაც შეეხება საკუთრივ ეიშენსკის „ობტიმისტურ ტრაგედიას“ — ეს ამ პიესის სახელწოდებაა, ხოლო თვით ნაწარმოები არ არის ენარის თვალსაზრისით ტრაგედია. ეს არის პათეტური დრამა — თუ მინიმუმ აინც საჭიროა მისი ენარობრივი განსაზღვრა და კლასიფიკაცია.

რაც შეეხება კინოს თეორიის დღევანდელ გატაცებას ტერმინით „ტრაგიკომედია“, ვიქტორბ, ამასაც არა აქვს მყარი საფუძველი და სრულიად არ არის ალბათ საჭირო ამ ტერმინის ისე ხშირი და ზურგზე ხმარება, როგორც დღეს ამას ადგოა აქვს საბჭოთა კინომცოდნეობაში.

ტენდენცია ტრაგიკომედიური ელემენტების მოძღვრებისა, მართლაც დამახასიათებელია საზოგადოდ XX საუკუნის ხელოვნებასათვის, მათ შორის კინემატოგრაფიისა და ექვორბ — ქართული კინოსათვის. ტრაგიკომედიური ელემენტები სახისა თუ სიტუაციის გადაწყვეტაში, ტრაგიკომედიური ქლერადობა სიცილის ამა თუ იმ ფორმაში, რა თქმა უნდა, გვხვდება და შესაძლოა დამახასიათებელიც არის, ისეთი ფილმებისათვის, როგორცაა, მაგალითად, „უფროსილი ავტომობილს“, „არაჩვეულებრივი გამოფენა“, „სამანიშვილის დღევანდელი“, „ქალაქი ანარა“, „წვივორტები“ და სხვა, მაგრამ ამ ელემენტების (როგორც ტრაგიკულისა და კომიკურის ურთიერთობის შედეგად წარმოქმნილი ახალი ელემენტების) შედარებითი სიჭარბეც კი არ არის საკმარისი საფუძველი იმისა, რომ მივლიანდ ნაწარმოები ტრაგიკომედიურ ენარს მივაკუთვნოთ.

სოციალისტური ხელოვნება თავისებურ მოდერნიზაციას ახდენს ტრადიციული ენარებისა. ექვორბ ის პროცესი, რომელიც საბჭოთა ხელოვნებაში ტრაგიკული და კომიკური საწყისებს შერწყმის თავისებურ ცდებს მოიცავს. ჯერ კიდევ განვითარების პროცესშია და როცა სიმწიფეში შევა, მას სრულიად ბუნებრივად დაერქმევა თავისი სახელი.

შენიშვნები:

- 1 С. Фрейлих «Золотое сечение экрана». М., 1976, стр. 340.
- 2 Краткая литературная энциклопедия» М., 1972, стр. 553—594.

ობიუსტ როდენი

კიტი მაჩაბელი

პარიზის შუაგულში, ვარენის ქუჩაზე, ინვალიდების ბულვართან დგას XVIII ს. შესანიშნავი სასახლე. რას იფიქრებდა XVIII საუკუნის დასაწყისში გამდიდრებული ავანტიურისტი პეირანკ დე მორა, რომ მისი სახლი, აგებული ცნობილი ხუროთმოძღვრის ჟაკ გაბრიელის პროექტით, ერთ მშვენიერ დღეს იქცეოდა XX საუკუნის ევროპული ქანდაკების ფუძემდებლის—ობიუსტ როდენის დიდებულ მუზეუმად. პარიზის ერთ-ერთმა უმშვენიერესმა სასახლემ ბევრი პატრონი გამოიცვალა. სხვადასხვა დროს აქ ცხოვრობდნენ ბომარჟე, ჰერცოგი ბირონი — რუსეთის იმპერატორის ელჩი. წლების განმავლობაში აქ დედათა მონასტერი იყო მოთავსებული. XX საუკუნის დასაწყისში ოტელი ბირონი, მისი მშვენიერი პარკით, მხატვართა თავშესაფრად იქცა. აქ ცხოვრობდნენ მატისი, აისედორა დუნკანი, რაინერ მარია რილკე. სწორედ რილკემ მიიპატიჟა როდენი ოტელ ბირონში, სადაც იგი ცოლის სახელოსნოში ცხოვრობდა. მოქანდაკე მოიხიბლა მწვანეში ჩაფლული სასახლით. იგი მალე გადმოდის ამ სახლში. მართავს სახელოსნოს და სიცოც-

ხლის ბოლომდე აქ მუშაობს. ხანდაზმულობის ჟამს როდენმა გადაწყვიტა სახელმწიფოსათვის დაეტოვებინა მთელი თავისი ქანდაკებები იმ პირობით, რომ მის სახლში მისი მუზეუმი შეიქმნებოდა. მოწინავე ინტელიგენციამ საფრანგეთის პრესაში გამართა დიდი კამპანია ამ ეროვნული საქმის მხარდასაჭერად. ამ მიზნით გაერთიანდნენ კლოდ მონე, ანატოლ ფრანსი, კლოდ დებიუსი, პოლ ადამი და საფრანგეთის მთელი ინტელექტუალური ელიტა. 1916 წელს საფრანგეთის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც სახელმწიფო იღებდა დიდი მოქანდაკის ძღვეს და ანესებდა როდენის მუზეუმს. მაგრამ ვიდრე ეს მოხდებოდა, გავიდა ათეული წლები უკიდურესად დაძაბული შრომისა, შემოქმედებისა, ბრძოლისა. და მართლაც, როდენის მთელი ცხოვრება ხომ ბრძოლა იყო, ბრძოლა გაჭირვებასთან, რომელიც თან სდევდა მას მთელი ცხოვრების მანძილზე. ბრძოლა საფრანგეთის ხელოვნებაში დამკვიდრებულ აკადემიზმთან, ბრძოლა საკუთარი მხატვრული პრინციპების განმტკიცებისათვის, ბრძოლა აღიარებისათვის.

როდენის ხელოვნება — ეს ხომ ევროპულ-ლი ქანდაკების მთელი ეპოქაა. აღსავსე უდიდესი მონაპოვრებით, რეალისტური ქანდაკების დამკვიდრებითა და სრული ალიარებით. ამ უდიდესი შემოქმედის ხელოვნების არსს შესანიშნავად გამოგვცემს მისი ანდერძი, რომლის ყოველი სტრიქონი, ყოველი აზრი საკუთარი ცხოვრებითაა შემონმებული და განმტკიცებული. ტყუილად კი არ უწოდებს იგი თავის „ანდერძს“ — ხანგრძლივი გამოცდილების რეზიუმეს.

„...გიყვარდეთ თქვენი წინამორბედი ოსტატები. თავიანთი ეცით ფიდასსა და მიქელანჯელოს.

უნდა გიტაცებდეთ პირველი მათგანის ღვთაებრივი, ნათელი ხელოვნება და მეორის მკაცრი ტანჯვა.

ოლონდაც ერიდეთ წინაპართა მიბაძვას. პატივი ეცით ტრადიციას, მაგრამ უნდა შეგეძლოთ გარჩევა იმ მარადიულისა და ნაყოფიერისა, რასაც იგი შეიცავს: ბუნების სიყვარული და გულწრფელობა — აი ის, რისკენაც მგზნებარედ მოუწოდებდნენ გენიოსები. ამგვარად, ტრადიცია ხელთ გაძლეეთ გასაღებს, რომელიც დაგეხმარებათ თავი აარიდოთ ყოველივეს დრომოჭმულსა და უფარგისს...“

როდენისეული „ანდერძის“ თითოეული სიტყვა, თითოეული რჩევა მოქანდაკეებისადმი ხელოვანის უმდიდრეს გამოცდილებას, შემოქმედებით გამირობას ეფუძნება. ყოველი აზრის ილუსტრირება შეიძლება როდენის ცხოვრებისა და შემოქმედების ეპიზოდებით, ყოველ ფრაზაში კონცენტრირებულია მოქანდაკის ნაფიქრალი და განცდილი.

„ხელოვნება გაბედულებას მოითხოვს“, — თვით როდენმა ხომ მხოლოდ გაბედულებისა და შეუპოვრობის წყალობით მიაღწია თავისი მხატვრული პრინციპების გამარჯვებას, ჭეშმარიტ ალიარებას.

„ყველა დიდოსტატი სწავლობდა სივრცეს. სწორედ მოცულობის ცოდნაშია მათი ძალა.“ — თვით როდენს ხომ გასაოცარი დაკვირვების უნარი ჰქონდა. უაღრესად თავისებური იყო მისი მუშაობის მეთოდი. იგი არასოდეს სარგებლობდა გაჩერებული ნატურით. მისი მოდელები თავისუფლად დადიოდნენ სახელოსნოში და როდესაც მოქანდაკე თვალს მოკრავდა მისთვის საინტერესო პოზას ან ჟესტს, გააჩერებდა და სწრაფად იწყებდა მის ჩახატვას.

„მუდამ იყავით ღრმად და უკუმპრომისოდ მართალნი, ნურასოდეს ნუ გეშინიათ გამოთქვით თქვენი გრძნობები, თუნდაც



კალეს მოქალაქენი

კალეს მოქალაქენი. ფრაგმენტები





ისინი ეწინააღმდეგებოდეს საყოველთაო აღიარებულს.“

ასეთი აზრების მოყვანა როდენის „ანდე-რძიდან“ მრავლად შეიძლება და ყოველ მათგანში იგრძნობა, რომ ისინი თვით მოქანდაკის ცხოვრებისა და შემოქმედების უშუალო ანარეკლია.

როდენი დაიბადა 1840 წლის 12 დეკემბერს პარიზში. კანცელარიის მოხელის ფან ბატისტ როდენის ოჯახში. ხატვა ძალიან ადრე დაიწყო, რაც მშობლების გულსწყრომას იწვევდა. ხატვისადმი უარყოფითი დამოკიდებულების მიუხედავად, მამა იძულებული გახდა 14 წლის ოგიუსტი მიგაზრებინა დეკორატიული ხელოვნების სკოლაში, ე. წ. მცირე სკოლაში. სადაც მხატვარმა ლეკოკ დე ზუაბოდრანმა აზიარა ხელოვნებით დაინტერესებული ბიჭუნა ხატის ხელოვნებას. მასწავლებლის მიმართ უსაზღვრო მადლიერების გრძობა როდენს სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა. შემდეგში უკვე საყოველთაოდ აღიარებული მოქანდაკე როდენი გულის ფანცქალით ელოდა ხოლმე თავისი პირველი მასწავლებლის მსჯავრს ახალ ნაწარმოებებზე.

საყურადღებოა ჭაბუკი როდენის მუშაობის პირობები: გათენებამდე იგი უკვე ფეხზე იყო. ადრე დილით — გაკვეთილი ლეკოკის სახელოსნოში, ხატვა ნატურიდან. ხატვა მენსიერებით, ცხრიდან თორმეტ საათამდე — ძერწვა, შუადღეზე იგი უკვე სენის მეორე ნაპირზეა. ლუვრის დარბაზებში, საღამოს — კურსები გობელენების მუზეუმში. ამას გარდა — აკეთებდა გრავიურებს ნაციონალურ ბიბლიოთეკაში და ესტამპების გალერეაში. ამავე დროს — მუშაობა ლუკმაპურის მოსაზოვებლად. ასეთ დატვირთვას უძლებდა საკმაოდ სუსტი აღნაგობის, ნახევრადმშვიერი ბიჭი. „მე არ ვერნოდი, რადგან არ მინდოდა უქმად დამეკარგა დრო, ვმუშაობდი 14-18 საათს. კისვენებდი მხოლოდ კვირაობით“, — იგონებდა შემდეგ მოქანდაკე. — „მხოლოდ შემოქმედების სიხარული მატანინებდა გაჭირვებას და სიღუბსირეს“.

თავდაპირველად როდენი ფერწერით იყო გატაცებული და მხოლოდ იმიტომ, რომ უსახსრობის გამო მას არ შეეძლო შექმნა ხატვისათვის საჭირო მასალა — ტილო და ფერები, იძულებული გახდა ქანდაკების კლასში გადასულიყო. სწორედ აქ იპოვა მან ცხოვრების ნამდვილი მიზანი.

ნიშანდობლივია, რომ როდენის ოცნება — ოცნება განეგრძო სწავლა პარიზის ე. წ. სახვითი ხელოვნების დიდ სკოლაში — ვერ განხორციელდა. სამჯერ იქნა უარყო-

ფილი მისი საკონკურსო ნამუშევრები იმ საბაბით, რომ ხატვა არ იცისო.

უმძიმეს პირობებში უხდებოდა მომავალ მოქანდაკეს ოსტატობის დაუფლება. იგი ოჯახის ერთადერთი მარჩენალი იყო და იძულებული გახდა ხელოსნად დაეწყო მუშაობა — ორნამენტების მჭრელად. ამ მიმე სამუშაო მას სარგებლობაც მოუტანა, ტექნიკის ურთულესი ჩვევები გამოუმუშავა.

1862 წელს უეცრად გარდაიცვალა მონახუნად აღკვეცილი მისი საყვარელი და. ამ თავზარდამცემმა ამბავმა იმდენად შეაძრწუნა როდენი, რომ მან გადაწყვიტა განდგომოდა ამქვეყნიურ ცხოვრებას, უარი ეთქვა თავის მონოდებაზე. საბედნიეროდ მონასტრის მოძღვარი მამა ეიმარი ღრმად ჩანვდა ჭაბუკის სულს. იგი მრავლად, რომ ეს ნაბიჯი სასოწარკვეთილებით იყო ნაკარნახევი და არა მორწმუნებრივი გრძნობებით. მან საშუალება მისცა ოგიუსტს მონასტერში სახელოსნო მოეწყო და ექრნა. აქ შექმნა როდენმა მამა ეიმარის მშვენიერი ბიუსტი (1863 წ.). ამ პრინჯაოს პორტრეტში უკვე ჩანს როდენის ხელოვნების თავისებურება, მისი ორიგინალური მანერა — გამომსახველი, ცხოველხატული ძერწვა, ხასიათის გადმოცემის ოსტატობა. ამ პერიოდს მიეკუთვნება მამის, ჟან ბატისტ როდენის სკულპტურული პორტრეტი, რომელშიც უკვე გამოცდილი ოსტატის ხელი იგრძნობა. ამ პორტრეტებით მიეცა დასაბამი როდენის ქანდაკების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფანრს — სკულპტურულ პორტრეტს.

თითქმის ერთი წელი დაყო როდენმა მონასტერში. სახლში დაბრუნებისას იგი დიდი გაჭირვებით შოულობს სახელოსნოს და იწყებს მუშაობას. განსაკუთრებით გატაცებით მუშაობს როდენი ნატურაზე. ამ დროს ქმნის იგი თავის ცნობილ ნაწარმოებს „კაცი გატეხილი ცხვირით“. თვით მოქანდაკე გამოარჩევს მას სხვა ნამუშევრებისაგან და სალონში წარადგენს. „ნატურის შესწავლის გულმოდგინებითა და შესრულების გულწრფელობით მე არაფერი არ მიკეთებია მასზე უკეთესი“. — იტყვის შემდეგ როდენი. იგი არ მოერიდა მოდელის — მოხუცი ბიბის ხახის დეფორმირებული ნაკეთების ზუსტად გადმოცემას. მძლავრად გამოძერწილ ნიღბისებურ პორტრეტს, რომელიც განსაკუთრებული დრამატიზმით გამოირჩეოდა, შემდგომში მიქელანჯელოს პორტრეტს უწოდებდნენ.


1864 წლის პარიზის სალონმა უარყო ეს ნამუშევარი (ბიბის პორტრეტი მხოლოდ

1875 წელს გამოიფინა). რადგან როდენის ამ ქანდაკებაში დაინახეს თამამი გამოწვევა აკადემიური ხელოვნების მიმართ. ეს თითქმის როდენის ხელოვნების მანიფესტი იყო: „მხატვრისათვის ყველაფერი მშვენიერია, რადგან ყოველ ცოცხალ არსებაში იმისი მზერა აღმოაჩენს ხასიათს, ე. ი. შინაგან სიმართლეს, რომელიც გარეგნული ფორმის ქვეშ გამოჰყვავის. ეს სიმართლა თვით მშვენიერებაა“.

აქ გამოჩნდა როდენის ძიებათა მთავარი მიმართულება — მისწრაფება ცხოვრების მოვლენების, სამყაროს ზუსტი ასახვისადმი. ეს იყო სრულიად ახლებური პოზიცია ქანდაკების დარგში, რომელიც უპირისპირდებოდა ოფიციალურად მიღებულ შეღამაზებულ, იდეალიზებულ ქანდაკებებს.

1864 წელი სხვა მხრივაც არის მნიშვნე-

220



ლოენი როდენის ცხოვრებაში. ამ წელს შეხვდა იგი პროვინციიდან პარიზში ჩამოსულ ლამაზ ქალიშვილს — როზა ბერეს. იგი მთელი მისი ცხოვრების ერთგული და თავდადებული თანამგზავრი გახდა. უბრალო, გაუნათლებელი ქალი ფანატიკური ერთგულებით ემსახურებოდა როდენს, უადვილებდა ცხოვრების მძიმე წუთებს. როდენმა მხოლოდ სიკვდილის წინ, 1917 წელს დაინერა მასზე ჯვარი.

ამავე წელს (1864 წ.) როდენი იძულებული გახდა მუშაობა დაეწყო იმ დროს მეტად პოპულარული მოქანდაკის კარიერბელეზის სახელისწილი. აქ იგი სევრის ფაიფურისათვის მოდელებს ქმნიდა და მრავალრიცხოვან სალონურ შეკვეთას ასრულებდა. მის ნამუშევრებს კარიერბელეზი აწერდა ხელს.

1871—78 წლებში როდენი ბრუსელში იგი ნაპყვა კარიერბელეზს ბრუსელის ბირჟისათვის დეკორატიულ სამუშაოთა შესასრულებლად. აქ მისი მატერიალური მდგომარეობა ოდნავ გაუმჯობესდა და მან კიდევაც მოახერხა ემოგზაურა იტალიაში. 1875 წელს ორი თვე დაყო როდენმა იტალიაში. რომსა და ფლორენციაში იგი გატაცებით ეცნობა გიბერტის, დონატელოსა და მიქელანჯელოს შემოქმედებას. იტალიამ სულის სიღრმემდე შესძრა როდენი. მისთვის ბევრი რამ იყო უჩვეულო, თითქოს გაუგებარიც: „იტალიაში ყოფნისას, ბერძნული ნიმუშებით გატაცებული, რომელთაც ასეთი თავდავიწყებით ვსწავლობდი ლუერში, გაოგნებული ვიდექი მიქელანჯელოს შემოქმედების წინაშე. იგი ყო-

ამბორი



მგზავრი



ველ წამს უარყოფდა იმ ქვეშარტიტებებს, რომელიც მანამდე უტყუარად მიმჩნდა...“

მაგრამ „მიქელანჯელოს არ შეელო შემცდარიყო“, დასკვნადა როდენი, „აღბათ საქმე ჩემშია. საჭირო იყო წვდომა. მე დავძაბე მთელი ჩემი უნარი და ჩაწვდი“. როდენის წინაშე თანდათან გადაიშალა დიდი ფლორენციელის განუმეორებელი პლასტიკური სამყარო, რომელიც მის მიერ შექმნილ კანონებს ემორჩილებოდა. როგორც როდენი ამბობდა, მიქელანჯელოს ხელოვნებით გატაცებამ დიდი გავლენა იქონია მის შემოქმედებაზე. როდენის თქმით: „მიქელანჯელოს საყვარელი თემა — ადამიანის სულის სიღრმე, შრომისა და წამების წმიდა აზრი — უაღრესად მკაცრია თავისი დიდებულებით“.

1878 წლის პარიზის სალონის მორიგ გამოფენაზე განსაკუთრებული მღელვარება იგრძნობოდა. აქ გამოფინეს ორი წლით ადრე ბელგიაში შექმნილი როდენის ქანდაკება „ბრინჯაოს ხანა“. პრესაში დაიწყო ამ ნაწარმოების განქიქება. როდენს ბრალად სდებდნენ ქანდაკების შესრულებას თაბაშირის ანაბეჭდიდან. ეს იყო სასტიკი განსაცდელი მოქანდაკისათვის. მოდელირების უჩვეულო ხასიათმა, ფიგურის განსაკუთრებულმა სიციხოველემ გააღიზიანა შეღამაზებულ, გაპრიალებულ აკადემიურ ქანდაკებებს შეჩვეული საზოგადოება.

თავდაპირველად ეს ფიგურა ჩაფიქრებულ იყო როგორც „დამარცხებული მეომრის“ ქანდაკება. ჭაბუკის სხეული მოძრაობით იყო აღსავსე. მარჯვენა ხელი თავზე შემოეფო, მარცხენათი შუბს ეყრდნობოდა. ამით ქანდაკება, ანტიკური ქანდაკებების მსგავსად, მყარი და განონასწორებული იყო. როდენმა მოაშორა „მეომარს“ შუბი და საყრდენს მოკლებული ფიგურა არაჩვეულებრივად მოძრავი და ცოცხალი გახდა, გაგლეჯილმა სილუეტმა დინამიკა და მიზანსწრაფვა შემატა ფიგურას. შეიცვალა სახელწოდებაც: ქანდაკება ეწოდა „გაღვიძება“, ან „ბრინჯაოს ხანა“, რაც გონიერი ცხოვრებისათვის კაცობრიობის გამოღვიძების სიმბოლოდ იქცა.

„ბრინჯაოს ხანამ“, რომელიც 36 წლის მოქანდაკემ შექმნა, მას უამრავი მტერი და მოწინააღმდეგე შესძინა. ამიერიდან როდენის თითქმის ყველა ქანდაკება ცხარე კამათისა და სანინაღმდეგო აზრთა შეტაკების საბაზად იქცევა. მაგრამ მტრებთან ერთად როდენს უამრავი მეგობარი



ზალ ზაისის ძეგლი



ალ. ზაქაის ქველი. ფრაგმენტი

და მომხრე ჰყავდა, რომლებიც მხარს უჭერდნენ და ამხნევებდნენ მას უაღრესად რთულ, მაძიებელ მუშაობაში.

როდენის ხელოვნების რეალისტური პრინციპები სრულადაა განხორციელებული მის მიერ მომდევნო ნლებში შესრულებულ ქანდაკებებში — „მგზავრი“ და „იოანე ნათლისმცემელი“. ეს იყო მოქანდაკის ხანგრძლივ დაკვირვებათა შედეგი. ამ დროს მას ანაერთხელ უთქვამს: „ქანდაკება თავდადებას მოითხოვს, ერთი წველი ხელის გამოსაძერწად ასობით ვარიანტის გაკეთებაა საჭირო“. ასე მუშაობდა იგი თითოეულ ქანდაკებაზე, დაუნდობლად ანადგურებდა უამრავ ვარიანტს, რათა შეჩერებულყო იმაზე, რომელიც მისი აზრით ყველაზე მეტყველი და გამომსახველი იყო. ორივე ამ ქანდაკებაში უაღრესად საინტერესო ხერხია გამოყენებული — ფიგურა ორივე ტერფით მყარად დგას მიწაზე. მაგრამ, ამასთანავე, რაღაც სასწაულით იქმნება მძაფრი, მიზანსწრაფული მოძრაობის შთაბეჭდილება. ძერწვის თავი-

სუფალი, ექსპრესიული მანერა, სხეულის აგების უბადლო ოსტატობა, მოძრაობის განსაკუთრებული სრულყოფილი გადმოცემა — როდენის პლასტიკის ეს დამახასიათებელი თვისებები ნატურის შესწავლაზე იყო დაფუძნებული. როგორც იგი თვითონ ამბობდა, ქანდაკების ასაგებად სრულყოფილად უნდა ფლობდე ადამიანის სხეულის შინაგან სტრუქტურას, გესმოდეს მისი ნაკვთების, კუნთების ურთიერთკავშირის მექანიზმი. არ უნდა გეშინოდეს ნორმების დარღვევა, კანონებიდან გადახვევა. მთავარია, მოქანდაკე უშუალოდ გრძნობით ხელმძღვანელობდეს.

პაროზის საზოგადოება გააოცა როდენისეულმა „იოანე ნათლისმცემელმა“. იგი არ იყო გაქვავებული ასაკი; ეს იყო პარმონიულად განვითარებული მძლავრი ადამიანი, დარწმუნებული თავის სიმართლეში. ეს იყო განზოგადებული პლასტიკური სახე მოაზროვნე კაცობრიობისა. რომელსაც მოქანდაკემ განსაკუთრებული სიციცხლე მიანიჭა.

როდენმა იოანე ნათლისმცემლის ქანდაკებაში სრულად განახორციელა თავისი პლასტიკური პრინციპები. ძერწვის ცხოველბატული მანერა, შუქისა და ჩრდილის უმდიდრესი ნიუანსების გამოყენებით სხეულს განსაკუთრებულ სიციცხლესა და მორთოვებებს ანიჭებდა. იგი ცდილობდა გაემდიდრებინა პლასტიკის სახვითი საშუალებები. ზედაპირის ცხოველბატული დამუშავების ცდა. ფაქტურად, იგივე იყო, რაც მის თანამედროვე მოწინავე ფერმწერთა მისწრაფებები — გაემდიდრებინათ თავისი პალიტრა, ჰაერი და შუქის ციმციმი შეეტანათ თავის ტილოებში. როდენის ქანდაკებებში ოსტატის თითების ცოცხალი შეხება ისევე იგრძნობოდა, როგორც ფუნჯის მოწასებები მის მეგობარ ფერმწერთა ტილოებზე.

როდენს განსაკუთრებულად უყვარდა თიხით მუშაობა. რბილი, მორჩილი მასალა მოქანდაკეს საშუალებას აძლევდა თითების შეეგრძნო სხეულის ყოველი ნაკვთი, ზედაპირის ყოველი, სულ მცირე ცვალებადობა. როდენის ქანდაკების ყოველ ფორმას კარგად ემჩნევა თითების ანაბეჭდი, თითქოს მოქანდაკეს წინასწარ ხელით აქვს შეგრძნობილი პლასტიკური ფორმის თითოეული დეტალი და შემდეგ გადაუტანია ისინი თიხაში.

ამ რამდენიმე ნამუშევრით როდენმა იმდენად მიიპყრო ყურადღება, რომ მასთან თანდათან მივიდა დიდი ხნის ნანატრი აღიარება. გაჩნდა ტიკვითები, რომელთა

4. „საბჭოთა ხელოვნება“ № 10, 1980.

შორის განსაუთრებული მნიშვნელობისა იყო მთავრობის დიდი შეკვეთა (1880 წ.) — ბრინჯაოს კარი პარიზის დეკორატიული მუზეუმის შენობისათვის. ეს იყო სამუშაო, რომელიც რენესანსის დიდოსტატების ნამუშევრებთან იწვევდა ასოციაციას. როდენს ჯერ არ განულებოდა ის უდიდესი შთაბეჭდილება, რომელიც მასზე მოახდინა იტალიაში ყოფნისას XV საუკუნის ოსტატის ლორენცო გიბერტის ბრინჯაოს კარმა, ბოზლიურ თემებზე შექმნილი მრავალრიცხოვანი სიუჟეტებით. ამ ე. წ. „სამოთხის კარის“ ანალოგიით და მასთან დაპირისპირებით როდენმა გადამწყობა შეექმნა „ჯოჯოხეთის კარიბჭე“. დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“ პირველი ნაწილის თემებზე. მან ჩაიფიქრა გრანდიოზული მრავალფიგურიანი კომპოზიცია, მსგავსი მიქელანჯელოს „განკითხვის დღისა“. დროთა განმავლობაში ჩანაფიქრი იცვლებოდა, ფართოვდებოდა. დანტეს სიუჟეტებს დაემატა როდენის თანამედროვე ფრანგული პოეზიით შთაგონებული სახეები. ანტიკური სიუჟეტები, საკუთარი ფანტაზიით შექმნილი პლასტიკური კომპოზიციები.

ლორენცო გიბერტის მკაცრად გააზრებული, განონასწორებული კომპოზიციების საპირისპიროდ როდენმა ჩაიფიქრა მიღევარე ზღვის ტალღებში გაფანტული ფიგურების თავისუფალი განლაგება. ეს იყო არა იმქვეყნიური ჯოჯოხეთი, არამედ ის, რომელიც ადამიანის სულში ბოზოქრობს.

ექსპერტიანი ესკიზი მოქანდაკეს ოცდაათ მეტრამდე უნდა გაეზარდა. ამ გიგანტურ ჩანაფიქრზე იგი რამდენიმე ათეული წელი, სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე მუშაობდა. უსასრულოდ ცვლიდა ესკიზებს. ერთი ფიგურის ნაცვლად ქმნიდა მეორეს, სრულიად განსხვავებულს. პირეაიფს ცვლიდა ბარელიეფით, ზოგიერთ ნაწილებს გამოჰყოფდა დამოუკიდებელ მრგვალ ქანდაკებად. ასეთებია როდენის სახელგანთქმული ქანდაკებები „მაზროვენე“, „ევა“, „ამბორი“.

„ჯოჯოხეთის კარიბჭე“ საბოლოოდ არ განხორციელდა. თითქმის მოქანდაკე ველარ იმორჩილებდა ბოპოქარ გრძნობებს აყოლოდ ამ ფიგურებს. დინამიკით, მჩქეფარე მოძრაობით აღსავსე პლასტიკური კომპოზიცია სრულად შეესატყვისებოდა XIX საუკუნის დასასრულის დაძაბულ ეპოქას, მძაფრი განცდებით და წინააღმდეგობებით აღსავსეს (ფიგურების მეთი ნაწილი 1887 წელს შესრულდა. მათი უმეტესობა დამოუკიდებელ ქანდაკებებად იქცა). ეს იყო



მაზროვენე. ფრაგმენტი

ეპოქის ხასიათის თავისებური განსახიერება. როდენმა ვერ დასძლია ის წინააღმდეგობა, რომელიც შეიქმნა პლასტიკურ ჩანაფიქრსა და არქიტექტურას შორის. მისი ქანდაკებების პლასტიკური მეტყველება თავისი ბუნებით ვერ ეგუებოდა არქიტექტურის მკაცრ არქიტექტონიკას, მის მწყობრ სისტემას. დაირღვა ის პარამონიული ერთიანობა, რომელიც ოდითგანვე არსებობდა არქიტექტურასა და ქანდაკებას შორის. ამ მოვლენის სიმბოლოდ შეიძლება მივიჩნიოთ როდენის ქანდაკება „დაცემული კარიატიდა“, რომელიც შედიოდა „კარიბჭის“ კომპოზიციაში. თუ ანტიკური კარიატიდა, დიდებული ქალწული, თავისუფლად და ღალად ზიდავდა მამრპირლოს გადახურვის სიმძიმეს, როდენის კარიატიდა — უძლური, მოტყუხილი ქალის ფიგურა, მოდრეკილიყო ტვირთის სიმძიმით შენობის ნანგრევით შორის.

ბრინჯაოს ლარი უნდა დაეკვირვებინა „სამი ჩრდილის“ კომპოზიციას. ეს ჯგუ-



ფი გაოცებთ კონტრასტით ჩრდილთა მძლავრ, ათლეტურ სხეულებსა და მათ უძლურებას შორის. „ბრინჯაოს ხანის“ საპირისპიროდ, აქ თითქოს გონება ქრება. სამჯერ განმეორებული ერთი და იგივე პოზა რიტმულ, მონოტონურ ბრუნვას, თითქოს ჩრდილთა იდუმალ მიძრაობას ქმნის. ჩრდილებიც კი, რომლებიც უსხეულონი უნდა იყვნენ, როდენთან მძლავრი, ფიზიკურად სრულყოფილი ადამიანებია, ოღონდ მათი ძალა ამოაო, ის აღარაფერში აღარ ვლინდება.

ჩანაფიქრის მიხედვით „ჯოჯოხეთის კარიბჭის“ ზედა პანოზე „მოაზროვნის“ ფიგურა უნდა მოთავსებულიყო. მასში ღრმა ფიქრი და უდიდესი შინაგანი ძალაა, რასაც თან ახლავს სასონარკვეთილება და უშიშრობა. როდენის ეს ქანდაკება გარკვეულ ასოციაციას იწვევს მიქელანჯელოს „განკითხვის დღის“ მამა ღმერთის ფიგურასთან. ოღონდ მათ შორის არსებითი განსხვავებაა. მიქელანჯელოს ფიგურაში უდიდესი აქტიური ძალა კონცენტრირებულია, როდენის „მოაზროვნე“ კი მხოლოდ მოწამეა ყველა იმ მოვლენისა, რომელიც მის თვალწინ იშლება.

„კარიბჭის“ კომპოზიციის გამოყეო და დამოუკიდებელ ქანდაკებად იქცა „ევატ“.

„ადამის“ ფიგურა „ჯოჯოხეთის კარიბჭიდან“ — ეს ხომ „ჩრდილების“ ერთ-ერთი ფიგურაა, უღონოდ დაშვებული თავით,

უძლურების, უიმედობის, სასონარკვეთილების განსახიერება. აქაც მძლავრად შეიგრძნობა უცნაური კონტრასტები ათლეტურ აღნაგობასა და უსისოცლო პოზას შორის.

„ჯოჯოხეთის კარიბჭის“ ამ გიგანტურ პლასტიკურ სიმფონიაში წამებისა და დაღუპვის ტრაგიკულ თემას ერწყმოდა სრევარულის მარადიული თემა, რომელშიც კვლავ ტრაგიკული მომენტი იყო ხაზგასმული. ამ თემისათვის როდენი შთაგონებას ეძებდა თავის თანამედროვე ფრანგულ პოეზიაში. ბევრი ქანდაკება ნაყარნაზევია ბოდლერის „პოროტების ყვავილებით“ („ცოდავლულ“ ქანდაკება. „ის, რომელიც ოდენიც მშვენიერი ომიერი იყო“ შექმნილია ფრანსუა ვიიონის ცნობილი ლექსის მოტივებზე. მოქანდაკემ სიმართლით, შუულამაზუზლად გადმოსცა მოხუც ქალის დამჭნარი, დაუძლურებული სხეული. იგი აქაც თავისი პოზიციის ერთგული რჩება.

„კარიბჭე“ დასახლებული იყო წარმართული ღვთაებებით, მითოლოგიური არსებებით. ნიმფებით, ფანებებით, რომლებიც ბუნებას განასახიერებდნენ: „მომღერალი სირინოზები“ — აღტაცებული ტკობაა მშვენიერ ასულთა სილამაზით, ჰარმონიულობით, ბუნებასთან სრული თანხმიანობით; „ვენეტავრესა“ — მძაფრი კონტრასტია ადამიანურ დე ცხოველურ სანისებს შორის, ადამიანის ბუნების უცნაური გაორება. აქ ვხედავთ XIX საუკუნის დასასრულის ლიტერატურასა და ხელოვნებაში დიდად აქტუალური თემის—ფიზიკურის და სულიერის დაპირისპირების სიმბოლიკურ განსახიერებას. ასეთ ზოგადსაკაცობრიო დებების გადწყვეტისათვის როდენი მუდამ პოულობდა გასაცარი გამოშასხველობის მხატვრულ სახეებს.

„კარიბჭის“ ეტიუდებიდან დე სკიზებიდან წარმოიქმნა როდენის არაერთი ბრწყინვალე ქანდაკება, რომელშიც იგი სიყვარულს განადიდებს: „ამბორი“, „მარადი კერპი“, „მარადიული გაზაფხული“ — რაოდენი მონიწება და სინმინდოა შეყვარებულთა წყვილებში; რა ოსტატურადაა აგებული პლასტიკურად სრულყოფილი ფიგურები, რა ჰარმონიულადაა შეკრული ეს მონოლითური ჯგუფები, ვირტუოზულია მარმარილოს სხეულთა ძუნწვა. აქ უკვე თავს იჩენს როდენისათვის დამახასიათებელი ხერხი — ქვის ბლოკით ფიგურათა მჭიდრო დაკავშირება, მარმარილოს კლდინდან სხეულის სასწაულეპირი გამოთავისუფლება.

პოაზროვნე



„ჯოჯოხეთის კარიბჭეზე“ მუშაობის დროს როდენს თხოვნი მიმართა ქ. კალეს მუნიციპალიტეტმა (1884 წ.), შეექმნა ქალაქის გვირის ესტაჟ დე სენ პიერის ქანდაკება, ძველი ადამიანისა, რომელმაც თავი გასწირა ალყა შემორტყმული ქალაქის დასახსნელად. ამ თემამ გაიტაცა როდენი. იგი იწყებს ძველი ფრანგული ქრონიკების შესწავლას და ერთ-ერთ წყაროში („დიდ ფრანგულ ქრონიკებში“) მიაკვლევს ცნობას იმის შესახებ, რომ 1347 წელს ინგლისის მეფე ედუარდმა, რომელმაც ალყა შემორტყა კალეს, პირობა წარუყენა ქალაქს — შეინახა დედა მას თუ ექვსი სახელოვანი მოქალაქე ვახლებოდა ქუდმოხდილი, კისერზე თოკებმული, ქალაქის განაღებთ ხელში. ამგვარად, როდენმა გაარკვია, რომ ესტაჟ დე სენ პიერის მხარში ედგა კიდევ ხუთი თავგანწირული მოქალაქე. დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად მოქანდაკემ გადაწყვიტა შეექმნა ძველი არა ერთი, არამედ ექვსი გვირის სადიდებულად მან აღუთქვა ქ. კალეს მესვეურებს, რომ ექვსფიგურიანი ჯგუფის შესაქმნელად დამატებით საფასურს არ მოსთხოვდა მათ და მთელ ხარჯებს თვითონ გაიღებდა. როგორც ყოველთვის, თავისი მიზნით გატყდული როდენი ფიქრობდა მხოლოდ ჩანაფიქრის განხორციელებაზე. მისთვის სხვა აღარაფერი აღარ არსებობდა.

შეიქმნა ექვსფიგურიანი ვასაოცარი სი-ცოცხლით აღსავსე კომპოზიცია, რომელიც როდენის ჩანაფიქრის თანახმად, პირდაპირ მონაზე უნდა დადგმულიყო ყოველგვარი კვარცხლბუკის გარეშე — მას სურდა მა-ღურებლები უმუალოდ გამხდარიყვნენ ამ მოვლენის მონაწილენი და მოწმენი. როდენმა გადაცოცხლა ძველი ლეგენდა და აზი-არა თავისი თანამედროვეები საფრანგეთის წარსულის ბრწყინვალე ფურცელს.

ყოველი პერსონაჟი თავისებურად განი-ცდის უკანასკნელ წაბს. მოქანდაკემ ისე ააგო კომპოზიცია, რომ თანდათან ვათვა-ლიერებთ მას, თვალი ერთი ფიგურიდან მეორეზე გადადის და ჩვენს თვალწინ ვგრძობათა უსასრულო მრავალფეროვნება იშლება. განსხვავებული ხასიათები, განსხ-ვავებული განცდებია უკვდავყოფილი ამ დაუვიწყარ სახეებში. როდენმა შექმნა ადამიანის სულის დიდებულების პლასტი-კური განსახიერება.

ძველის პლასტიკური ძერწვა, ზედაპირის ხაზგასმულად ცხოველხატული, ექსპრესი-ული დამუშავება აძლიერებს ტრაგიზმის, განწირულების განწყობილებას. ძერწვის მანერა თითქოს აგრძელებს შუა საუკუნე-

ბის ფრანგულ კათოდრალთა ქანდაკებების ტრადიციას, რაც მძაფრ ფსიქოლოგიზმთან ერთად ქმნის ამ ძეგლის განუმეორებელ იერს.

„კალეს მოქალაქეების“ შესაქმნელად როდენმა უამრავი ეტიუდი შესასრულა თი-თოველი პერსონაჟისათვის. იგი მათ ძერ-წავდა გაშიშვლებულებს და შემდეგ მოსა-ცდა ტანსაცმელი. დიდხანს იძებნდა ფსი-ქოლოგიურ ნიუანსებს, ვიდრე შეჩერდა საბოლოო ვარიანტზე. ძველი დასრულდა 1886 წელს, მაგრამ დაიდგა მხოლოდ 1895 წელს. რადგან იგი თავდაპირველად უარ-ყო შემკვეთმა, რომლის აზრით, პერიოკუ-ლი ძეგლისათვის როდენმა სრულიად შე-უფერებელი უცნაური კომპოზიცია გამოი-ყენა. არა მარტო როდენის დროს, შემდე-გშიც ეს ძველი კამათისა და მძაფრი პო-ლემიკის საგანს წარმოადგენდა. რადგან მოქანდაკემ უარი თქვა ყოველივე ჩვეულე-ბრივისა და აკანონების გამოყენებაზე.

„კალეს მოქალაქეებმა“ მთელი ეპოქა შექმნა როდენის შემოქმედებაში. შეიცვა-ლა პლასტიკური მეტყველება, გაძლიერდა განზოგადება, დეფორმაცია, ექსპრესია. მაგრამ წინანდებურად ამას საფუძვლად ედო ნატურის გულდასმითი შესწავლა, რაც საუკეთესოდ ჩანს ამ ძეგლისათვის შექმნილ მრავალრიცხოვან ესკიზებში.

სავსებით ბუნებრივია, რომ ნატურის ერ-თგულება, სამყაროს რეალისტური ასახვი-სადმი მისწრაფება ამძაფრებდა როდენის ყურადღებას ადამიანისადმი. ამიტომამა, რომ მის შემოქმედებაში ასე დიდი ადგილი აქვს დამობილი პორტრეტს. როდენმა თავის თანამედროვეთა უამრავი პორტრე-ტი შექმნა. ყველა მათგანისათვის ნიშანდო-ბლივია ხასიათის მკაფიო გამოვლენა, სუ-ლიერი სამყაროს სრული გახსნა. როდენს მუდამ იზიდავდნენ არაორდინარული პი-როვნებები, მათი ხასიათი, პიროვნული თა-ვისებურებები. იგი ისეთი ძალით ახასია-თებს ადამიანს, რომ თქვენს მკაფიო წარ-მოდგენა გექმნებათ არა მარტო მის გარე-გნობაზე, არამედ მის ყველაზე ფარულ თვისებებზეც. ასეთებია მხატვრების ჟან-პოლ ლორანის, ალფონს ლევროს, მოქან-დაკეების დალუს, ფალგერის, გიიომის პორტრეტები.


მოქანდაკე დალუს ბრინჯაოს ბოუსტი განსაკუთრებულ ალმამფრთხიას შესრუ-ლებული, თამამად და თავისუფლადაა გა-მოქერწილი სახე, ბუნებრივია თავის მობ-რუნება, შინაგანი განცდილობა აღსავსე შე-მოქმედის შთაგონებულ სახე.

განსხვავებულია შარლ ბოდლერის პორ-ტრეტი: კისრთან გადაჭრილი თავი განსა-

კუთრებული ძალით მოქმედებს. მძლავრადაა გამოკვეთილი თავის დახახასიათებელი ფორმა, მისი მასა. ყურადღება კონცენტრირებულია არაჩვეულებრივად მეტყველ, დაძაბულ და, ამავდროს, მეოცნებე მზერაზე. ამ პორტრეტში „პორტრეტის ყვავილთა“ ავტორის მთელი არსებაა გახასილი. ვიქტორ ჰიუგოს პორტრეტებიდან ყველაზე საინტერესოა 1847 წ. შესრულებული ბრინჯაოს ბიუსტი. მძლავრად გამოძერწილი მაღალი შუბლი, ათლეტური მხრები, ენერგიული ფორმები — ყველაფერი ეს, ასიმეტრიულ სილუეტთან ერთად, ქმნის დიდი მწერლის მგზნებარებით აღსავსე სახეს.


ღრმა შთაგონებით მუშაობდა როდენი ონორე ბალზაკის ძეგლის შექმნაზე. ეს შეკვეთა მან მიიღო 1891 წელს. ლიტერატურთა საზოგადოებისაგან, რომლის სათავეში ემღი ზოლა იდგა, როგორც ყოველთვის, ძეგლის შექმნას წინ უძღოდა დიდი მოსამზადებელი სამუშაო: ოცდარე ეტიუდი თავისათვის, შვიდი ეტიუდი — ფიგურისათვის, თექვსმეტი — ტანსაცმლისათვის. ამ ნამუშევრების მიხედვით ცხადი ხდება, რა ევოლუციას განიცდის მოქანდაკის ჩანაფიქრი, როდენს სურდა შეექმნა ბალზაკის პეროიზებული სახე. მხრებზე ნამოსურულმა მოსახსამმა საბოლოოდ გადაწყვიტა კომპოზიციის ხასიათი. მონოლითური, ოსტატურად დრაპირებული ფიგურა იქცა უარესად მეტყველ კვარცხლბეკად საოცარი გამომსახველობის თავისათვის. მგზნებარებით უკან გადადებული თავი განსაკუთრებული ძალით მოქმედებს მაყურებელზე. განზოგადება, ექსპრესიული დეფორმაცია სრულიად არ ანელებს ინდივიდუალურის, პიროვნულის განცდას. ღრმად ჩამჯდარი თვალები თითქოს შინაგანი ცეცხლითაა ანთებული. ამ ქანდაკების მოჩვენებით ესკიზურობასა და განზოგადებაში იმდენი შრომა და ფიქრია ჩაქსოვილი, რომ მხოლოდ ამის შედეგადაა მიღწეული თავისუფლება, რაც ერთი ამოსუნთქვით შესრულებულის შთაბეჭდილებას ტოვებს. ამ ქანდაკებაში დაუოკებელი, სტიქიური ძალაა კონცენტრირებული. მასში მეტყველია ყოველი დეტალი, სამოსის ყოველი ნაკეცი, რომლის ქვეშ მძლავრი, მონუმენტური სხეული იგრძნობა. თვით მოქანდაკეს ეს ძეგლი ყველა ნამუშევარზე მეტად უყვარდა და მიაჩნდა, რომ მასში მან მოახერხა ჩანაფიქრის სრულყოფილი განხორციელება.

ცნობილი ფრანგი მხატვრის პიუვის დე შავანის პორტრეტში როდენმა ხაზი გაუსვა მის განსაკუთრებულ არისტოკრატიზმს,



მოქანდაკე დალუს პორტრეტი

ვიქტორ ჰიუგო



მედიდურობას, ოსტატურად გამოძერწა მოაზროვნის მაღალი შუბლი, გადმოსცა მშვიდი, დაკვირვებული მზერა. მაგრამ პიუფის დე შვანმა დაიწუნა ეს პორტრეტი, კარიკატურად მიიჩნია. როდენი გაოცებული დარჩა, რადგან მისივე სიტყვით „იგი შეეცადა ამ ბიუსტში ჩვენთვისა ენთუზიაზმი და ის ღრმა თავყანისცემა, რომელსაც გრძნობდა ამ მხატვრის მიმართ“. მაგრამ ვერაფერი ვერ აიძულება როდენს უარი ეთქვა თავის მხატვრულ პრინციპებზე: „მე არ შემძლია ვიცხოვრო, არც პირმოთნეობა შემძლია. ჩემს ბიუსტებს ხშირად ინუნიებდნენ, რადგან ისინი ზომიანზე მეტად გულწრფელია: ამაშია მათი მთავარი ღირსება. ყველაზე ჭეშმარიტი სილამაზე მაინც სიმართლეა“.

როდენის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭავია ქალთა მშვენიერ სახეებს, რომლებსაც იგი ქმნიდა მთელი ცხოვრების მანძილზე. როდენისეული ქალთა სახეებისათვის დამახასიათებელია სევდა, ფიქრი. სრულიად განსხვავებული პერსონაჟებისათვის მოქანდაკე თითქოს ერთსა და იმავე მხატვრულ ხერხს ხმარობს. თავისებური სინატიფე, შინაგანი კეთილშობილება ახასიათებს როზა ბერეს, კამილა კლოდელის, გრეფ შუსელის მეუღლის, სლავი ქალის პორტრეტებს. უაღრესად პოპულარულია როდენის მოსწავლის, მოქანდაკე კამილა კლოდელის მარმარილოს პორტრეტი („ფიქრი“). ქალშვილის მშვენიერი თავი მარმარილოს ბლოკშია ჩაძირული. ღრმა სევდა დაუფლებია თითქოს ამა ქუეყნის ამოებებისგან განდგომილ ასულს.

ამგვარ კომპოზიციურ ხერხს როდენი არაერთხელ მიმართავს შემდეგშიც (მოცარტის პორტრეტი-ბიუსტები შერწყმულია მარმარილოს ბლოკთან, იძირება მასში. პოსტამენტი მხატვრული სახის აუცილებელ ნაწილად იქცევა, თითქოს ფერწერული ფონის როლს ასრულებს სურათში). ასეთი ხერხით მარმარილოს განსაკუთრებული დემატერიალიზაცია მიღწეულია, რაც პოეტურობას ანიჭებს პლასტიკურ სახეს. მარმარილოს ქანდაკებებში იგრძნობა გამჭვირვალეობა და ჰაეროვნება, ფორმები თითქოს ნისლში იკარგება, ქერბა სილუეტის სიმკვეთრე.

ცხოვრების დასასრულს როდენი უკვე ფართოდაა აღიარებული. იგი მოდურ მოქანდაკედ იქცევა. ფრანგი დიდებულები ერთმანეთს ეცილებიან მიადწინონ როდენთან პორტრეტის შეკვეთას. პარიზის მახლობლად იგი იძენს ძველ ვილას და ამიე-

რიდან მედონის ვილა მის საყვარელ ადგილსამყოფელს წარმოადგენს. აქ მოაწყო მან თავისი სახელოსნო, თავი მოუყარა ანტიკური ქანდაკების ივეით კოლექციას. ცხოვრების ბოლო წლებში როდენი ვედლარ აუდიოდა შეკვეთებს და ამიტომ ფართოდ იყენებდა თავის მოსწავლეთა შრომას. მის სახელოსნოში მუშაობდნენ შემდეგში სახელმწიფოქალი მოქანდაკეები ბურდელი, დესპო, პომპონი.

უმდიდრესია როდენის პლასტიკური მემკვიდრეობა. მარტო მის მუზეუმში 450 ქანდაკებაა დაცული. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მან დასაბამი მისცა ახალ ეტაპს ქანდაკების განვითარებაში, გამოავლინა პლასტიკის ახალი შესაძლებლობები. სხვადასხვა მხატვრული მიმართულების მოქანდაკეები მის შემოქმედებაში სტიმულს პოუბდნენ მხატვრული პრინციპების განვითარებისათვის. მენიე და დესპო, ბურდელი და მაიოლი როდენის ხელოვნების მიღწევებით საზრდობდნენ. დიდია როდენის ზეგავლენა რუსულ და საბჭოთა ქანდაკებებზეც. მასთან სწავლობდა შესანიშნავი მოქანდაკე გოლუბკინა; მთელი წელი მუშაობდა როდენის სახელოსნოში ქართული საბჭოთა ქანდაკების ფუძემდებელი იაკობ ნიკოლაძე.

მოქანდაკეებისათვის როდენის ხელოვნება შთაგონების უსასრულო წყაროა, და არა მხოლოდ მისი ხელოვნება, თვით მისი ცხოვრება, აღსავსე ხელოვნების უსაზღვრო სიყვარულით, თავგანწირული შრომით.

„მხატვრისათვის მთავარია იყოს დიდვარე, მოსიყვარულე, აღივსოს იმედით, თრთოლით, სიცოცხლით. იყოს, უპირველეს ყოვლისა, ადამიანი და მხოლოდ შემდეგ — მხატვარი.“

მხურავლედ გიყვარდეთ თქვენი მონოდება. არაფერია დედამისი ზურგზე მასზე მშვენიერი..“

ეს სიტყვები დიდი მოქანდაკის ანდერძიდან არასოდეს დაკარგავს მგზნებარებას. თვით როდენი ხომ ერთგული იყო თავისი მონოდებისა ყველგან და ყოველთვის.

გარდაიცვალა როდენი 1917 წელს, 78 წლისა. მის საფლავს „მოაზროვნის“ ბრინჯაოს ფიგურა ამშვენებს.

„ძმები კარამაჯოვები“

მიხეილ ულიანოვი

ბანსაკჰორიში რთული და ძნელი ახალი როლის დაწყება ისეთი სამუშაოს შემდეგ, რომელმაც მთლიანად წაიღო შენი ძალ-ღონე, მთელი წლის განმავლობაში რომ გწავდა და გაიძულებდა გეცხოვრა უკიდურესად დაძაბულს. ასეთი სულიერი დაცლილობის შეგრძნება მქონდა კინოფილმ „თავმჯდომარის“ გადაღების დამთავრების შემდეგ.

განა შემხვებდა მეორე ასეთი როლი-მეთქი, ვფიქრობდი, როდესაც სხვა სურათში გადაღებას მთავაზობდნენ. უარს ვამბობდი, მაგრამ, როგორც თეატრის მსახიობს, შემძლო უარი მეთქვა კინოს ჯგუფის წინადადებაზე, მაგრამ თეატრის სამუშაოზე კი არა, როგორი უინტერესოც არ უნდა მჩვენებოდა იგი, რადგან არსებობს უბრალო შრომითი დისციპლინა. თუმცა, ზოგჯერ თეატრშიაც იძულებული ხდება მსახიობი უარი თქვას როლზე, რომელიც მას სახიფათოდ ანდა საშისო როლად არ მიაჩნია.

სამი უკანასკნელი წლის განმავლობაში ჩემს მიერ თეატრში ნათამაშე როლებს შორის იყო წარმატებით შესრულებული ნამუშევრები და საშუალოდ შესრულებულიც, მაგრამ ისეთი როლი მაინც არ მქონია,

რომელსაც თავბრუ დაეხვიოს და სულის ამოთქმის საშუალება არ მოეცეს. ვმუშაობდი თეატრში და ველოდებოდი.

არსებითად, ყოველგვარი როლის ლოდინი, რომელთანაც აკავშირებ შენს ოცნებას, შენს ფიქრებს, შენს მსოფლშეგრძნებას, შენს ყველაზე გაბედულ ფანტაზიას, რომელსაც ხედავ ასე ყოვლისმომცველად, ასე მიუწვდომლად საინტერესოდ, არის ერთი დაუცხრომელი ოცნება, რომელიც არავითარ საფუძველს არ ემყარება. რეჟისორი ეძებს მასალას თავისი მომავალი სამუშაოსათვის, საკუთარი სურვილის, სამყაროს სედვის შესაბამისად. იგი თავისუფალია თავის არჩევანში. რეჟისორი ირჩევს მსახიობს იმისდა მიხედვით, ხედავს თუ არა იგი მას ამ როლში. ამ შემთხვევაში მსახიობს არა აქვს თავდაცვის საშუალება — ის როდი ირჩევს, მას ირჩევენ. ის შეუძლიათ მიიწვიონ ან არ მიიწვიონ როლზე, მიწვევის შემდეგაც შეიძლება დაამტკიცონ ან არ დაამტკიცონ. ამდენად, როდესაც მსახიობი ლაპარაკობს როლზე, რომელიც სურს ითამაშოს, იგი არსებითად ლაპარაკობს სასურველ სასწავლზე და არა რეალურ გეგმაზე.

უნდა ვივარაუდოთ, რომ მეც ამისდა ჩემი სასწავლი. ლენინური პრემიის კომიტეტის სხდომაზე, შეხვედრის დროს (მე მაშინ ამ კომიტეტის წევრი ვახლდი), მივედი ივანე ალექსანდრეს ძე პირიეთან,

ბაწყვტი წიგნიდან «Моя профессия». «Молодая гвардия», М., 1975 г.

რომელიც „ძმები კარამაზოვების“ დადგმას აპირებდა, და სრულიად არაფრის იმედს მქონებ, ვისოვტ გავე-სინჯე რომელიმე როლზე. მართლაც, ეს იყო ჩემი პირველი თხოვნა როლისა. თხოვნაც მორიდებული და უიმედო იყო, რათა შემდეგ ჩემი თავისთვის არ მე-სასყვედურა, რატომ ვერ გავუბედე შეკითხვა-მეთქი. ივანე ალექსანდრეს ძემ გაიღიმა და მითხრა, დიმიტრი კარამაზოვის გარდა თითქმის ვერ ვხედავ როლს, რომელზეც შენი გასინჯვა შეიძლებოდასო. პირი-ვეის პასუხში გულგრილობა ვიგრძენი.

მაგრამ მსახიობის გზები შეუცნობელია. ალბათ, ჩემი უღიმილამო თხოვნა სურათში რომელიმე როლის გამო, პირველ ფილმზე ფიქრის რომელიღაც წუთში, ეტყობა, არ მოეჩვენა უახრობად. მით უმეტეს, ივანე ალექსანდრეს ძემ იცოდა „თავმჯდომარეზე“ ჩემი მუ-შაობის შესახებ, როგორც გაერთიანების ხელმძღვან-ელმა, სადაც ამ სურათს იღებდნენ. ყოველივე ეს ჩე-მი ვარსულია, მეტი არაფერი.

ერთხელ, „მოსფილის“ ეზოში წუთით ვიგრძენი, ვივლი მომჩერებია ზურგში, შემოვბრუნდი და დავი-ნახე, რომ მანქანიდან დაფინებით მიცქერიდა პირი-ვეი. დანახა, რომ შევამჩნიე, გაიღიმა, მანქანის კარი მიაჯახუნა და წავიდა. ამის შემდეგ მალე დამირეკეს, „ძმები კარამაზოვების“ კინოგაგუფიდან და მითხოვეს მივსულიყავი.

ივანე ალექსანდრეს ძე განსაკუთრებული თავაზიან-ობით შემეხედა და წინადადება მომეცა მიტენვას სვე-ნების რეპეტიცია გამეკო. მთელ სხეულში ყრუან-ტელმა დაშირა, დავთანხმდი. დაიწყო რეპეტიციები. ეს ალბათ, ივანე ალექსანდრეს ძეს სჭირდებოდა იმი-სათვის, რათა დარწმუნებულიყო, ღირდა თუ არა ჩემ-თან მუშაობა. სულ იმას იმეორებდა, ეს აქტიორული ფილმი უნდა იყოსო. „მე უმსახიობად ვერ შევი-ლებ სურათის გაკეთებასო“.

ალბათ, როგორ საფიქრებლში იყო იგი, სანამ გა-დანწყვეტდა ამა თუ იმ მსახიობის შერჩევას და მარ-თლაც, ამ არჩევანში შეცდომა შეიძლება საბედისწერო გამოდგეს. თუკი მსახიობები თავს ვერ გაართმევენ იმ გიგანტურ ამოცანას, რომელსაც მათ დისტოვესკის ვასაოცარი რომანი უყვებდა, მაშინ სურათი არ გამო-ვა. პირივეი მხოლოდ კირილე ლავროვის ივანეს და მ. ი. პრუდენის თედორე კარამაზოვის როლებს არჩევდა იყო დარწმუნებული. ისინი უცბად დანახა და ეჭვი არ ეპარებოდა თავისი არჩევანის სისწორეში. მე მისთვის გაზაფხულის ყინული ვიყავი — გაუძლებს თუ ჩავარდებო? მისი შიში დაკავშირებული იყო ფილმ „თავმჯდომარის“ წარმატებასთან. პირივეს ჩე-მი „მიწიერებისა“ ეწინააღმდეგებოდა.

რეპეტიციის დროს, როდესაც ვეზიარე კარამაზო-ვის ხასიათს, ლამეები არ მექნა. ველოდი გადაღებულ სასიხე სვენებს. დაიწყო ეს ჯოჯოხეთური დღეები. ჩემი მხრით საოცრად ვაჭარბებდი. სინჯები იყო და-კრუნჩხული, დანწყვეტილი...

მაგრამ პირივემა დამიჯერა, ირწმუნა ჩემი ძალა და დიმიტრი კარამაზოვის როლზე დამამტიკიცეს. ის არის შეუღილი და მშვენიერი, საზარელი და ნათელი, შმაგი და მშვიდი, გარყვნილი და ბავშვური, მე მის შინაგან სამყაროს უნდა ჩაწვდომოდი და მეთამაშა.

როლზე დამტიკიცების შემდეგ, როდესაც შინ მოვე-დი, ავიღე რომანი „ძმები კარამაზოვის“ და თავითი დავიდე, ვგრძნობდი, ახლა მას გადაღების დამთავრე-ბამდე ვერ მოვიშორებდი. რომელი მხრიდან მივდგო-მოდი ამ ტრაგიკულ ფიგურას? 1910 წელს თავის რეც-ენზიაში მოსკოვის სამხატვრო თეატრის დანამაზე „ძმები კარამაზოვის“ იმ დროის ცნობილი კრიტიკო-სი ნ. ფეროსი წერდა დიმიტრი კარამაზოვის როლის გენიალურ შემსრულებელს ლ. ლენინოვის შესახებ: „დახა, ჭკუმიარტიად ეს იყო სული აწყვეტილი, ამოვა-რდნილი ყველა კალაპოტიდან, პირამდე აღესილი საზ-არელი შიშით, სული, რომელიც ყოველ წუთს კვდებოდა გამოუფლავი სასონარკვეთით, რომელიც ათასნაირი ბანგით იყო გაოგნებული და მოწამლული ათასნაირი შხამით, რომელიც კი დაგროვიდა იმ ჯო-ჯოხეთურ კოდვილში, ადამიანის ცხოვრება შუაში ჰქვია“. საიდან დავიწყო? რა არის მთავარი ამ როლ-ში? ყოველი ახალი როლი მსახიობისთვის ხომ დაუ-წერელი ფურცელია. უპირველესად ყოველსა, სანამ პირველ ხაზს გასაუღლებ, ნალოდა უნდა წარმოი-დგინო ხასიათი, გამოიგონო იგი, შეთხზა. მაგრამ აქ ვი-დექი გამძვინვარებული ოკეანის წინაშე, რომელიც თუხთუხებდა, ღრიალებდა, შფოთავდა და მე უნდა გადავხვეოდი ეს გამშავებული სუფთა ან ჩაქმარეული ყავი შიგ. დიმიტრის ხასიათი გატაცებითა და სიბრა-ველლით იყო დანერილი ფ. მ. დისტოვესკის მიერ. აღ-არ მჭირდებოდა გამოგონება, მე ღრმად უნდა ჩამეყ-ვინათ ამ უძირო ზღვაში.

დისტოვესკის გმირების სამყარო ისეთი მძვინვარეა, ისეთი დაუცხრობელი და ისე თვალსაჩინო, ზუსტად გაიმოძრინლი, ისე უტყუარო და ინდივიდუალურია, ისე თვალნათლივ კონკრეტულია, ისე ახლო დგანს ისინი მკითხველის გვერდით, რომ გრძნობ მათ სიმზუ-რავლეს, ალიქვამ მათ როგორც ცოცხალ, მწიერ ადა-მინანებს. როდესაც მსახიობები ხელს კიდებენ ამ ხასი-ათების განსახიერებას, მათ წინაშე ისეთი სიძნელებები ისახება, პირველი შეხედვით ქვეყნის და გრძნობების ისეთი ქაოსი გეჩვენება, რომ ამ ჯუზგლებში გარკვევა რთულეს ამოცანად წარმოგედგინა.

უბრალოდ რომ ვთქვათ, დისტოვესკის სახეებზე მუ-შაობისას ცდილობა გადაწყვიტო წარმოუდგენლად რთული და დასაბრთული ამოცანა. ამ მხრივ, შექსპირი და კლდევის საშუალებას მოიფიქრო ჰამლეტის, ოტე-ლოს, რიჩარდ III ხასიათი. შექსპირი გვიღობს ფინტა-ზიის, გადწყვეტის, გაზარბის უსაზღვრო ასპარეზს, გამომდინარე ზოგასაკობრობი ტრაგედიიდან, პრობ-ლემიდან, თემიდან. დისტოვესკი ხომ თითქმის ავადა-მყოფურად კონკრეტული და ეროვნულია. აქ ვერა-

ფერს ვერ გამოიგონებ, ვერ გადაუხვევ, ის უნდა გაიგო და შიგ ჩაიძირო.

დოსტოევსკი, ალბათ, ყველაზე სასტიკი და, ამავე დროს, ყველაზე ჰუმანური მხატვარია. იგი არ ალამაზებს თავის გმირებს, იგი უსაზღვროდ გულწრფელად ისწრაფვის გაერკვეს მათ სისუსტეებში. ქირურგის გამბედაობით ხსნის სულიერ ჩირქგროვას, მთელი სიგრძე-სიგანით გვიჩვენებს ადამიანის ყველაზე დანაშაულებრივ დაცემას. ეს ნაკარნახევია სულიერი წყლულებისადმი არა პათოლოგიური სწრაფვით, არამედ მრავალსახოვანი ბოროტებისაგან განწმენდის სურვი-

ზოვისა. პირველი გამოჩენისთანავე ზოსიმესთან სენაკში, სადაც თავი მოიყარა კარამაზოვების მთელმა ოჯახმა და სადაც უნდა გამოერკვიათ რთული დამოკიდებულება დიმიტრი და თედორე პავლეს ძე კარამაზოვებს შორის, იგი ძალზე უკმეხი და მოულოდნელია თავის გამოვლინებებში.

რაც უფრო მეტს კითხულობ, მით უფრო ნათლად ჩანს, როგორ აღგზნებული, გაშმაგებული, და გულსაკლავია დიმიტრი თედორეს ძის ცხოვრება.

როგორ ვითამაშო, როგორ გადმოვცე მთელი სიმწვავე, ის ცეცხლი, რომელშიც იწვის ეს უმეო ადამი-

კადრი ფილმიდან
„ძმები კარამაზოვები“
დიმიტრი კარამაზოვი — შ. ულიანოვი



ლით. ადამიანის სულის ეს უშიშარი გამოკვლევა საბოლოოდ ცხოვრების რწმენას გვინერგავს.

თავაუღებელი ვკითხულობდი. ვცდილობდი, რაც შეიძლება ღრმად ჩაენვდომოდი, სანამ სუნთქვა მეყოფოდა. და, რაც უფრო მეტს ვკითხულობდი, მით უფრო დავიბენი ხასიათებშიც, და, რაც მთავარია, იმაში, თუ როგორ უნდა მეთამაშა. რომანის სტრიქონებიდან ჩემს წინაშე აღიმართებოდა ტრაგიკული, თითქმის გაგიჟებული ფიგურა დიმიტრი თედორეს ძე კარამა-

ანი? და ამ შმაგი გრძნობით შეფუცხუნებული, გადაღებაზე ვცდილობდი გადმომეცა კარამაზოვისებური თავშეუკაველობა. ბუნებრივია, ვეძებდი ლოგიკას, აზრებს, საქციელთა მოტივებს, მაგრამ შინაგანი სამყაროს გარეგნული გამოხატვით ვცდილობდი ზუსტად გაველოდი რომანს. ვყვიროდი, გაშმაგებული ვლრი-ალები, განრისხებული ვკანკალები, ძლივს ვსუნთქავდი და ა. შ.

რაც უფრო ზუსტად მიწოდდა დავმსგავსებოდი მი-

ტენკას, რომელიც თავ მძაფრად იყო დახატული დოსტოვესკის მიერ, მით უფრო ცუდი და ცუდი გამომდიოდა მასალა. ეკრანზე დარბოდა თვალბგადმოკარკლული ადამიანი, რომელიც დაუსრულებლად გაყვიროდა, კრუნჩხვით მოძრაობდა. ეკრანზე კი ეს აღგზნებულიად მხოლოდ გაოცებას იწვევდა. რა მიზეზ? განა არ ვცდილობ ან თავს ვიზოგავ? გულის სიღრმიდან რატომ არ მოდის ეს ყვირილი? თითქოს მესმის, თუ რა მინდა ვითამაშო და რაც უფრო გაცხარებულნი ვქდგვრები სიტყვებს, მით უფრო მყვივარალა და უახრო გამომდის.

ივანე ალექსანდრეს ძე სულ ერთსა და იმავეს მიძეორებდა: „მიშო, ასე ვი დაანერგე ნიგნის კითხვას“. როდესაც გაღიზიანდებოდა უამრავი შეკითხვებისაგან, რომლითაც მას მიმართავდნენ, მზაკვირულად გადმოიხედავდა ჩემკენ და იტყვოდა: „შეეკითხეთ ულიანოვს, იგი სულ უფრომ ნიგნს კითხულობს, ყველაფერი იცის“. არ მესმოდა, რატომ იყო ნიგნის ასე წინააღმდეგი.

სამუშაოს ბოლოს, როდესაც მივაგენი იმ საყრდენს, რომელიც როლის გადარჩენაში დამეხმარა, და მივხვდი, რომ უაზროდ ვბძაძედი რემარკებს, ჩემთვის ცხადი გახდა, თუ რატომ იყო პირივეი ასე წინააღმდეგი რომანში ყოველწუნოს ჩახედვისა.

ფ. მ. დოსტოვესკი ღრმად თანამედროვე მწერალია, ისე როგორც ყოველი დიდი მხატვარი. ამიტომ, მათთვის, ვინაც ხელს მოკიდებს ეკრანიზაციას, მთავარია ორი ამოცანის განსაზღვრა: რომელი გამოხატუბა დღეს დოსტოვესკის თანამედროვეობა და რა არის რეჟისორისთვის არსებითი იმ ნაწარმოებებში, რომლის ეკრანიზაციასაც მოკიდა ხელი? შეუძლებელია მოიცვა უსასულოდ. დოსტოვესკის ყოველი სახე მთელი თემაა, რომელიც სპეციალურ დამუშავებას მოითხოვს: ალიოშა კარამაზოვი თუ სმერდიაკოვი, ბჭებში თუ მოხუცი ზოსიმე. რომანის ფილოსოფია იმდენად რთული და პოლიფონიური და, ამავე დროს, წინააღმდეგობრივი, რომ მათი მთლიანად გადმოტანა ფილმში შეუძლებელია.

არ შეიძლება რეჟისორისაგან შეუძლებელი მოვითხოვოთ, არ შეიძლება ვუსაყვედუროთ ის, რომ მან ვერ გვაჩვენა „ეს“, ვერ გამოხატა „ის“. ფილმზე უნდა ვიმჯავროთ იმ კანონებით, რაც დაისახეს ამა თუ იმ ეკრანიზაციის ავტორებმა. ბუნებრივია, თუ იგი დამჯავრებულად და ნიჭიერადაა გაკეთებული.

პირივემა მთავარ ამოცანად დაისახა გაეხსნა ადამიანებს შორის ურთიერთდამოკიდებულების თემა, ეჩვენებინა დოსტოვესკის სიყვარული ხალხისადმი, „ადამიანისადმი დაუნდობელი სიყვარული“. მწერალი სახელდობრ ამისათვის აყენებს ზოგჯერ თავის გმირს, ეიზენშტეინის გამოთქმით „არაადამიანურ სამარცხვინო მდგომარეობაში“, რომელშიც შეიძლება გამომყვანდეს მისი გმირის მთელი სულიერი სიღრმი.

აი, ასეთია მიტია კარამაზოვი, რომლის პიროვნებაშიც თავს იყრიდა კარამაზოვისეული თავანყვეტილი თვისებებიც და, ამავე დროს, შემონახული იყო სულიერი სისუფთოვე და გრძნობათა სიღრმე, რომელიც დამახასიათებელია უსამართლობისაგან ტყვეული ადამიანებისათვის. ეკრანიზაციის ძირითადი აზრია თუ როგორ პასუხობენ ამ გენიალური ნაწარმოების გმირები იმ ზნეობრივ პრობლემებს, მწვავედ და გამიშვლებულად რომაა დასმული მათ წინაშე.

ისეთი რომანის ეკრანიზაციას, როგორც „ძმები კარამაზოვები“, რეჟისორს და, მასთან ერთად, მსახიობებს არ ძალუბთ მოიცივან ნაწარმოების უკიდევანო სამყარო. ეს რეალობა, რომელსაც ანგარაში უნდა გაენიოს. ჩემი აზრით, უნაყოფოა დავა იმის შესახებ, აქვს თუ არა უფლება რეჟისორს კლასიკური ნაწარმოების ეკრანიზაციას, თუ მას ძალა არ შესწევს აიყვანოს იგი იმავე სიმაღლეზე. ვფიქრობ, ეს უაზრო და განუზოროცილებელი მოთხოვნაა. რეჟისორი ცდილობს გადმოგვეცეს ნაწარმოების სული, მისი სადღეისო ფერადობა, ესე იგი, არჩევს ამ კოსმოში ერთ ვარსკვლავს, რომელიც დღეს ყველაზე ახლო ხალხთან. და აი, რეჟისორი კოსმოსის ამ ნაწილს — საგულდაგულად და მისი ძალ-ღონის შესაბამისად — ღრმად სწავლობს და ისწრაფვის რაც შეიძლება ზუსტად გადმოგვეცეს. რაო, ეს მთელი სამყარო? არა, ეს მხოლოდ ნაწილია იმ უზარმაზარი სამყაროს, მაგრამ ეს უნდა იყოს სწორედ იმ სამყაროს ნაწილი, რომლის მთლიანად ჩვენება რეჟისორის ძალ-ღონეს აღემატება. სწორედ იმისა და არა სხვისი. აი, აქ უნდა გაყვე ზუსტად ავტორის აზრს.

დარწმუნებული ვარ, რომ ყოველმა რეჟისორმა, რომელიც შეეხო დოსტოვესკის, იქნება ეს კურსოვა თუ პირივეი, თავისებურად წაიკითხა დიდი რუსი მწერალი. რასაკვირველია, არ ყოფილა და არც არის რეჟისორი, ვისი იდეებია აბსოლუტურად იდენტური ყოფილყო დოსტოვესკის იდეებთან. პირივემა აქტუატი გაამხვილა თავის „ძმებ კარამაზოვებში“ შემდეგ აზრზე — ადამიანი ღირსია ბედნიერებისა.

მოგვიანებით პირივეი მიხვდა, რომ ასეთი გადაწყვეტა არ იქნებოდა სრულყოფილი, და დუქანში იგნესა და ალიოშას მღელვარე საუბრის ეპიზოდში ჩართო სტატიკური სცენა, რომელიც ბევრი რამის ამხსნელი იყო, როგორც გმირთა შინაგანი სამყაროს, ისე „კარამაზოვშინის“ ფილოსოფიური მხარის თვალსაზრისით.

როდესაც სიტყვა-სიტყვით მიყვებოდი რომანის ტექსტს და ვცდილობდი ამ მღელვარე ზღვაში გზის გაკვალვას, უფრო მეტად ვიბნეოდი. ივანე ალექსანდრეს ძე მარწმუნებდა, რომ არ იყო საჭირო ასეთი პედანტობა. მას უნდოდა, რომ მომენახა ჩემი, თუნდაც პატარა, ვინო, მაგრამ ჩემი საკუთარი აქტიური იტო გზა, მტკიცედ მეველი ამ გზაზე და არ დაგზნე-

ულიყავი დიმიტრის უსასრულო სამყაროში. ეს გზა უნდა ამომერჩია, მიმეგონ და გამეცუნა რომანის ჩემიული აქტიური გაგებიდან. ეს ბუნებრივი და მართალი იქნება. როდესაც ეძალეები ერთაშუდ ასწიო მთელი მთა, ნელს იწყებდ და ყალბიცა ხარ. რა ხმაიმადლაჯ არ უნდა იყვირო, სულ ერთია, სიყალბეა.

სახლშიც და გადაღებებზეც, როდესაც როლზე ვეჭირებდი, საერთოდ სწორად წარმომიდგებოდა მისი არსი. მესმოდა დიმიტრის, როგორც ადამიანისა, რომელიც ცხოვრებამ სასონარკვეთამდე მიიყვანა. იგი იღუპება ისე, რომ ვერაფერს ამტკიცებს. თვითმკვლელობის ცდა — ეს არის ჯანყი, ეს არის ძახილი, სასონარკვეთა, სხვაგვარად მოქცევა შეუძლებელი იყო. დაღუპული, დატანჯული ადამიანი მოითხოვს სიყვარულს ხალხისაგან, შევლას — ღმერთისაგან. მაგრამ ადამიანებს არ ესმით ერთმანეთისა, ადამიანები ერთმანეთს კლავენ. არც ღმერთი შევლის. მიტია სიძიარტლის მოყვარულია და თუ იგი მიძინვარებს, ეს სასონარკვეთილების გამო ხდება, რადგან არავის არ ჯერა და არავის არ ესმის მისი. იგი ტანჯვით ეძებს სიძიარტლეს, ეძებს დაჟინებით, ეძებს ხალხში, მით ურთიერთგაგებაში, სჯის საკუთარ თავს, თავისი შეცდომების და ნაკლის გამო, იგი სხვებზე მეტად თავის თავს სჯის და სასონარკვეთილებით და წამებით მიდის დანაშაულამდე, ციხეში კი პარადოსული დასჯენები გამოჰქვს — ხალხისადმი სიყვარულში უნდა ეძიო სიძიარტლე. არსებითად როლის მთელი მსჯელობა — განუწყვეტელი გააფთრებაა, სწრაფვება გაიარტოს ერთი თემა: რატომ ცხოვრობენ ადამიანები ასე ცუდად, ასე საძაგლად? რატომ სძულთ ერთმანეთი? ეს არის რომანის მთავარი თემა. დიმიტრი საკუთარ გულსაც უსმენს; რა ემართება მას, რატომ ეშლება ყველაფერი, არასწორად, არადადამიანურად იქცევა და უფრო იტანჯება ამის გამო.

მიტას ხასიათის გზების, მისი აზრების, მისი მსოფლმხედველობის ძიებისას, მე ასეთ შედარებამდე მივდი: მიტიაში არის რაღაც მიშკინისეული. შესაძლოა, ეს აზრი მიუღებელია. მაგრამ მე, როგორც მსახიობი, ვეძებდი საყრდენს, რათა გამეგო ეს მშვენიერი და შეზარავი ხასიათი. მთავარია, რომ ამ შედარებამ მომცა რაღაც ახალი შეგრძნება როლისა.

ეს გულდია, ალღომართალი ადამიანი უმწიკო გულით ეხეთქებდა ადამიანთა გათიშულობის წამახულ კიდეებს, შფოთავს, ეძებს კავშირს ადამიანებს შორის! იგი დაუძღურდა სამყაროს შეუცნობლობის გამო. და რაც უფრო ღრმად ვწვდებოდი ამ დაბნეულ სამყაროს, მით უფრო მიტანდა ძრწოლა. ვცდილობდი გადმოვიკაპო ეს დაბნეულობა და უფრო მეტად ვყვიროდი და ვიჭაჭებოდი. გულში სისხლი მეღვრებოდა, მიწოდდა, რაც შეიძლება ღრმად მეჩვენებინა მიტენკას მთელი ტანჯვა. ეკრანზე კი, აქეთ-იქით აწყდებოდა ადამიანი, რომელიც გაუგებარი იყო, რატომ ყვიროდა. ხელები

ჩამოეცივდა. ჩისში მოვექეცი. კი არ მოვექეცი, შევფრინდი კონწხებით, გამძინვარებული ღრიალით. სად არის გამოსავალი?!

ამ მძინვარე ნაკადიდან გამოსვლა უკვე აღარ შემეძლო. ივანე ალექსანდრე ძე კი, რომელსაც ესმოდა დოსტოევსკი, როგორც ენებების გაფორმებული შეჯახება, მოითხოვდა მსახიობებისაგან უკიდურეს თავგანწირვას, ტემპერამენტს, გახვლებულ ცხოვრებას. მასთან მუშაობა იყო დიდი ცხოვრებისეული სკოლა ჩვეთვის, მსახიობებისათვის, რადგან შევხვდით არაჩვეულებრივ, ნათელ, თვითმყოფად ადამიანს და მგზნებარე მხატვარს, რომელსაც არ შეეძლო ყოფილიყო გულტობილი ანდა გონივრული ზომიერი. ყველა თავის სურათში მას ყველაფერი უკიდურესობამდე მიჰყავდა, საღებავების სიმღერების, ვენების ღრებამდე. იგი ამაღლებდა, გატაცებული იყო, ცდებოდა. მხატვრისა და ადამიანის მთელ თავის ტემპირიტ მშეთვარე ხასიათს თავს ატეხდა მსახიობს, მასთან ერთად ეძებდა სახის ყველაზე მძაფრ გამოსატყულებას.

ივანე ალექსანდრეს ძე იყო გასაოცრად შრომისეული ადამიანი! ადრეც ბუერი გამეგონა მის შესახებ ჩემი ამხანაგებისაგან, რომლებიც მის სურათში იღებდნენ მონაწილეობას, ყვებოდნენ ლტენდებს მისი ტემპერამენტის შესახებ, თუ როგორ ტუქსავდა იგი დაუდევარად და ზარმაც მუშაებს. გარეგნულად გასლიან ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მაგრამ სურათში მუშაობის დროს განციფრებდა მისი გაუღმებელი ყურადღება მსახიობებს, როგორც ყველაზე მთავარის მიმართ გადასაღებ მოედანზე. იგი არ იღლებოდა ამ ტემპირიტების გამორჩებით მთელ გადამლებდ ჯგუფში. ძალზე ენდობოდა მსახიობს, მეტისმეტად ბუერი მასს თქმა უნდოდა სწორად მსახიობის საშუალებით, და ცდილობდა მათთვის საუკეთესო პირობების შექმნას. ის ხომ დაუნდობელი იყო ზარმაცებისა და ყბედების მიმართ. ასეთებდ თვალს არ აცილებდა, წუთითაც კი არ აძლედა გასაქანს.

მის გარშემო და თავად ჯგუფში ხანდახან ხვდებოდნენ ბუჩქებში დამალვისა და ჩრდილი დგომის მოყვარულნიც. თუკი ამას დაინახავდა ივანე ალექსანდრეს ძე, იწყებოდა მათი განაღვრება. საერთოდ არ უყვარდა ლაპარაკი, არ უყვარდა უსაქმურობა და თორეტიკოსები. არიან ისეთი მსახიობები, რომლებიც მთელ სტანისლავსკის მოციყვებთან, მაგრამ არ შეუძლიათ ითამაშონ „გამარჯობა, დედა“. აი, ასეთი მსახიობები მას არ უყვარდა, რადგან მას უყვარდა „ტემპერამენტის ხელის ჩავლება“ და სასტიკად ვერ იტანდა მოედანზე „ჭკვიანურ ლაპარაკს“.

მაგრამ განსაკუთრებით გამოვიღინა მისი, პირივეისეული ხასიათი და ტემპერამენტი დოსტოევსკის ეკრანისხაციაში. ჯერ გამოვიდა „დიდოტი“. იაკოვლის დიდთვალა და განციფრებული მიშკინი და ი. ბორისოვას მძინვარე ნასტასია ფილიპოვნა. მას მოშ-

ყვა „თეთრი ლაშქები“ და, ბოლოს, მრავალი წლის ყოყმანის შემდეგ ხელი მოჰკიდა „ძმები კარამაზოვის“ ეკრანიზაციას.

პირივეს ჰქონდა საინტერესო მიდგომა მსახიობისადმი. იგი თითქოს იჭრებოდა მსახიობის მდგომარეობაში, იწყებდა თამაშს, თითქოს მოსაჩვენებლად და თანდათან გაითამაშებდა მსახიობთან ერთად მთელ ნაწყვეტს. ცდილობდა შემსრულებლებთან ერთად მოესინჯა ის ერთადერთი გზა, რომელზეც უნდა ევლო ამ როლში მსახიობს. იგი სწორედ ძვრებოდა „ტყავში“ და როდესაც უკვე თავად მიხვდებოდა, როგორ უნდოდა თამაში, მაშინ უკვე იწყებდა მსახიობის შესურებას თავისი სრულიად გასაოცარი ტემპერამენტით. მას ესმოდა, რომ ჩვენი, თანამედროვე მსახიობების ამოძრავება, რომლებმაც ისწავლეს ლაპარაკი მართლად და წყნარად, მაგრამ რომლებსაც ზოგჯერ ეშინიათ სიმძლავრე ასევე — თან ეშინიათ და თანაც არ იციან, — არც ის ავცილი იყო.

ეს გამხდარი, თვალმაცნებელი, გულით დაკავებული კაცი ცეცხლს უკიდებდა თავის თავს. იგი ზედმიწევნით იძაბებოდა და თუ შესძლებდა ამ სიზუსტეების მსახიობებისთვის გადაცემას, უსახვროდ ბედნიერი იყო. და თუ ამას ვერ მოახერხებდა, შემოვრდებოდა და ვაგუმორდებოდა — ტყუილბურბულად დაეხარჯე ჩემი უკანასკნელი ძალღონეო.

მე მას უფროდები შთაგონების ტრავიკოსს, სახელდობრ, შთაგონებისა, რომელსაც ერთსა და იმავე დროს შეეძლო გენიალურად ეთამაშა, განეცვიფრებინა მაყურებელი და ყოფილიყო დაუნდობელი და გამომწვევად უგემონოც კი. და ეს ყოველივე გასაოცარი, გოლიათური შრომისუნარიანობის ფონზე.

იგი გვანეცვიფრებდა ამ თვისებით გადაღების დროს. მოსკოვის ახლოს, ისტრაზე, მონასტერს ვიღებდით. დილის რეჟიმისათვის თავად გვალეციებდა ღამის ორ საათზე. ენსრებოდა გრიმს, რომელიც ორ საათს მაინც გრძელდებოდა, ვეკარებოდა და ყვიროდა: „დაუშქაქო, ბოჭქო!“ გადაღებისათვის ოთხ საათზე ვადიოდა და თერთმეტ-თორმეტ საათამდე ვიღებდით. დღისით, თუ დღის გადაღება არ იყო, ჭაღრაკს თამაშობდა, საღამოს კი ისევ ათ-თერთმეტ საათამდე ვუშობდით. საღამოს გადაღების შემდეგ იგი ისევ ჭაღრაკს თამაშობდა. როდისღა იძინებდა? სად იკრებდა ძალღონეს?

მიუხედავად ამ განსაცვიფრებელი შრომისუნარიანობისა, რომელიც შეინარჩუნა უკანასკნელ დღემდე, იგი მაინც იყო შთაგონების რეჟისორი. ხანდახან, მოვიდოდა გადაღებაზე — ყველაფერი მზად ჰქონდა, ყველაფერი იცოდა, უეცრად გადაღებისას რაღაცნაირი მძინვარება იწყებოდა და მსახიობთან ერთად უკიდურესობამდე მიდიოდა. ასე იყო, მაგალითად, სამსონოვთან სცენაში, როდესაც საბრალო მიტია მი-

დის ტყის გასაყიდად, რათა იშოვოს დაწყველილი ფულიო.

როდესაც ივანე ალექსანდრეს ძემ მაჩვენა, როგორ უნდა ეთამაშა ეს სცენა, შევირწუნდი — ეს რაღაც უხამსობა და პრანჭიობა იყო.

„ეს ადამიანების ბედის გამწარებაა! — ყვიროდა ივანე ალექსანდრეს ძე, მომპაჟრობდა აღგზნებულ თვალს. — მიტია დალუპვის პირასაა! მას რცხენია კიდევ და ეშინია, უარი არ უთხრას ამ სადაცელმა მოხუცმა სამსონოვმა“. და თავი მაღლა ასწია, პირველობით შეხედა თვალბუმი აპარკოსოვს, რომელიც სამსონოვს თამაშობდა, ფართო, სამარშო, „არშინიანი“ ნაბიჯებით მივიდა მასთან — ცდილობდა ყოფილიყო უშუალო, თავაზიანი, და უთხრა: — „უკეთესობიშუალო კუხმა კუხშირ, ალბათ, მრავალჯერ გსმენიათ მამაჩემთან, თედორე პავლეს ძე კარამაზოვთან ჩემი უთანხმოების ამბავი“. და ჩვენს წინ იდგა „ადამიანი, რომელიც უკიდურეს საზღვარზეა მიხული, იღუპება და ახლა უკანასკნელ გამოსავალს ეძებს.

ხანდახან კი მოვიდოდა და თავად იწყებდა „კადრის დადგმას“. თავად ეზიდებოდა განათების აპარატებს, თავად აკეთებდა გრიმს. იგი, ვფიქრობ, ამას მხოლოდ იმიტომ კი არ აკეთებდა, რომ სხვას არ ენდობოდა, თუმცა, მუშაობაში ძალზე ეჭვიანი კაცი იყო, არამედ იმიტომ, რომ საღვთვ კიდევ არ ესმოდა, როგორ უნდა ეთამაშა ეს სცენა, და სწორედ მას ეძებდა. მაგრამ ეძებდა, ასე ვთქვათ, ტემპერამენტით, გრძნობით და არა ლაპარაკით და ცივი საუბრით.

უკვე მოგახსენებ, რომ პირველ დღეებში გაუშუქონით მეჭიკრა ხელში რომანი და გაუთავებლად ვკითხულობდი ციტატებს: „ი, მიტია ასეთია.. აი, ლისტოვესკის ასე აქვს ნათქვამი-შეთქო...“

ბოლოს და ბოლოს მოვაბეზრე თავი ამ ციტატებით და ერთხელ მკაცრად მოთხრა: „ახლა ჩვენ გადავლუბავკა, თორიულ საკითხებზე კი შინ დაშირეკთ ღამის თორმეტჯანდა იორ სათამდე“, — და დამოხატა: „თავი დაინებე ამ დაწყველილ წინგს!“ არ განმომარტა, რომ „ციტატაც კვანიზაციის დროს“ პირდაპირ რომანზე ჩაბლაუჭებაა, რაც ბორკავს მსახიობსაც და რეჟისორსაც, არა გაქვს თავისუფლება, ვერ ამონისუქავ, სხვისი ნაბიჯებით დააბეზრე, და სხვისი ხმით ლაპარაკობ. მან ეს კი არ ამხისნა, უბრალოდ თქვა: „ამ წყულ წინგს შეეშვიო“.

პირივე იყო მზრძანებელი ადამიანი. მის გვერდით ყოფნა არ იყო ადვილი ყოველთვის და ყველასათვის. საჭირო იყო მასთან გემუშავა, რათა გაგეგო, რომ ეს მკვახე და ხანდახან უსამართლო ადამიანი, ძალზე უხუში მსახიობებისა და მომუშავეების მიმართ, არსებობდა, მთავარში საპარტიდანი იყო და კეთილი. ბევრს ვფიქრობ, მაგრამ არ მახსოვს შემთხვევა, მისი ყვირილი უბრალოდ და უმიზეზო ყოფილიყო. თუკი ივანე ალექსანდრეს ძე ყვირის, ეს იმას ნიშნავს, რომ

არ მოიტანეს კოსტიუმი ნატალზე, ესე იგი მსახიობ-მა დაივიანა, ეს იმას ნიშნავდა, რომ მოხდა ის, რამაც იგი სამუშაო განწყობილებიდან გამოიყვანა. ის კი მუშა კაცი იყო, ოსტატი. ეს ალბათ, ციმბირიდან მოიტანა, მამისა და ბაბუისგან გამოყვა.

„ძმები კარმასზოვები“ მისთვის ძალზე საჭირო სურჭლი იყო. მას, სადღაც, ალბათ, სურდა ცხოვრების შეჯამება, სურდა ცხოვრების გაგება. რაღაცაში გარკვევა, რაღაც რთულში, რაღაც ცხოვრებისეულში, ალბათ, მისთვის აუცილებელში, სჭირდებოდა რაღაცაში დარწმუნება, რაღაცის უარყოფა. არ შემიძლია ზუსტი ფორმულირება, და, მაგონი, თავად ივანე ალექსანდრეს ძეც, ალბათ, ვერ შეუძლებდა ზუსტად ეთქვა, რას ნიშნავდა მისთვის ეს სურათი, მაგრამ სასიცოცხლო აუცილებლობა კი იყო. ამიტომაც ასე შეუპოვრად ეგრძობდა სიკვდილს — უნდოდა მოესწრო, ბოლომდე ეთქვა თავისი სათქმელი.

პირივემა, როგორც ძალზე გამოცდილმა რეჟისორმა, გადაღება ააგო სურათის თანდათანობითი ზრდის გათვალისწინებით. მაგრამ ასე იყო მუშაობის დანებისას. სადღაც შუა გადაღებისას ივანე ალექსანდრეს ძეს ხადლა შეეტყო და გადაწყვიტა გადაეღო ყველა მეორეხარისხოვანი ანდა, ზუსტად რომ ეთქვას, შედარებით იოლი სცენები, შემდეგ კი, როდესაც დაიწყებენ და იმპურნალებდა, გადაეღო რთული „მოკროვი“, „სასამართლო“, „ივანე და ეშმაკი“. თანდათან უძნელებოდა მუშაობა. მხოლოდ ერთხელ გავიკოვნი მისგან: „აღდე შეთავაზებ, რაღაც სუნთქვა მიჭირს“. და, მართლაც, ეტყობოდა, რომ უჭირდა სუნთქვა. კიდევ დანვა ორი კვირით. ოდნავი შესვენების შემდეგ კვლავ დაუბრუნდა სამუშაოს.

ამ ფილმზე მუშაობისას სამმა რამემ გაამაოცა: პირველი — ეს იყო მწერალი თ. დოსტოვესკი, ადამიანურ გრძნობათა საშინელი სამყაროთი, ვენების მთელი ეს მშფოთვარე, მძინვარე ოკეანე, ცხოვრების ეს დაუნდობელი ანალიზი. მეორე — მონიფულე ადამიანის, მაგრამ უსუსური ბავშვის — მიტენკა კარამაზოვის როლი. ყველაზე მთავარი ის კი არ იყო — მიკლანტი თუ არა ამ როლით წარმატებას. მთავარი იყო ის, რომ მე შევეხე უდიდეს საოცრებას. და მესამე: შეხვედრა განსაცვიფრებელ პიროვნებასთან — ივანე ალექსანდრეს ძე პირივეთან. ეს იყო დიდი ადამიანური მოვლენა ჩემს ცხოვრებაში — შეხვედრა რთულ, წინააღმდეგობრივ, მძინვარე და ჭეშმარიტად სახალხო მხატვართან.

და, აი, 1968 წლის 15 თებერვალს სამუშაო დღიურში მიწერია: „შეიდ თებერვალს გარდაიცვალა ივანე ალექსანდრეს ძე. გულმა ვეღარ გაუძლო, სურათი შეჩერდა“. ზუსტად უკანასკნელ ამოსუნთქვამდე მუშაობდა ეს გასაოცარი ადამიანი. დარჩა გადასაღები მხოლოდ სამი მთავარი სცენა, „მოკროვი“, „ივანე და ეშმაკი“ და „სასამართლო“, ურომლისოდაც სურა-

თი ვერ იარსებებდა... რეჟისორის მიერ დიდი ხნის ჩაეკრებულმა სურათმა გაცხარებული გადაღების პროცესში დაკარგა თავისი ხელმძღვანელი. ბევრი იყო გაკეთებული, დასახული, ბევრი რამ შეიქმნა — პირივესეულად გადაწყვეტამ უკვე წინასწარ განსაზღვრა ფილმი.

სტუდიის ხელმძღვანელობამ ვერ გადაწყვიტა სურათის გადაცემა რომელიმე სხვა რეჟისორისათვის — ი. პირივეის ჩანაფიქრი ძალზე თავისებური იყო, ყველა რეჟისორი მიიღებდა მას უსიტყვოდ. თავიდან ხომ ვერ გადაიღებდნენ ამ უზარმაზარ მასალას. მაშინ „მოსფილმის“ ხელმძღვანელობამ გადააგო საპასუხისმგებლო, მაგრამ სწორი ნაბიჯი: სურათის დამთავრება მე და კირილე ლავროვს შემოგვთავაზა. ეს ძალზე საპასუხისმგებლო გახლდათ, რადგან მე და კირილე არასდროს არ ვმდგარვართ კამერის მეთვრისხანს, ასე რომ აქ ეს დიდი რისკის საქმე იყო. სწორი გადაწყვეტილება იყო იმიტომ, რომ ჩვენზე, მსახიობებზე მეტად არავინ დაინტერესებულა ამ სურათის პედიტო. ჩვენზე მეტად არავის არ სურდა მისი დამთავრება, რადგან ბევრი რამ გვეკონდა ჩვეულებული ამ სურათში და კიდევ იმიტომ, რომ მთელი წელი ვმუშაობდით ივანე ალექსანდრეს ძესთან და ვიცოდათ, რა სურდა მას, მივჩევდი მის ხელწერას, მის მანერას. ამიტომ გვეკონდა იმედი, რომ შევძლებდით სურათის ბოლომდე მიყვანას, მისი სტილისტიკის შევცვლილად.

